ს. ს. ს. რ. სახ. კომისართ.ა საბჭო
საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღის [illegible]

— [illegible] ცელდა.

— პოლონეთს აშინებს საგარანტიო ხელშეკრულების დადება გერმანიის მონაწილეობით.

— დაითხოვეს ბელგიის პარლამენტი.

— მალეში (გერმანია) დამზღვევ კასების არჩევნებში კომუნისტებმა გაიმარჯვეს.

— ერრიოსა და ჩემბერლენს შორის პარიზში თათბირი გაიმართა.

კვირა, 8 მარტი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 55 (1210)

საკავშირო ცაკის მესამე სესია

ამიერ-კავკასიის მთავრობის მოღვაწეობა

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენების დასასრული

კულტურულ ფრონტზე

ეროვნული კულტურა*)

ეხლა გადავდივარ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია სულიერ კულტურასთან.

ამხ. რიკოვმა მოითხოვა ანგარიში იმის შესახებ, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ ნაციონალურ საკითხის გადაწყვეტის მხრივ, როგორი მიღწევები გვაქვს ჩვენ ნაციონალური კულტურის აღდგენის, ე. ი. ჩვენი პროგრამის განხორციელების საქმეში. მე მგონია, რომ ამ კითხვაზე გაცემული უნდა იქნეს პრაქტიკული პასუხი, ცალიერ ლაპარაკს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ გვაქვს ციფრები, რომლებიც გამოხატავენ იმას, რაც ნამდვილათ გაკეთდა მშრომელი მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად,—იმ მოსახლეობის, რომელიც კულტურისაკენ მიილტვის. ამ სფეროში ჩვენ გვაქვს გარკვეული მიღწევები. მართალია მოსახლეობის ის ფენი, მუშაკების ის ფენი, რომელიც სათავეში უნდა ედგას ნაციონალურ კულტურას, სახელდობრ ინტელიგენცია (რომელიც ჩვენში შეპყრობილი არ არის ინტერნაციონალიზმის სენით, არამედ, პირიქით, შეპყრობილია საწინააღმდეგო თვისების სენით), ეს ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლებას მტრულად შეხვდა. მართალია ის აქტიურ წინააღმდეგობას არ გვიწევდა, ის მხოლოდ ბოიკოტს გვიცხადებდა, მაგრამ ეს იგივეა, როგორც, მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების დამხობა ბალით. ეს ყოველთვის ბოროტი განზრახვით არ ხდებოდა, იყო ეჭვები, იყო შიში, რომ ხელისუფლება, რომელიც დამყარებული იქნა 1920 წლის 28 აპრილს აზერბეიჯანში იმავე წლის 28 ნოემბერს სომხეთში და 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში—საბჭოთა ხელისუფლება ნიშნავს ხალხის ყოველგვარი ნაციონალური სახის წაშლას, კულტურის დაღუპვას და სხვა უფრო მაღალი კულტურის, უფრო მოწინავე კულტურის ე. ი. რუსული კულტურის გაბატონებას. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილში ადგილი ჰქონდა ასეთ შიშს—ის გულწრფელათ სცდებოდა. მაგრამ იყო ინტელიგენციის მეორე ნაწილი, რომელიც პრინციპიალურათ უარყოფდა საბჭოთა ხელისუფლებას. არის კიდევ მესამე ფენი—ტეხნიკური ინტელიგენცია, რომელმაც ერთბაშათ გამოძებნა ჩვენთან საერთო ენა და დაიწყო მუშაობა. ის არ იყო პარტიული ინტელიგენცია, ის ახლო არ იდგა კომუნიზმთან, მაგრამ მან ერთბაშათ, ინტუიციით იგრძნო, რომ საბჭოთა ხელისუფლებას, მიუხედავად იმისა, რომ მას ცილს სწამებდენ, მას გამანადგურებელ ხელისუფლებათ სთვლიდენ,—ამ ხელისუფლებას ნათესაური კავშირი აქვს წარმოებასთან, ე. ი. იმ დარგთან, რომელშიაც ეს ინტელიგენცია მუშაობს.

ინტელიგენციის ეს ფენები იმთავითვე ჩაებენ პრაქტიკულ მუშაობაში. მაგრამ საერთოდ კი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვქონდა ამხ. ლენინის რჩევა, რომელიც გადმოგვცა. მან—თბილისში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების ორი-სამი დღის შემდეგ—გამონახეთ საერთო ენა ინტელიგენციასთან, გამოიყენეთ იგი ყოველნაირად,—მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიჩენდით გულწრფელ სურვილს და მისწრაფებას, ინტელიგენციასთან თანაცხოვრების და თანამშრომლობისას,—ჩვენ მეტ წილად ამასვე ვერ ვხედავდით ინტელიგენციის მხრით. მართალია, დაბალი ინტელიგენცია არ იდგა ბოიკოტის ნიადაგზე, მაგალითად მასწავლებლობა, მაგრამ მასაც არ გააჩნდა აქტივობა.

აგვისტოს ისტორიის შემდეგ რომელმაც დაამთავრა ქართული ნაციონალიზმის მთელი პერიოდი, როდესაც მენშევიკური ბრბოები საბოლოოდ განადგურდა და ეს უკვე ცხადი გახდა ყველასათვის, ინტელიგენციაში ვამჩნევთ ღრმა გარდატეხას. როგორც დავინახა არა მარტო მასწავლებლობის ინტელიგენციის ამ ყველაზე უფრო მოწინავე, ყველაზე უფრო მუშური ნაწილის—ყრილობამ, არამედ მთელი რიგ სხვა ყრილობაც,—ეს გარდატეხა საფუძვლიანი და ღრმაა,

სახალხო განათლების საქმე

საქართველოში

ამჟამად, ამხანაგებო, ჩვენი საქმე შემსუბუქებულია მით, რომ მოწინავე ლაშქარი—ინტელიგენცია ჩვენთან არის და რომ ეროვნული კულტურის დარგში იგი ჩვენის ხელმძღვანელობით, საბჭოთა პლატფორმაზე დამდგარი, მოგვეხმარება ძლიერი საქმის წინ წასაწევად. მაგრამ უამინტელიგენციოდ, მის დაუხმარებლად, მის აქტიურ დახმარების გარეშე, მის მიერ ამოცანების სწორი გაგების გარეშე, ჩვენ უკვე გავაკეთეთ ბევრი რამ, რის შესახებაც ნება მიბოძეთ გაუწყოთ:

სახალხო განათლების მაჩვენებლად თუ ჩვენ ავიღებთ სკოლებს, მაშინ ჩვენი მიღწევები შემდეგში გამოიხატება: 1914 დან 1917 წლამდე საქართველოში იყო 1484 სკოლა, მენშევიკების დროს ამ რიცხვმა მოიმატა 200-ით, ე. ი. გახდა სულ 1684, ჩვენ კი, ამხანაგებო მიუხედავად იმისა, რომ შევაერთეთ რამდენიმე ახლო მდებარე სკოლები ერთმანეთთან, ამჟამად გვაქვს 1865 სკოლა. მოსწავლეთა რიცხვი საქართველოში მეფობის დროს უდრიდა 94 ათასს, მენშევიკების დროს 156.500, ამჟამად კი უდრის 229,899; ე. ი. მეფის დროსთან შედარებით მოწაფეთა რიცხვი გადიდებულია 144 პროც. და მენშევიკების დროსთან შედარებით 79 პროც.

მეფის დროს მასწავლებელთა რიცხვი უდრიდა 4.261, მენშევიკების დროს 5.681, ჩვენ დროს კი უდრის 8.860. მეფის დროსთან შედარებით მასწავლებელთა რიცხვი გაზრდილია 106 პროც. ვინაიდან საქართველოში მასწავლებელთა ეს რიცხვი არ კმარა, ჩვენ ფაქტიურად ვიძლევით თანხებს 12 ათასი მასწავლებლისათვის. მაშასადამე, ფაქტიურად საქართველოში არის 12 ათასი მასწავლებელი იმ დროს, როდესაც მეფის დროს ეს რიცხვი უდრიდა 4 ათასს და მენშევიკების დროს 5.600.

საქართველოში არის შემდეგი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებანი: პედაგოგიური ტეხნიკუმი, სამრეწველო ტეხნიკუმი, სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი, პროფგანათლების 51. აქედან ქართული 36, შერეული 3, სომხური 2, ოსური 1—(ამ რიცხვში არ შედიან საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკების სკოლები და დაწესებულებანი).

ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა რიცხვიდან 25 პროც. ქალებია. არსებობს სახელმწიფო კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, პროვინციაში არის სამუსიკო სასწავლებლები, გვაქვს 46 საბავშვო სახლი, 21 საბავშვო ბაღი, 3 საბავშვო ბაგა, 332 ქოხ-სამკითხველო, 517 პუნქტი წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო, 53 სახალხო სახლი.

ამას გარდა არის 145 სახალხო კლუბი, 157 ბიბლიოთეკა, რამდენიმე საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, აგრეთვე გლეხურ ახალგაზრდობის რამდენიმე სკოლა, მუშფაკები ქართულ-რუსულ და სომხურ მოსახლეობისათვის. კოჯორი—მეფის მოადგილის საგარაკო ადგილი—გადაქცეულია ბავშვთა ქალაქად. მარტო ერთი ის, რომ საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტის 55 პროც. მიდის სახალხო განათლების კომისარიატის საჭიროებებზე—თავისთავად ბევრს ლაპარაკობს.

ეხლა შევეხები სახელმწიფო გამომცემლობას, ამ არსენალს, რომელიც ისვრის კულტურულ ბომბებს. მენშევიკების დროს სახელმწიფო გამომცემლობა არ ყოფილა.

მე-2 ინტერნაციონალის პარტია პრინციპიალურათ არ სცნობდა სახელმწიფო გამომცემლობას და ფიქრობდა, რომ ეს კაპიტალისტურ ინიციატივის საქმეა. წინამორბედ მთავრობის დროს გამოცემული იყო 162 წიგნი 50 ათასი ეგზემპლიარი ტირაჟით, საბჭოთა ხელისუფლების დროს სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა 503 წიგნი 1.214.500 ტირაჟით. გამომცემლობას ეწევა პარტიის ცეკა, პროფკავშირთა საბჭო, გამომცემლობა „წითელი წიგნი", კოოპერაციის ცენტრი და სხვა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 3 წლის განმავლობაში მცხოვრებლებში გავრცელდა არა ნაკლებ 1 ნახევარი მილიონი ეგზემპლიარი თანამედროვე წიგნებისა. 2.600.000 მცხოვრებზე ეს უკვე დიდი მიღწევაა. ამ მხრივ ჩვენ შეგვიძლია ამაყად წარსდგეთ სესიის წინაშე და ვსთქვათ: ეროვნულ კულტურის სფეროში ჩვენ გავაკეთეთ იმდენი, რაზედაც ოცნებობაც კი არ შეეძლო ნოე ჟორდანიას უკიდურესად ნაციონალისტურ და პატრიოტულ მთავრობას.

გვაქვს ჩვენ ისეთი კუთხეები, როგორიც ხევსურეთი. ეს კუთხე წარმოადგენს საშუალო საუკუნოების ნაშთს. იქ მცხოვრებლები დადიან მუზარადებით.

იქ ქალი მშობიარობის დროს გაჰყავთ სოფლის გარეთ, რადგან სთვლიან უწმინდურათ 40 დღის განმავლობაში. იქ სანადიროთ დადიან შუბებით. იქ შენახულია ჯერ კიდევ სისხლის აღების ჩვეულება. ამ მიყრუებულ ბუნაგებში, რომელიც მივიწყებული იყო ცისაგან და ქვეყნისაგან, არ ყოფილა არც ერთი სკოლა. ახლა კი იქ რამდენიმე სკოლა და საექიმო პუნქტია. და რომ გზები კარგი იყოს ძველი ფეოდალიზმის ეს კუთხე უფრო უკეთეს პირობებში იქნებოდა ჩაყენებული კულტურულად.

იგივე ითქმის სვანეთზე. ეს არის მიყრუებული კუთხე დასავლეთ საქართველოში კარაჩაის საზღვარზე. ცარიზმის დროს ამ ქვეყნისათვის ყოველ წლიური ხარჯები უდრიდა 6 ათას მანეთს. ამ ფულებით ინახავდენ ერთ ბოქაულს და რამდენიმე სტრაჟნიკს. მენშევიკების დროს გასავალი გაიზარდა ორჯერ—12—14 ათას მანეთამდე. ეხლა ხარჯები ამ ქვეყნისათვის შეადგენს 200 ათას მანეთს, ამასთანავე ეს ხარჯები ხმარდება, უმთავრესად, სკოლებს და საექიმო პუნქტებს. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მახლობელ წლებში სვანეთს ავაყვავებთ კულტურულად, მაგრამ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ისტორიისაგან მივიწყებულ და გაველურებულ ხალხს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლება მოუწოდებს ცხოვრებისაკენ, საკუთარი, კლასიური და ეროვნული სახის გამოაშკარავებისაკენ.

სომხეთში

სომხეთში, დაშნაკელთა ქვეყანაში, ქვეყანაში, სადაც გაბატონებული იყო მაუზერი და ეკლესია, ამ სომხეთში ჩვენ გვაქვს შემდეგი მიღწევანი:

საჯარო ბიბლიოთეკას, რომელიც გაიხსნა საბჭოთა ხელისუფლების დროს. აქვს 100 ათასი ეგზემპლიარი წიგნი და სამკითხველოში ყოველდღიურად დადის 400 მკითხველი.

შევეხები სომხეთისათვის კიდევ ერთ დამახასიათებელ საკითხს უპატრონო ბავშვთა შესახებ. ტყუილ უბრალოთ არ უწოდებენ სომხეთს ობლების სახლს—იქ ობლები შეადგენენ მთელ მოსახლეობის 6 პროც. ესენი არიან უცნობ მშობლების ბავშვები, რომლებიც სომხეთში გადმოსტყორცნა დიდი და სასტიკი გადასახლების ტალღამ იმპერიალისტურ ომის დროს, სომხეთსა და აზერბეიჯანის შორის წარმოებულ ხოცვა-ჟლეტის დროს. უპატრონო ბავშვები იმყოფებიან ამჟამად ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკულ კომიტეტის თავშესაფარში. მათი რიცხვი შეადგენს 14 ათასს. სომხეთის სახ. კომისართა საბჭოს მათ გარდა ჰყავს კიდევ 3 ათასი უპატრონო ბავშვი, რომლებიც მათ ხარჯზე იმყოფებიან: ერთი ათასს ინახავს ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭო, 2 ათასი ბავშვი არ არიან უზრუნველყოფილი იმდენად, რათა საბჭოთა ხელისუფლებას მათი სახით მომავალში ბანდიტები არ მოევლინოს.

აზერბეიჯანში

გადავდივარ აზერბეიჯანზე. ეს შედარებით ჩამორჩენილი რესპუბლიკაა ჩვენს ფედერაციაში. რესპუბლიკა, რომელმაც მხოლოდ გუშინ გამოარკვია თავისი სახე აქამდე კი წარმოადგენდა უფორმო მასას, რომელსაც სწოვდა ფეოდალური რეჟიმი, მუსავატისტების პარტია და სხვა, რომელსაც არ ჰქონია მტკიცე კულტურული ტრადიციები. ამ ჩამორჩენილ აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დროს გვაქვს პოლიტეხნიკუმი, უნივერსიტეტი, სახელმწიფო კონსერვატორია, გვყავს 107,366 ბავშვი პირველ საფეხურის სკოლებში, 6 ათასი მე-2 საფეხურის სკოლებში. ამასთანავე თათარ ბავშვთა პროცენტი ყოველ წლიურად იზრდება. რაც შეეხება კულტურის განვითარების მაჩვენებელს წიგნების გამომცემლობას აზერბეიჯანში, ორი წლის განმავლობაში გამომცემლობამ „ბაქოს მუშამ" გამოსცა 110 წიგნი 332 ათას ეგზემპლიარი ტირაჟით ცოტა უფრო ამაზე მეტი რაოდენობით აზერბეიჯანის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა, უმთავრესად სახელმძღვანელოები. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს თათრის ბავშვებმა დაინახეს წიგნები მშობლიურ ენაზე. მან დაანახა მრავალი სხვადასხვა სამოსწავლო დაწესებულებანი, მათ შორის სამხედრო სკოლა, რომლის მოწაფეებმა სესიას უძღვნეს საყვირი მათ დასაძახებლად იმ შემთხვევისათვის, თუ როდისმე მდგომარეობა გართულდა.

ეს პატარა ვაჟკაცები—აზერბეიჯანის მომავალი ბურჯებია, ამ ბავშვებიდან გამოიყურება ხვალინდელი აზერბეიჯანი, რომელსაც მოსპობილი ჰქონდა ისეთი „პატივიც" კი, როგორც მაგ. სამხედრო ბეგარის მოხდა მეფის არმიაში თუ არაფერს ვიტყვით ისეთ პატივზე, როგორც ეროვნული კულტურის ხელშეუხებლობა.

ეხლა აზერბეიჯანი გამოდის ამ მდგომარეობიდან, ამ ციხიდან, რომელშიაც ის ჩაამწყვდია და ახრჩობდა ცარიზმი; ეხლა აზერბეიჯანი დგება კავშირის თანამედროვე კულტურულ ხალხთა რიგებში და ეს განსაკუთრებით შესამჩნევია აზერბეიჯანის მცხოვრებთა იმ ნახევარზე. რომელიც დღემდის იყო ოჯახური წყობილების, ჩადრის მსხვერპლი—ლაპარაკია თათრის ქალებზე. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ახადა თათრის ქალს ეს ჩადრი და ჩააყენა იგი თანამედროვე კულტურულ ყოფაცხოვრების პირობებში. სკოლებში თათრის ქალთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. მოსწავლეთა საერთო რიცხვიდან 117,000 პირველ საფეხურის სკოლებში—8.386 თათრის ქალიშვილებია.

აი რით შეუძლია იამაყოს აზერბეიჯანის რესპუბლიკამ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიის ფედერაციამ აზერბეიჯანის თათრის მცხოვრებთა ყველაზე დაჩაგრულ ნაწილის—ქალთა მიმართ. მაგრამ ეს ქალი გამოდის სხვა ასპარეზზედაც—აიღეთ შრომის კოლექტივები და არტელები. ეს არის თვითდახმარების და აზერბეიჯანის საზოგადოებრიობის არაჩვეულებრივი ფორმა საბჭოთა პერიოდამდე. აზერბეიჯანში 9 არტელში 119 ქალია, სადელეგაციო კრებებს ესწრება—2048 დელეგატი ქალი, აქედან 519 თათრის ქალი, ე. ი. 33 პროც. თუ ავიღებთ სხვა კულტურულ დარგებს, მაგალითად, საკლუბო მუშაობას, ჩვენ დავინახავთ, რომ აზერბეიჯანში მოწყობილია 20 კლუბი, რომელშიაც ჩაბმულია 2245 თათრის ქალი და გლეხის ქალი 3 „კუთხე". ქალთა საკლუბო მუშაობის სანიმუშო ცენტრად წარმოადგენს ალი ბაირამოვის სახელობის კლუბი, რომელშიაც ჩაბმულია 800 თათრის ქალი.

თუ ავიღებთ კულტურის მაჩვენებელს პოლიტიკურ აქტივობის მხრივ, მაგალითად ახალგაზრდობის კომკავშირს—ეს კი არის აზერბეიჯანის ხვალინდელი სახე,—ჩვენ დავინახავთ, რომ კომკავშირის თათრის ქალების წევრთა რიცხვი ყოველ წლიურად იზრდება. თათრის ქალი იჩენს აქტივობას პროფმოძრაობაშიაც, კოოპერაციაშიაც და ქალთა და საბჭოთა საზოგადოებრიობის ყველა ასპარეზზე. ამგვარად, აზერბეიჯანის მცხოვრებთა ეს ნახევარი, ყველაზე მივიწყებული, ყველაზე უფრო დაჩაგრული, დღეს განთავისუფლებულია ჩვენ მიერ. ამ საკითხში, ამიერ-კავკასიის ერთა ამოძრავების, მათი კულტურულ მუშაობაში ჩაბმის დარგში ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს გამარჯვებას შესაძლებლობის ფარგლებში, იმ მემკვიდრეობის მიხედვით, რომელიც ჩვენ დაგვიტოვა ძველმა რეჟიმმა—ჩვენ ღირსეულათ შევასრულეთ ამხ. ლენინის ანდერძი.

---

*) ეს თავი „ეროვნული კულტურის შესახებ" უკვე დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში თანდათანობის დასაცავად ჩვენ კვლავ ვიმეორებთ მას, როგორც შესავალს ანგარიშის იმ ნაწილისას, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ.

რედაქცია.

საერთო პოლიტიკური მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში

ფედერაცია. ერთა შორის მშვიდობიანობა

თუ ჩვენ ყველა ამ დარგებში გვაქვს ერთგვარი მიღწევები მრავალ შეცდომებთან, მრავალ ნაკლულოვანებებთან ერთად, დიდძალ მოთხოვნილებებთან და გაჭირვებასთან ერთად, თუ ჩვენ გვაქვს ერთგვარი მიღწევები როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის და კულტურული განვითარების დარგებში, ისმება საკითხი, როგორია ჩვენი რესპუბლიკის საერთო პოლიტიკური მდგომარეობა? არის თუ არა აქ ბრძოლა ხელისუფლებისათვის, გვიდგას თუ არა ჩვენ დღის წესრიგში ხელისუფლების ეს პრობლემა? მე უნდა ვსთქვა, რომ ამ დარგში პოლიტიკა არის სამეურნეო წარმატებების ანარეკლი, რამდენადაც ხალხთა მასები მსჯელობენ რეჟიმზე. მზად არიან დაიცვან ეს რეჟიმი თუ იბრძოლონ მის წინააღმდეგ იმის მიხედვით, რამდენად ის აკმაყოფილებს და ითვალისწინებს ხალხთა მასების მატერიალურ მოთხოვნილებებს. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ამას, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა მეტად მკვიდრია.

საბჭოთა ხელისუფლება ამიერ-კავკასიისათვის ნიშნავდა, როგორც ეს მე ვსთქვი, ეროვნულ მშვიდობიანობას. ეს უჩინარია, მაგრამ დაუფასებელია ამიერ-კავკასიის ხალხებისათვის. ამიერ-კავკასიისათვის საბჭოთა ხელისუფლება თავისთავად ნიშნავდა ერთგვარ დაშოშმინებას, ერთგვარ შერიგებას. მაგრამ ეს შერიგება წავიდა წინ, ორგანიულათ განვითარდა და იქცა ისეთ ჩვეულებრივ მოვლენათ, რომ ამიერ-კავკასიის ერები იმისათვის, რომ გაეძლიერებიათ თავისი თანამშრომლობის სამეურნეო ეფექტი, რომ გაეძლიერებიათ სამხედრო, საგარეო ვაჭრობის, საგარეო პოლიტიკის გაერთიანების, კონტრ-რევოლიუციასთაც ბრძოლის მხრივ თავიანთი კავშირის ეფექტი,—ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წელსავე მივიდენ იმ აზრამდე, რომ ჩამოეყალიბებიათ ეს მთლიანობა, ეს განუყოფლობა ჩვენი მიზნებისა გარეშე ქვეყნების წინაშე, რომ ხაზი გაესვათ ამიერ-კავკასიის, როგორც მთლიანი ეკონომიური ერთეულის, ეკონომიკის განუყოფლობისათვის. ამ საჭიროებიდან წარმოიშვა ჩვენი გაერთიანების პირველი ფორმა—ამიერ-კავკასიის საკავშირო საბჭო. ეს იყო ჩვენი ფედერაციის პირველი ფორმა, პირველი ფორმა ამიერ-კავკასიის ხალხთა პოლიტიკური თანამშრომლობისა.

ორი წლის წინ ეს თანამშრომლობა გამოიხატა ამიერ-კავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის შექმნაში, რომელიც წარმოადგენს არა ჰაერში მფრინავ ორგანოს, არა ცალკე რესპუბლიკების არითმეტიკულ შენაკრებს, არამედ ორგანიულად მთლიანს, ორგანიულ პოლიტიკურ ზედნაშენს, ამიერ-კავკასიის მშრომელთა სახელმწიფოს.

და აი, ამ ერთიანი ფედერატიული რესპუბლიკის თაღს ქვეშ ჩვენი არსებობის ამ სამი წლის განმავლობაში შევსძელით გადაგვეჭრა ის საკითხები, მოგვესპო ის წინააღმდეგობანი, რომელშიც იწვევდენ ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ხალხთა ანტაგონისტურ ზრახვებს, რომლებითაც სატანასავით, ჯოჯოხეთურად სარგებლობდა მეორე ინტერნაციონალის პარტია—საქართველოში—მენშევიკები, სომხეთში—დაშნაკელები (მეორე ინტერნაციონალის ორი თანასწორ უფლებიანი წევრი), აზერბეიჯანში—მუსავატელები (რომლებმაც მართალია ჯერ ვერ მოასწრეს მეორე ინტერნაციონალში შესვლა, მაგრამ, რასაკვირველია არა ყაჩაღური სტაჟის უქონლობის გამო). მეორე ინტერნაციონალის ეს პარტიები გახდენ ინსტრუმენტი იმპერიალიზმის, რომელსაც სურდა, ასე ვსთქვათ, ბალკანეთად ექცია ეს მხარეები, ჩამოეცილებინა პროლეტარული რევოლიუციის კერას, უსისინებდა რა მათ ერთმანეთს, აჩაღებდა ეროვნულ შუღლს, რითაც მუდივ საფრთხეს უმზადებდა ამ კერას, ასუსტებდა ერებს ურთიერთშორის ბრძოლით, სთესავდა მტრობას თაობიდან თაობამდე, რათა ადვილად გაეკაფა გზა ამიერ-კავკასიით ახლო და შორეულ აღმოსავლეთში.

როცა ოქტომბრის რევოლიუციის პირველი მოციქულები ჩამოვიდენ აქ, მათ ამიერ-კავკასია ნახეს თოფის წამლის კვამლში გახვეული, გადაკვლილი მავთულის ხლართებით და სანგრებით. ცხადია, ჩვენი პირველი სიტყვა, პირველი საქმე იყო მშვიდობიანობის დამყარება და ამ მშვიდობიანობის პოლიტიკურ ორგანოს შექმნა. ჩვენ, ამიერ-კავკასიის მთავრობა, შეგნებულათ ვსთვლით ჩვენს თავს ეროვნული მშვიდობიანობის ორგანოთ პირველ ყოვლისა ამიერ-კავკასიაში. ჩვენ რომ სხვა მიღწევებიც არ გვქონოდეს, გარდა აქ მტკიცე მშვიდობიანობის მიღწევისა, მარტო ესეც უფლებას მოგვცემდა, გვეთქვა, რომ ჩვენ მოვედით თავის დროზე, რომ ჩვენ აქ ვართ ლენინის ანდერძის გამტარებელნი.

მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს შედეგები და გახრწნა ჩვენს წინააღმდეგ მებრძოლ პარტიებისა: საქართველოში სოციალ-დემოკრატების, სომხეთში — დაშნაკელების, აზერბეიჯანში—თურქულ რეაქციონურ პარტიის—მუსავატებისა. ამჟამად ეს პარტიები მოსპობილნი არიან, დღეს ჩვენ არ შეგვიძლია შევხედოთ მათ ისეთ მტრებად, რომელთაც შეეძლოთ შემოგვეცადავონ ჩვენ ძალა-უფლებაში. სომხეთში გაიხრწნა დაშნაკიზმი. ამჟამად იქ აღარ არის მოსახლეობის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მხარს უჭერდეს დაშნაკელებს. საქართველოში მენშევიზმი, რომელიც ითვლებოდა მუშათა და გლეხთა პარტიად, როგორც პარტია უკვე აღარ არსებობს და მით უმეტეს როგორც მშრომელთა პარტია, რა თქმა უნდა, როგორც გამომხატველი იმ რეაქციონურ წრეების რეაქციონურ მისწრაფებათა, რომელიც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის ამოფხვრილი საქართველოს ნიადაგიდან, ამ რეაქციონური ჯგუფების მისწრაფებათა გამომხატველი მენშევიკების ნაშთი კვლავ დარჩება, შეიძლება, როგორც იატაკს ქვეშ მომუშავე ტერორისტული ან სხვაგვარ მავნე ორგანიზაციის სახით. მაგრამ როგორც მუშათა კლასის პარტია, როგორც პარტია გლეხობისა, ე. ი. საქართველოს მოსახლეობის 98 პროცენტისა, მენშევიკური პარტია უკვე აღარ არსებობს.

მდგომარეობა საქართველოში

მაგრამ თქვენ იტყვით—მტრები არ არის, კლასიური ანტაგონისტური პარტიები არ არსებობს, მაშ როგორ მოხდა, რომ საქართველოს აჯანყების ამბებმა რამდენიმე დღის განმავლობაში აავსო ჩვენი და ევროპის გაზეთების ფურცლები. საიდან გაჩნდა საქართველოს ეს აჯანყება? ნება მიბოძეთ ამხანაგებო, გადავიდე ამ საკითხზე.

მე უკვე ვსთქვი, რომ საკმარისია შევხედოთ პოლიტიკურ ქარტას და იმ ადგილს, სადაც არის ამიერ-კავკასია, რომ გავიგოთ, რომ ეს გზა სპირდებოდა იმპერიალიზმს მას შემდეგ, რაც ქვეყანას გაჩნდა პროლეტარული რევოლიუციის კერა, რომელიც ემუქრებოდა კაპიტალისტების ბატონობას მთელ დედამიწის ზურგზე, ამას მიხვდა გერმანიის იმპერიალიზმი და რა თქმა უნდა იმასავე მიხვდა ინგლისის იმპერიალიზმიც. და აი იმპერიალიზმისა და ბაქოს ნავთის მნიშვნელობის გამო, რომელიც ანდამატს წარმოადგენს ევროპის მტაცებლურ ძალებისათვის, ამიერ-კავკასიას და კერძოდ საქართველოს—რომელიც პირველი საფეხურია შუა აზიისკენ მიმავალ გზისა—პირველი შეხედვით თითქოს განუსაზღვრელი მნიშვნელობა მიეცა საერთაშორისო პოლიტიკაში. ამიტომ საქართველო და მისი ასე ვსთქვათ, ბოროტი გენია მენშევიკები; შეიქნენ აგრესიულ ბურჟუაზიის ყურადღების ცენტრი. აქედან ბატონმა ჟორდანიებმა გამოიტანეს ისეთი დასკვნა, თითქოს მათ სცნობენ, თითქოს მათ პატივს სცემდენ ისე, როგორც მენშევიკების წარმომადგენელთა, როგორც „უკულტურიოვანეს ხალხის წარმომადგენლებს" აზიის ამ შვეიცარიიდან, აზიის ამ წინა კარებიდან. მათ ეგონათ, რომ თავისი საკუთარი ხვედრითი წონით, როგორც მეფე ვახტანგისა და ერეკლე მე-II შთამომავალთ, მათ შეეძლოთ იმპერიალიზმის აქტიური დახმარების იმედი ქონოდათ. ამიტომ იყო ის, რომ ისინი ასეთი სინაზით ჯდებოდენ ერთი ეტლიდან მეორეში, ამიტომ იყო, რომ ისინი წვრილი ბურჟუაზიის უზრდელობით, რომელსაც ემატებოდა სიბეცე და სისულელე, დაირაზმენ მშრომელთა რევოლიუციის წინააღმდეგ და ასე გამომწვევათ ეჭირათ მათ თავი ამ პროლეტარულ რევოლიუციის კერის მიმართ. სიყალბეა და მოჭორილია ის ამბავი, თითქოს მენშევიკებმა მიტომ გამოაცხადეს რუსეთისაგან დამოუკიდებლობა, რომ ქართველ ხალხს მოელოდა ფიზიკური განადგურება ოსმალეთის სულთანის ჯარებისაგან. ერთად ერთი მოტივი და მიზანი ამ გამოყოფისა ამიერ-კავკასიის სეიმში ონიაშვილისა და წერეთელის ოფიციალურ მოხსენების თანახმად, იყო მათი ჩამოშორება პროლეტარულ რევოლიუციისაგან, ჩამოშორება იმ ხელისუფლებისაგან, რომელმაც წერეთელის თქმით, დაჰკლა რუსი ხალხის წმინდათა წმინდა, რუსეთის სახელმწიფოებრიობა, ე. ი. დაჰკლა მილიუკოვისა და კერენსკის სახელმწიფოებრიობა. მხოლოდ ამის გამო ჩამოშორდენ მენშევიკები საბჭოთა ხელისუფლებას, რევოლიუციას და მთელი თავისი არსებით გადავიდენ იმპერიალისმის ბანაკში.

მაგრამ გამოირკვა, რომ იმპერიალიზმს ხანდახან შეუძლია ისარგებლოს ამ ფინიით, მაგრამ ყოველთვის კი არა. როდესაც კავკასიის ქედზე გამოჩნდება კონუსის მაგვარი ქუდი წითელი ხუთკუთხიანი ვარსკვლავით, მაშინ, სხვადასხვა მოსაზრებებით ინგლისის ჯარები იძულებული არიან დასტოვონ ამიერ-კავკასია. ისინი აცხადებენ, რომ კავკასიის საქმეებში არ არიან დაინტერესებული და ამ ნადავლს საფრანგეთს უთმობენ. მაგრამ აქ უკვე საქართველოს საშინაო მდგომარეობა იმდენად გამწვავებულია, რომ მისი გასაბჭოების აქტი იყო აქტი თავდაცვისა იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი გამოიყენა რეაქციის გასაძლიერებლად. ჩვენთვის უმჯობესი იყო ეს ძალები [illegible] აქედან განდევნილი პუანკარეს კალთის ქვეშ, ვინემ გვეცქირა აქ მათი ბრძანებლობისათვის. ჩვენ, საქართველოს და ამიერ-კავკასიის კომუნისტებმა ავიღეთ თავის თავზე ინიციატივა და ინტერნაციონალურ არმიის დახმარებით გავაძევეთ აქედან რეაქციონური ძალები და მათი არსებობა ისტორიას ჩავაბარეთ. და მაშინ ნოე ჟორდანიამ, გაითვალისწინა რა თავისი მდგომარეობა და შეადარა ის ბელგიის მეფის მდგომარეობას, როდესაც უკანასკნელი განდევნილ იქნა გერმანიის საოკუპაციო ჯარების მიერ, გამოიყვანა დასკვნა, რომ დღეს თუ არა ხვალ ის აღდგენილი იქნება კაპიტალისტურ არმიის მიერ. მაგრამ შემდეგ გამოირკვა რომ ეს ასე არ იყო.

1922 წლის იენისში, გენუას კონფერენციის შემდეგ ნოე ჟორდანია, რომელსაც უკვე ზედმიწევნით კარგად აქვს გამორკვეული იმპერიალისტური პოლიტიკის ნამდვილი მიზანი, სახელმძღვანელო წერილს სწერს საქართველოს მენშევიკებს, რომელშიაც ის იტყობინება, რომ ისინი „დაღუპა ნავთმა", და ამიტომ „ჩვენ ეხლა საქართველოს საკითხს უკავშირებთ ბაქოს ნავთის საკითხს" ჟორდანია სწერდა, რომ ეს საკითხი მათ გადააქვთ მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე განსახილველათ. ამასთანავე ერთად მენშევიკების და მთელი საზღვარ-გარეთელი პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის არალეგალურ ორგანოს „თავისუფალი საქართველოში" დაიბეჭდა მოწინავე წერილი სათაურით „ბაქო და თბილისი", სადაც უსირცხვოთ ნათქვამი იყო: „საქართველოს დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, ვინც მოინდომებს ბაქოს დაუფლებას", და შემდეგ: „ჩვენი ხალხი და ჩვენი დიპლომატია ვალდებულია შექმნას პირობები ბაქოს სიმდიდრით თავისუფლათ სარგებლობისათვის, ვის ხელშიც არ უნდა იქნეს ის, უშუალოთ აზერბეიჯანის თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოს ხელში, რომელიც დაეპატრონება მას ამა თუ იმ ფორმით. ეს ჩვენ უნდა განვაცხადოთ აშკარათ და ყველასათვის გასაგონად. და ამგვარათ ჩვენი დევიზია: „გზა ბაქოსკენ თავისუფალია მხოლოთ თავისუფალ საქართველოზე გავლით".

ცხადია, რომ დაუკავშირა რა საკითხი ბაქოს ნავთს, ჟორდანიამ ამით დაუკავშირა ის იმათ, ვინც დაინტერესებულია ბაქოს ნავთით. ასეც გამოდგა. და ის რაც აქ მოხდა აგვისტოში, არის კაპიტალისტური ოჯახის საშინაო ამბავი, რომლის შესახებ ბევრმა არ იცის მთელი სიმართლე. მაგრამ ის თანდათან ირკვევა და აშკარათ ხდება. აი რას სწერდა საფრანგეთის ნავთის მწარმოებელთა ორგანო, რომელმაც იცის ნავთის ფასი და ის სიძნელე, რომელიც ამ ნავთის შოვნას წინ ელობება.

„პირობები, რომელშიც დაიწყო აჯანყება, მისი განვითარების საშუალება, როგორც ჩვენ ამის შესახებ გვატყობინებდენ, გვაფიქრებინებს, რომ მოძრაობას ჰქონდა დიდი მატერიალური დახმარება. ჩვენ სავსებით სარწმუნოთ მიგვაჩნია, რომ ამ დახმარებას უწევდა ის ჯგუფები, რომლებიც იცავდენ მსხვილ ნავთის მრეწველთა ინტერესებს".

ეხლა ვნახოთ რას ლაპარაკობენ მსოფლიოს მეორე კუთხეში, ამერიკაში, სადაც აგრეთვე იციან სხვისი ნავთის ფასი. „ნიუ - იორკ - ტაიმსი" სწერს: აქ ყველასთვის აშკარაა, რომ რევოლიუციას ფულით დახმარებას უწევდენ და ხელმძღვანელობდენ პარიზიდან სადაც მსხვილი მწარმოებელნი ეხმარებიან საქართველოს მთავრობის და ბაქოს ნავთის მესაკუთრეთა ჯგუფებს.

დაბოლოს, მოვიგონოთ განცხადება, რომელიც უნებურად წამოსცდა საქართველოში მომხდარ „აჯანყების" შესახებ საფრანგეთის ბურჟუაზიულ ორგანოს „პტი ჟურნალს", „რა მატერიალურ ძალას მოუპოვებდა ერთა ლიგა, რომ უზრუნველ ეყო თავისთვის კონტროლი ბაქოს ნავთის წარმოებაზე, რომელსაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანობის საქმეში".

ამგვარად უკვე ამ პირველ წყაროებიდან შევიძლია დავასკვნათ, რომ აქ მოქმედებდა იგივე ძალა, რომელიც ამოქმედებს აღმოსავლეთ ვილაიეტების ქურთის ტომებს „სარწმუნოების შემბღალავი" ქემალის წინააღმდეგ. იგივე ძალა ფარულად ან აშკარად ხელმძღვანელობს აჯანყებას სპარსეთში, ავღანისტანში და სხვ. ყველგან, სადაც სჩანს რევოლიუციის რაიმე ნიშნები. მაგრამ რას წარმოადგენს თავის თავად ეს აჯანყება. ნება მომეცით მოკლეთ დაგიხატოთ ის. 28 აგვისტოს ღამით, 4 საათზე პატარა ქალაქ ჭიათურაში, რომელშიაც სულ 2.500 მცხოვრებია, მოხდა მენშევიკების გამოსვლა რიცხვით 60 კაცამდე. ისინი განიარაღებულ იქნენ კომკავშირელების მიერ. ცოტა ხნით იქ არ ყოფილა არავითარი ხელის უფლება. ეს ამბავი გაგრძელდა სწორედ 18 საათს. კომუნისტების რაზმმა, რომელიც მაზრის ცენტრიდან მოვიდა მეორე დღეს გარეკა აჯანყებულნი, რომელნიც მალე დაბრუნდენ და ჩაგვაბარეს იარაღი. მუშები არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ. წარმოება რამოდენიმე ვერსით დაშორებულია ქალაქზე, მუშები მუშაობდენ გარდა ერთ გერმანული ფირმისა რომლის ქარხანაში მუშებისა და მოსამსახურეების ადგილებზე აღმოჩნდენ რამოდენიმე სტუდენტი და ყოფილი ოფიცერი, რომელთაც იარაღის მუქარით აიძულეს მუშები მიეტოვებიათ სამუშაო და ქარხანას იმ დღეს აღარ უმუშავია.

მეორე დღეს იგივე განმეორდა გურიაში, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში. აქ უკვე გლეხობა ნაწილობრივ იღებდა მონაწილეობას გამოსვლებში.

გურიის სამაზრო ქალაქ ოზურგეთზე თავდასხმა არ მომხდარა. ეს გრძელდებოდა, მანამ ბათომიდან მუშებმა არ მოუსწრეს, რომელთაც ქართული დივიზიის უმნიშვნელო ნაწილის დახმარებით სამ დღეში მოახდინეს ყველაფრის ლიკვიდაცია.

აი დაახლოებით იმის სურათი, თუ რას წარმოადგენდა ეს აჯანყება, რომელსაც არავითარი უბედურება გარდა 150 კომუნისტის დაღუპვისა, სამი ოთხი დღით გლეხთა ცხოვრების არევ-დარევისა, არ მოჰყოლია. არ

ყოფილა ისეთი არაფერი, რაც ახასიათებს მასიურ აჯანყებას. მაგრამ ჩვენ ღირსნი არ ვიქნებოდით არათუ რვა რესპუბლიკის, არამედ რვა ცხვარის განმგებლობისა, რომ დავმშვიდებულიყავით იმით, რომ ასე ადვილად დავამარცხეთ მენშევიკები და მემამულეები.

ჩვენ ღირსი არ ვიქნებოდით იმ ადგილეზე ყოფნისა, რომელიც გვიჭირავს, რომ შევკრებულიყავით ამაზე და არც შევჩერდით, არ მივბაძეთ ჟორდანიას მაგალითს, რომელმაც 1918—193 წლის აჯანყების შემდეგ მთელი გლეხობა რეაქციონურად გამოაცხადა და მოუწოდა თავის პარტიას გლეხობის წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიების დაწყებისაკენ. მიუდექით რა უფრო ახლოს საკითხს, ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სოფლის მოსახლეობას უეჭველად მოუტანა სარგებლობა, ჩვენ მაინც გვქონდა საკმაო ნაკლი, უპირველესად ყოვლისა—სოფელში ჩვენი საბჭოთა აპარატის მოწყობის სფეროში. ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ ჩვენი აპარატი საკმაოდ დაშორებულია სოფლის მცხოვრებთაგან.

წინად საქართველოში პირველ საფეხურის საადმინისტრაციო ერთეულად ითვლებოდა თემი, შემდეგ, გავამაგრეთ რა ის, ჩვენ შევქმენით რაიონები, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს საბჭოთა აპარატი ამ რაიონების გლეხთაგან ძლიერ დაშორებული იყო. ამიტომ ჩვენმა საბჭოთა სეისმოგრაფმა ვერ გვამცნო მიწისძვრის მოახლოვება.

მეორეს მხრივ გამოირკვა, რომ მოთხოვნილების არ ქონის ხანა, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, უკვე დამთავრდა. ქართველი გლეხი ხშირად დადის ფეხშიშველი, შეიძლება წელიწადში ერთხელ სჭამს ხორცს, მაგრამ მან იცის, რომელ წელში იყო ს. დ. პარტიის ესა თუ ის კონფერენცია, რომელმა ორატორებმა ილაპარაკეს იქ, მას შეუძლია მოიყვანოს ციტატები მარქსისტების ნაწარმოებიდან. აი ეხლა ეს გლეხი, როდესაც არ არსებობს ბათომი, როგორც ნავთსადგური, როდესაც იქ არის მხოლოდ 700 მტვირთავი, წინად კი იყო 15,000 კაცზე მეტი უმთავრესად გურულები, გაფაციცებით ყურს უგდებს დაპირებებს მისი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

გურიის საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო ბევრი რამ მიეცა გლეხობისათვის. მემამულეთა მიწები იქ არ იყო. წარმოების მოწყობა იქ ჩვენ არ შეგვეძლო. ჩვენ იქ გავიყვანეთ მხოლოდ პატარა რკინის გზა, განვახორციელეთ რა ამით გურიის გლეხობის დიდი ხნის სურვილი, მაგრამ ამან მაინც ვერ დააკმაყოფილა გლეხობა, ვერ მისცა მას ტანსაცმელი, საჭმელი. და სწორედ ეს არის საჭირო. ყველაფერი ამის გამო გლეხობა ყურს უგდებდა მენშევიკების ნაცდურ სიტყვებს, რომ ინგლისს მოაქვს იაფი პური, იაფი ფართლეულობა. გაძარცვავდენ რა კოოპერატივს მეზობელ სოფელში ისინი მართლაც ზოგიერთ რაიონებში ჰყიდდენ საქონელს იაფ ფასებში, არწმუნებდენ ხალხს, რომ ინგლისელებმა გამოგზავნეს ეს წინდაწინ, რომ ნავთსადგურებში და ყველგან დაიწყება გაცხოველებული მუშაობა. საკვირველია ეს. მაგრამ სწორედ ისეთმა მოწინავე გლეხობამ როგორიცაა გურიის გლეხი, დაუჯერა ამ შანტაჟს. რასაკვირველია დამოუკიდებლობის საკითხს აქ არავითარი მნიშვნელოვანი როლი არ უთამაშნია. იცოდა რა ყველაფერი, რაც საქართველოში ხდებოდა გლეხობას არ შეეძლო ეფიქრა, რომ საქართველოს კომუნისტები არიან კოლონიზატორები და ართმევენ ქართველ გლეხებს და მუშებს მათ ეროვნულ და კლასიურ დამოუკიდებლობას. ეს ყველაფერი სისულელე და მენშევიკების ზღაპრებია. მნიშვნელოვანია ის, რომ გლეხობა ყურს უგდებდა დაპირებებს სამეურნეო მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. და აი გლეხობის ნაწილი გამოვიდა რაღაც არსებითი ცვლილების მოლოდინში, მაგრამ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღია. მაგრამ როგორც კი გამოირკვა, რომ არავითარი ინგლისის მანუფაქტურა არ არსებობს, რომ არავითარი ინგლისის პური არ არსებობს და ჟორდანია თბილისში არ გადმოფრენილა იუნკერსით—გლეხობა გამოერკვა, ის საბოლოოდ დაკარგულია ეხლა მენშევიზმისათვის. თვითონ რეაქციონური ავანტიურის კომიტეტი მის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში აცხადებს:

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი თავის დაარსების დღიდან ისახავდა რა მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, დარწმუნებული იყო, რომ ის შესძლებდა ამ მიზნისთვის მომზადებია და განხორციელებია ქართველი ერის შეიარაღებული გამოსვლა.

ამ მიზნით დამოუკიდებლობის კომიტეტი რამოდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო მუშაობას და აწყობდა შეიარაღებულ რაზმებს. მეორეს მხრივ საზღვარგარეთ არსებული ბიუროს საშუალებით, ის ცდილობდა შეექმნა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში კერძოთ ინგლისში და საფრანგეთში სათანადო პირობები — დახმარების მისაღებად. მაგრამ ჩვენში იმედი არ გამართლდა და ჩვენ დავმარცხდით.

მასიური, დარაზმული გამოსვლა რომელსაც ჩვენ მოველოდით, არ მოხდა. ხალხთა ფართო მასებმა ჩვენ მხარი არ დაგვიჭირეს და ჩვენ დავრჩით იმ აქტიურ ძალების ამარა, რომლებიც შეადგენდენ ერის ზედაფენებს და რომელთა უმეტესი ნაწილი ტყეებში იმალებოდა.

ჩვენი გამოსვლა ჩვენი სურვილის წინააღმდეგ ფაქტიურად გადაიქცა ავანტიურად, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ხელისუფლების რეპრესიები, რომლისათვისაც მთელი პასუხისმგებლობა გვეკისრება ჩვენ“.

აი იმ პარიტეტულ კომიტეტის წევრთა აღსარება, რომელთაც აქ ინდოდათ მოეწყოთ აჯანყება კაპიტალის სასახელოთ, რომელთაც უნდოდა გაეუქმებია საქართველოს დამოკიდებულება პროლეტარულ რევოლიუციისაგან და იმპერიალისტურ დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ გაეხადა იგი დამოკიდებული და გაყვლეფილი კაპიტალის მიერ.

ისინი მარტო არ იყვენ. მათ ჰყავთ არა მარტო იმპერიალიზმი, არა მარტო კაპიტალისტური ბურჟუაზია, არამედ ამ ბურჟუაზიის ინტერნაციონალი—მეორე ინტერნაციონალი.

აჯანყების წინა დღეში დუმერგმა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საჭიროთ სცნო მიეღო ჩხენკელი საქართველოს ოფიციალურ ელჩის და ნამდვილ წარმომადგენლის სახით. მე არ ვიცი რამდენად სერიოზულია ეს აქტი საერთოთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ეს იყო პოლიტიკური მნიშვნელობის ნაბიჯი, რომელიც უჩვენებდა პარიზში თავშეფარებულ ქართველებს, რომ ისინი იმყოფებიან დიდი სახელმწიფოს ზედამხედველობის ქვეშ და ამხნევებდა მათ „მშვენიერ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის“ ბრძოლაში.

ამავე დროს მაკდონალდმა, რომელიც სათავეში მოექცა ხელისუფლებას, ერთ-ერთ ლიდერის შეკითხვაზე, თუ რატომ არიან ეს ტერიტორიები (ე. ი. საქართველო და ამიერ-კავკასია) ბოლშევიკების ტარანიის უღლის ქვეშო“, უპასუხა:

„ყოველშემთხვევაში ნაწილობრივად აღნიშნულ ტერიტორიების თვით ხალხებმა უნდა უპასუხონო“, რათქმა უნდა ჩვენ იმდენად კეთილშობილი ვიყავით, რომ არავითარი უკანა აზრები არ დავსწამეთ მაკდონალდს, და ვფიქრობდით, რომ მან მხოლოდ თავიდან მოიშორა ეს ლიდერები. ნამდვილად კი, როდესაც ჩვენ ეხლა ვიხილავთ ამ დიალოგს უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ აღმოვჩნდით გულუბრყვილონი იმპერიალიზმის ძველ გამოცდილ მგლის მაკდონალდის წინაშე. რომელმაც საჯაროთ მისცა მენშევიკებს ნაწილობრივ აჯანყების პროგრამა. ეს სწორედ დროული იყო. „აჯანყება“ დანიშნეს იმ მომენტისათვის, როდესაც უნდა შეკრებულიყო ერთა ლიგის სესია, როდესაც საფრანგეთში ერრიოს უნდა დაენიშნა დე-მონზის კომისია საბჭოთა რესპუბლიკის მდგომარეობის შესასწავლად, როდესაც ამხ. რაკოვსკიმ გამართა მოლაპარაკება მაკდონალდთან სესხის შესახებ. ამ დროს იმპერიალიზმის პროგრამაში იყო დიდი ქანაობა მაქსიმუმი და მინიმუმი. თუ მოხერხდა აჯანყების მოწყობა—კარგი იქნება. „განთავისუფლებულ“ საქართველოში შევა არა ჟორდანიას არმია, არამედ სხვა ვინმესი. მაგრამ დეოკუპაცია თუ არ მოხდა, მაშინ შეიძლება მოეწყოს სკანდალი იმისათვის, რათა საბჭოთა დიპლომატებზე ზეგავლენა მოახდინოს, რათა ისინი წავიდნენ დათმობაზე ვალების საკითხში და სხვ. ეხლა ეს აშკარაა, მაგრამ მაშინ ეს ნათელი არ იყო ჩვენთვის. მაგრამ არ გამოვიდა არც მაქსიმუმი და არც მინიმუმი: გამოსვლები აღმოჩნდა უბრალო ავანტიურა.

მაგრამ ეს ჩვენთვის მაინც გაკვეთილი იყო. ამ გაკვეთილზე ჩვენ აშკარად შევიგნეთ ჩვენი საბჭოთა აპარატის ღირსება. ჩვენ შევიგნეთ ჩვენი შეცდომებიც იმაში, რომ დავაგვიანეთ იმ ღონისძიებათა მიღება, რომლითაც ჩვენ უნდა გვეწარმოებია ბრძოლა გლეხთა ცხოვრების მოუწყობლობის წინააღმდეგ. ამავე დროს ჩვენ შევიგნეთ ჩვენი მტკიცე მხარეები. ჩვენ გავიგეთ, რომ მუშათა კლასი მთლიანად ჩვენ მხარეზეა და ყოფილი მენშევიკებიც კი, რომლებიც პარტიიდან გავიდენ ამ დღეებში, აქტიურად, იარაღით ხელში გამოვიდენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად. ამ ისტორიამ დაგვანახვა ჩვენ, რომ ნაციონალურ საკითხსაც ჩვენ სწორად ვსჭრით. ავტონომიური რესპუბლიკები, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი მენშევიკურ საქართველოსადმი, ეხლა აქტიურად დახმარებას უწევენ მეზობელ მაზრებს, რომლებიც ამ გამოსვლებისაგან დაზარალდენ.

დაბოლოს, ჩვენ გავიგეთ, რომ ჩვენი ახალგაზრდა ქართული წითელი არმია აღმოჩნდა სავსებით გამსჭვალული ბოლშევიკური იდეებით, სავსებით გასაბჭოებული. მასში ამ გადამწყვეტ დღეებში არ აღმოჩენილა არც ერთი მოღალატე, არც ერთი არ შემკრთალა საფრთხის წინაშე. (ტაში).

რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლების ორი-სამი რაიონის მშრომელთა ნორმალური ცხოვრების ეს მოკლე ხნით დარღვევა დიდი მინუსია, მაგრამ ამ მინუსმა ჩვენს სინამდვილეში აღმოაჩინა ბევრი პლიუსი და ჩვენ პირობას მსდებთ თქვენს წინაშე, რომ ხელს ჩავჭიდებთ მათ და ამ პლიუსების ნიადაგზე შევეცდებით გამოვასწოროთ ის მინუსები, რომლებიც გვაქვს. ნება მომეცით კიდევ მოგაგონოთ ეს მინუსები: საქართველოს მშრომელი მოსახლეობის მრავალრიცხოვანობა, მიწის ნაკლებობა. საქართველოში მშრომელი მოსახლეობის თითო სულს ხვდება 0,4 დესიატინა მიწა.

ამხანაგებო, როცა ჩვენი სამეურნეო განვითარების და ტეხნიკის დონე ისეთია, რომ ჩვენ მიწა უნდა დავამუშაოთ რომაული გუთნით, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი ამოცანა დასრულებულად ჩავთვალოთ. საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის მერყევ მდგომარეობაში იქნება, თუ ჩვენ არ დავიპყრობთ ამ ჯანსაღ გლეხურ მასას, რომელსაც აქვს შემოქმედების უნარი, შეუძლია აღმშენებლობა საკმაოდ კულტურულად განვითარებული საწარმოო მუშაობით... ეს შესაძლებლობანი ჩვენ გვაქვს, პერსპექტივები ისახებიან, მაგრამ ამისათვის საჭიროა: პირველ ყოვლისა ამ ზომების დადასტურება, სათანადო გეგმა, საბჭოთა გაბედულობა და დაჭიმვა მთელი ჩვენ ძალებისა და ნებისყოფის, რაც საკმაო იქნება იმისათვის, რომ გადავსჭრათ ეს ჩვენს წინაშე დასმული პრობლემა.

ჩვენი წითელი არმია

მე ჩემს მოხსენებას დამთავრებულად არ ჩავთვლი, თუ არ მოვახსენე სესიას კიდევ ერთი ძალის შესახებ, რომელიც გვყავს ჩვენ და რომელიც არის როგორც მშვიდობიანი და წყნარი აღმშენებლობითი შრომის, ისე კულტურის ელემენტი. მე ვლაპარაკობ ჩვენი საერთო საკავშირო არმიის შესახებ. ეს არმია ნაწილები ჰყავს ამიერ-კავკასიის თვითეული ცალკე რესპუბლიკის პირველ ყრილობას, ეს ნიშნავს უაღრეს ნათესაობას, სიახლოვეს, შეთვისებას, რომელთა იჩენენ ჩვენი ამიერ-კავკასიის ერები. მუშურ-გლეხურმა მშრომელმა ამიერ-კავკასიამ ყველაფერი უთხრა საყვარელ წითელ არმიას, რისი თქმაც შეეძლო, როცა იშველა რუსული არმიის რუსული ნაწილი, როცა ის ჯერ კიდევ არ იყო საკავშირო არმია, რადგან არ არსებობდა მაშინ საბჭოთა კავშირი ამ არმიამ სავსებით დაიმსახურა ამიერ-კავკასიის ხალხთა ასეთი სიყვარული, ეს მე უნდა მოვაგონო სესიას, რომ რამდენადაც არმია იძლევა სიმტკიცის, პროლეტარული „ჯენტლმენობის“ მაგალითს, იმდენად ის ინადირებს ქართველი, თურქი და სხვა ძალების გულს, რომელთაც წინად საბჭოთა რევოლიუციამდე რუსეთის ჯარისკაცებისაგან ჩაგვრის, ძალადობისა და დაცინვის მეტი არაფერი ახსოვთ.

ამ ჟამად კავკასიის წითელ დროშოვანი არმია, რომელიც შესდგება უმთავრესად უკრაინელებისა და ვოლგის განაპირა მხარის მცხოვრებლებისაგან, წარმოადგენს მუშათა და გლეხთა მონაპოვარის კულტურულ დამცველთა მაგალითს. (ტაში).

მე ვფიქრობ, რომ ამ გარემოებამ დიდი როლი ითამაშა იმ ვარდატეხაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს მუშათა მასაში.

მთელი სიძულვილი, მთელი ბოღმა, მთელი ცილისწამება, რომელიც მენშევიკების პირიდან სცვივოდა, მიმართული იყო წითელი არმიის წინააღმდეგ; კაციჭამიები, მოძალადეები, გამხრწნელები, ხალხის წმინდათა წმინდის შეურაცხმყოფელნი. ნაცვლათ ჩვენს წინაშე წარმოსდგა ნამდვილ პროლეტარული ინტერნაციონალის წითელი არმია. არმიამ, თბილისში შემოსვლის პირველი დღიდანვე, დაგვანახვა მთელი თავისი სიმტკიცე ბრძოლაში, სიძულვილი ექსპლოატატორებისადმი, ქართველი ხალხის მჩაგვრელებისადმი და ამასთანავე მან დაამტკიცა, რომ ის მზადაა დახმარება გაუწიოს ხალხს კაპიტალთან ბრძოლაში.

მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ გამოვსთქვამ არა მარტო ჩვენი მთავრობის, არამედ ყველა ჩვენი რესპუბლიკების, მთელი მშრომელი ხალხის აზრს თუ ვიტყვი: „წითელი საკავშირო არმია,—ეს არა მარტო ჩვენი სასურველი სტუმარია. ეს განუყრელი ძმაა—ჩვენი თანამებრძოლი ჩვენი საქმისათვის, ჩვენი იდეების გასავრცელებლად ჩაგრულ კაცობრიობას მშრომელთა შორის. მე ვფიქრობ, რომ როდესაც გვყავს ასეთი ძალა, როდესაც საბჭოთა მშენებლობა ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, მე შემიძლია დავარწმუნო სესია, რომ მაჯაჭვულ და ოქტომბრის რევოლიუციის მიერ განთავისუფლებულ პრომეტეოსის ქვეყანა—ჩვენი კავკასია შეასრულებს ყველა თავის ვალდებულებებს დაუვიწყარ, განსვენებულ მასწავლებლის წინაშე წაიღებს მის დროშას მიუვალ მთებსა და ხეობებში, კავკასიის ხელუხებელ და მიყრუებულ კუთხეებში და მშრომელთა საქმეს, საბჭოთა ხელისუფლების საქმეს არ შეარცხვენს.

თქვენის დახმარებით, თქვენი რჩევით, თქვენი გამოცდილებით მუშათა და გლეხთა შეკავშირების საქმეში, ჩვენ შევასრულებთ ილიჩის ანდერძს და გავამართლებთ ამხ. კალინინის იმედს, რომ ამიერ-კავკასია გახდება საბჭოთა ხელისუფლების ძლიერ ციხე-სიმაგრედ აღმოსავლეთში.

კამათი ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენების გარშემო

6 მარტის (დილის) სხდომა

თავმჯდომარეს ამხ. ჩერვიაკოვს სხდომის გახსნისას შემოაქვს ეროვნებათა საბჭოს და საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის წინადადება იმის შესახებ, რომ ამხ. ორახელაშვილის მოხსენების გამო კამათი სწარმოებდეს გაერთიანებულ სხდომაზე. ორივე პალატაში ცალ-ცალკე კენჭის ყრით ეს წინადადება მიღებულ იქნა. ორატორთა სიის მიხედვით სიტყვა ეძლევა დაღესტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. სამურსკის.

ამხ. სამურსკის სიტყვა

ამხ. სამურსკი, აღნიშნავს რა, რომ ამხ. ორახელაშვილის მოხსენება იძლევა ამომწურავ პასუხს ყველა საკითხებზე, სესიის ყურადღებას აქცევს ამიერ-კავკასიის მთავრობის პოლიტიკაზე ნაციონალურ საკითხში. ის ამბობს, რომ ამ საკითხში ამიერ-კავკასიის მთავრობამ მიაღწია დიდ შედეგებს. მეორე მომენტს, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ცხოვრებისათვის, წარმოადგენს სამელიორაციო მუშაობა. ის ფაქტი, რომ საქართველოში უკვე გაყვანილია სარწყავი არხი 271 ვერსის მანძილზე, რომლითაც ირწყვება 70.000 დესეტინა მიწა და აზერბეიჯანში 81 ვერსის მანძილზე, რომელიც რწყავს 16.000 დესეტინას, მოწმობს იმას, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობას ამ დარგში აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. სამელიორაციო მუშაობა საშუალებას მისცემს ამიერ-კავკასიის ხალხებს გაადიდონ მიწის ფონდი, რომელიც ამ ჟამად ძალიან მცირეა.

ამხ. სამურსკი ფიქრობს, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობას თავის მუშაობაში აქვს ნაკლიც. პირველ ყოვლისა ის ეხება საძოვარი ადგილების საკითხს და სვამს კითხვას:

როგორი იქნება მომავალში ა.-კ. მთავრობის პოლიტიკა საძოვარი ადგილების საკითხში, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის ხალხთა ცხოვრებაში. ჩვენს ხელთ არსებულ ცნობების მიხედვით—ამბობს ამხ. სამურსკი. ახლო მომავალში გამოიცემა დეკრეტი, რომელიც აუკრძალავს ჩრდილოეთ-კავკასიის და დაღესტანის ზოგიერთ ხალხებს იმ საძოვრებით სარგებლობას, რომლითაც ისინი წინად სარგებლობდენ. აქ მეტად მნიშვნელოვანია საძოვრით სარგებლობის ფასი, როგორ უნდა იქნეს ისეთი ფასი საძოვარით სარგებლობაზე, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება მესაქონლეობის, მეურნეობის ინტერესები.

ორატორი სავსებით მხარს უჭერს ამხ. ორახელაშვილის აზრს იმის შესახებ, რომ აუცილებელია აქციზის მოსპობა ღვინოზე, რადგან ეს ხელს შეუწყობს მეღვინეობის განვითარებას. შემდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ჩერდება ამიერ-კავკასიაში გზების აღმშენებლობის საკითხზე, ხაზს უსვამს ამ საკითხის დიდ მნიშვნელობას ქვეყნის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის.

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. სამურსკი უსურვებს ამიერ-კავკასიის მთავრობას წარმატებას შემდეგ მუშაობაში ამ მშვენიერი ქვეყნის მუშების და გლეხების ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ამხ. ხიმშიაშვილის სიტყვა

ამხ. ხიმშიაშვილი ისევე, როგორც წინანდელი ორატორი, აღნიშნავს ამიერ-კავკასიის მთავრობის მნიშვნელოვან მიღწევებს სახალხო მეურნეობის და კულტურის ყველა დარგებში. ის ხაზგასმით ამბობს, რომ ამჟამად მთავრობის სწორი პოლიტიკის წყალობით ნაციონალურ საკითხში გვაქვს დიდი მიღწევები. მთელს ამიერ - კავკასიაში დამყარებულია მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობა. შემდეგ ორატორი ჩერდება მთელ რიგ ამოცანებზე, რომლებიც, მისი აზრით, აუცილებლად გადაჭრილი უნდა იქნეს უახლოეს მომავალში. აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს სასოფლო-მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ჩაის, თამბაქოს, ბამბის გაშენებას. ასეთივე ენერგიული ზომები უნდა იქნეს მიღებული სატყეო მეურნეობის განსავითარებლად.

ამ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ორატორი მოითხოვს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციაში მოეწყოს ცალკე ორგანოების საგანგებო თათბირი, რომელშიაც შევლენ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის და სავაჭრო-სამრეწველო სამმართველოს წარმომადგენლები.

თავის სიტყვის დანარჩენ ნაწილში ამხ. ხიმშიაშვილი დაწვრილებით ჩერდება აჭარისტანის განვითარებაზე უკანასკნელი წლების განმავლობაში. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აჭარისტანმა საბჭოთა ხელისუფლების დროს არა თუ მოსპო ფეოდალიზმი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას დახვდა იქ, არამედ მან დიდათ წინ წასწია ამ პატარა ქვეყნის კულტურული განვითარება.

ამხ. ლაკობას სიტყვა

ამხ. ლაკობა სესიის ყურადღებას აქცევს აფხაზეთის მდგომარეობაზე. ის ამბობს, რომ ცარიზმი სასტიკად ჩაგრავდა აფხაზებს. მენშევიკურმა ხელისუფლებამ, რომელიც თავს აფარებდა რევოლიუციონურ ფრაზებს, ნამდვილად კიდევ უფრო გაჩაღა ცარიზმის პოლიტიკა, და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა აფხაზეთს ნამდვილი თავისუფლება და უჩვენა გზა ხალხთა ჭეშმარიტ ძმობისაკენ.

შემდეგ ორატორი ახასიათებს აფხაზეთის ეკონომიურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ სასოფლო-მეურნეობის დარგში აფხაზეთი აღწევს ომის წინანდელი პროდუქციის 40—50 პროცენტს. აფხაზეთის ერთ-ერთ მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენს ის, რომ მის მიწაში მოიპოვება 13 მილიარდი ფუთი ნახშირი, ტყვიის და ვერცხლის მდიდარი მადანი. ამ მხრივ აფხაზეთს დიდი მომავალი აქვს. ამჟამად საჭიროა ერთგვარი გეოლოგიური გამოკვლევის მოხდენა, რათა ამ გზით მოვემზადოთ ამ სიმდიდრეების ექსპლოატაციისათვის, როცა ამის დრო დადგება. მაგრამ თუ მადნის დამუშავების დარგში ამჟამად დიდი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლება, სამაგიეროთ ეხლავე უნდა იქნეს მიღებული სათანადო ზომები სატყეო სიმდიდრის ექსპლოატაციისათვის. აფხაზეთს აქვს ნახევარი მილიონი დესიატინა ტყის ძვირფასი კულტურა და 7 სახერხი ქარხანა, რომლებიც ან არ მუშაობენ ან მუშაობენ ძალიან ცუდად. ამხ. ლაკობას საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე აფხაზეთში ნავების საამშენებლო წარმოების განვითარება, რადგან მრეწველობის ამ დარგის განვითარება ხელს უწყობს არსებულ პირობები.

ამხ. ადამოვიჩის სიტყვა

(ბელორუსია)

ამხ. ადამოვიჩი ამბობს, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარის მოხსენების მოსმენის შემდეგ შეიძლება მხოლოდ დიდი გაკვირვება გამოვსთქვა იმის გამო, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობას ყველა დარგში და ყველა მიმართულებით გაუწევია უაღრესად დიდი მუშაობა.

ნავთის ამოღების გაძლიერება და ამით ნავთის გაიაფება, მებამბეობის განვითარების გაძლიერება, ხოლო ამით ქსოვილებზე ფასების დაკლება წარმოადგენენ საუკეთესო საძირკველს ყველა იმ ხალხთა შეკავშირებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს კავშირში.

ამიერ-კავკასიის მთავრობის მუშაობაში—ამბობს ამხ. ადამოვიჩი—განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს ის ფაქტი, რომ მან შესძლო უაღრესად განევითარებია კულტურული ცხოვრება. და მიუხედავად იმისა, რომ ბელორუსია წარმოადგენს კულტურულად ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ქვეყანას, სადაც წერა-კითხვის უცოდინარები შეადგენენ მოსახლეობის 80 პროცენტს, ჩვენ განსაკუთრებით აღტაცებული ვართ ამიერ-კავკასიის მთავრობის მიღწევებით.

ჩვენ ბელორუსიის მუშების და გლეხების სახელით მხურვალეთ ხელს ჩამოვართმევთ იმ ამხანაგებს, რომლებმაც თავისი ენერგიული მუშაობით და მასების თაოსნობით შესძლეს კულტურულ დაწესებულებათა ქსელის ფართოდ განვითარება.

ამხ. კალინინის სიტყვა

ამხანაგებო. მე პირველ ყოვლისა უნდა განვაცხადო, რომ თითქმის ყველაზე უფრო ნაკლებად ვიცნობ ქართველ გლეხებს საკავშირო რესპუბლიკის სხვა ნაწილებში მცხოვრებ გლეხებთან შედარებით. ამიტომ შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ჩემი აზრი გადმომდინარეობდეს აქაური გლეხობის სუსტი ცოდნიდან.

მე უნდა შევუერთდე ყველა წინა ორატორებს, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოხსენება მშვენიერი იყო. მაგრამ, რომ მოხსენება ძალიან კარგია. ეს შეიძლება პლიუსი კი არა ნაწილობრივ მინუსიც იყოს. ამბობენ, კარგი მოხსენების თვისება არის სინამდვილის დაფარვა: ის ხალხი, რომელიც გატაცებულია არის კარგი მოხსენებით, ივიწყებს, რომ ჩვენ მოხსენებაზე კი არ უნდა ვიმსჯელოთ—არამედ სინამდვილეზე, და როდესაც ჩვენ მივალთ ამ სინამდვილესთან, მაშინ ამ თუნდ მშვენიერ მოხსენებაში მე ვხედავ უდიდეს ნაკლს, ნაკლს, რომელიც, ალბად არ არის დამოკიდებული მომხსენებლის ნებაზე, ვინაიდან ყველა მხარე ისე კარგად არის გაშუქებული, რომ ამ დარგში აღარაფერი დარჩა გასაშუქებელი. ყველაზე უფრო გლეხურ ფედერაციის მთავრობის მოხსენება არ იყო გლეხური, არ უდიოდა გლეხური სული. რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას: „როგორ თუ არ უდიოდა? აქ ლაპარაკობდენ, რომ გადიდდა საგლეხო სკოლების რიცხვი, გაიზარდა მასწავლებელთა რიცხვი, სულ მიყრუებულ ადგილებში გაიხსნა სკოლები, გასავალმა მეტად იმატა და სხვა ეს ხომ გლეხის პოლიტიკაა“?..

დიახ, ეს არის საგლეხო პოლიტიკა, მაგრამ ეს არ არის სრულიად საკავშირო საგლეხო პოლიტიკა, ეს არის საგლეხო პოლიტიკის მხოლოდ ერთი ნაწილი. აქ განსხვავება საბჭოთა და ბურჟუაზიულ მთავრობებს შორის არის რაოდენობაში და არა ღირსებაში და საბჭოთა მთავრობა კი ღირსების მხრივაც სხვაგვარად უდგება გლეხობას. საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება გლეხებთან განიზომება არა მარტო რაოდენობით, არამედ ღირსებითაც, და უმთავრესად ღირსებით, ვინაიდან ამჟამად ჩვენ რომ ჩვენი დამოკიდებულება გლეხებთან გავზომოთ მხოლოდ რაოდენობის მიხედვით მთელს კავშირში, მაშინ ჩვენ მინუსში დავრჩებოდით ბურჟუაზიულ მთავრობასთან გლეხებთან დამოკიდებულების საქმეში, თუნდ ამერიკის მთავრობასთან. ამიტომ ჩვენი დამოკიდებულების გაზომვა მარტო რაოდენობით შეუძლებელია და აი სწორედ ამ ღირსებით განსხვავებას მე ვერ ვხედავდი ამხ ორახელაშვილის მოხსენებაში.

რაში მდგომარეობს განსხვავება გლეხთან ჩვენ მისვლაში ყოველგვარ ბურჟუაზიულ მთავრობასთან შედარებით? აი იმაში, ამხანაგებო, რომ საბჭოთა კავშირის მთელ მოღვაწეობაში დაწყებული ზევიდან და გათავებული ქვევით, მთავრობის ყველა ორგანოში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გლეხობა. აქ როგორც მოხსენებაში, ისე ქალაქის პირობებში არ სჩანს ქართველი გლეხი,—მე ამას პირდაპირ ვიტყვი. მე ვიყავი ჩრდილო კავკასიაში; ეს ქვეყანა თავისი მდგომარეობით ყველაზე უფრო ახლო სდგას ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკასთან, ხალხი უფრო ჩამორჩენილია, და იქ, ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკებში, გლეხი უფრო მოსჩანს.

აქ გამოსული ამხანაგები და მათ შორის ამხ. სამურსკიც აქებდენ მოხსენებას, და ეს განსხვავება კი ვერ შეამჩნიეს (სამურსკი ადგილიდან: „მე თქვენ დაგიტოვეთ“). მე სწორედ იმიტომ გამოვედი, რომ გამოსულმა ორატორებმა ეს ვერ შენიშნეს (ხმა ადგილიდან: „ეს ყველამ თქვენ დაგიტოვათ“).

ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკები, უსათუოდ, უფრო ღარიბია, და რა თქმა უნდა, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან შედარებით მხოლოდ ერთი მეათედით შეუძლია თავისი გლეხობისათვის სამსახურის გაწევა, მაგრამ იქ ამ სუსტ მხარეს ისყიდის ის გარემოება, რომ აქ ამ სამსახურის გაწევაში მონაწილეობას იღებს გლეხობა და მე პირდაპირ ვიტყვი—უპარტიო გლეხობა. გლეხობის სამსახური მარტო პარტიული გლეხობის მიერ—ეს გლეხისათვის მხოლოდ ნახევარი სამსახურის გაწევაა, ვინაიდან ჩვენი პარტიული გლეხობა იმყოფება ჩაქუჩსა და გრდემლს შორის: ერთი მხრივ მაწვეია პარტია, მისი პარტიული ზნეობა და მეორე მხრივ კი მას აწვება გლეხობა. და მას არ ძალუძს სავსებით გაატაროს გლეხური ხაზი და მან კიდევაც სავსებით რომ გაატაროს გლეხური ხაზი, იგი კომუნისტიდან არაკომუნისტად უნდა გადაიქცეს. ცხადია. რომ გლეხური ხაზის სავსებით გატარება შეუძლია მხოლოდ უპარტიო გლეხს. აი, ამხანაგებო, რად აქვს უპარტიო გლეხობის ჩვენს ორგანოებში მონაწილეობას, მე ვიტყოდი, განსაკუთრებული ყურადღება. ამხ. კუიბიშევს თავის პროექტში, რომელსაც ის წარმოადგენს (მე წინასწარ გავეცანი ამ პროექტს) საბიუჯეტო კომისიაში შეჰყავს აგრეთვე უპარტიო გლეხები. რა აზრი აქვს ამას? ნუ თუ, ამხანაგებო, თქვენ ფიქრობთ ამას აზრად აქვს რომ უპარტიო გლეხები საბიუჯეტო კომისიას გაუწევენ ტეხნიკურ სამსახურს, გამოსძებნიან ნაკლს, რომელიც ჩვენს ბიუჯეტში არის? რა თქმა უნდა, ყველა ამას ისინი გააკეთებენ და რაც უფრო უკეთ გააკეთებენ, მით უფრო სასარგებლო იქნება იგი სახელმწიფოსათვის.

მაგრამ მათი აქ ჩარიცხვის აზრი მარტო ეს არ არის. ამხ. კუიბიშევი, როგორც საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ბიუჯეტის შესწავლის დროს მხედველობაში იღებს უპარტიო გლეხობის მისწრაფებასა და დამოკიდებულებას, რომელიც გამოხატულებას იპოვის ცაკის იმ წევრებში, რომელნიც იმუშავებენ საბიუჯეტო კომისიაში. უნებლიოდ, ინსტიქტიურად თანდათან გამოირკვევა და რაც უფრო თავისუფლად მოხდება ეს გამორკვევა მით უფრო სასარგებლო იქნება საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის ისწრაფვის გლეხის ცხოვრების გამოცოცხლებისაკენ; ვინაიდან ჩვენ მშვენივრად გვესმის, როგორც მე უკვე განვაცხადე სესიის გახსნისას, რომ ჩვენი ბაზა ეყრდნობა ორი ძალის—მუშებისა და გლეხების—კავშირზე და ჩვენ არ შეგვიძლია არც ერთი ამ ძალის ჩვენი მხედველობის არედან გაშვება.

და აი მოხსენებაში საბჭოთა მმართველობის ამ სპეციფიურ, ძირითად ღირსებითი ხასიათის განსხვავებას მე ვერ ვხედავ. ამას მე ვსთვლი ძალიან დიდ ნაკლად. რომ საერთოდ მოხსენება არ ყოფილიყო ძალიან კარგი, მე შემძლო მეფიქრა, რომ ეს არის მოხსენების ნაკლი, და არა რეალურ სინამდვილისა, მაგრამ ვინაიდან ეს მოხსენება ძალიან კარგია. მე მეშინია, რომ ეს არის მოხსენების ნაკლი კი არა, არამედ რეალურ სინამდვილის ნაკლი. აი მე რატომ არა ვარ კმაყოფილი ამხ. ორახელაშვილის მოხსენებით.

ამიტომ მე ვფიქრობ, რომ საერთოდ და მთლიანად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ ტარდება ისეთი ინტენსიური პოლიტიკა გლეხობის ჩათრევის საქმეში, როგორიც დასახულია ცენტრის მიერ. ამიტომ მე მინდა მივუთითო ამხ. ორახელაშვილის მოხსენების გამო ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლ ამხანაგებს, რომლებიც აქ სხედან, რომ მათ ანგარიში გაუწიონ იმ ხაზს, რომელიც დასახულია ცენტრში—უფრო ფართედ ჩაითრიონ მმართველობის ორგანოებში უპარტიო გლეხობა.

მე ვფიქრობ, რომ ის ნაკლი, რომლის შესახებაც მე აქ ვსთქვი, მოსჩანს პრაქტიკულ საკითხებშიც. მიუხედავად დიდი ბრძოლისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის რესპუბლიკის ცაკიდან ორგანიზაციულად ასე თუ ისე დაშორებისა, ჩვენამდის მოაღწია მცხოვრებთა უკმაყოფილოების ტალღამ რელიგიაში გატარებულ პოლიტიკის გამო, განსაკუთრებით საქართველოში. რელიგიურ საკითხში—როგორც სჩანს ამ ხანად უკვე განელდა—რამდენიმე თვის და შეიძლება წლის წინედ ამიერ-კავკასიელი ამხანაგები ცხოვრებაში ატარებდენ, ჩემის აზრით, მეტად რევოლიუციონურ ხაზს, ქათ ძალიან მოკლე დროში სურდათ მორწმუნე გლეხიდან შეექმნათ თუ კომუნისტი არა, ნახევრად კომუნისტი მაინც, კეტავდენ ეკლესიებს და აქცევდენ მათ საგანმანათლებლო კლუბებად, ეს დაწესებულებანი უსათუოდ სასარგებლონი არიან და უფრო სასარგებლო, ვიდრე ისინი იყვნენ წინედ. მე ვფიქრობ, რომ ა იყო შეცდომა, მაგრამ ამ დარგში ალბათ,—მე ვამბობ „ალბად“ იმის გამო, რომ მე ჯერ კიდევ არ ვყოფილვარ ამიერ-კავკასიის სოფელში და არ შემიძლია ამის სიზუსტით გამორკვევა,—მაგრამ ალბად ეს ხაზი უკვე გავლილია.

რელიგიის საკითხში განსაკუთრებით საჭიროა სიფრთხილე, ვინაიდან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამიერ-კავკასიაში იმყოფება მრავალი სხვადასხვა ხალხი, რომელნიც წინედ შეუბრალებლად ებრძოდენ ერთმანეთს ამიერ-კავკასიაში გასაბატონებლად. ყველა ხალხი იბრძოდა თავის თავისებურებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და ამ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სარწმუნოება. ქართველი გლეხი, როდესაც წინედ იბრძოდა თავის ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის, ამ ბრძოლას აფერადებდა სარწმუნოებით. ის გარშემორტყმული იყო სხვა სარწმუნოების ხალხებით ვსთქვათ თურქებით, რომელნიც თავის მხრივ იბრძოდენ რა სარწმუნოებისათვის, იმავე დროს იბრძოდენ თავისი ეროვნებისათვის. ამიტომ რელიგიის საკითხებში აქ, სადაც ერთი მეორეს ეჯახება სხვადასხვა სარწმუნოება და სადაც შეკავშირებულნი არიან ეკონომიური დაინტერესებით, რელიგიის საკითხებში, ჩემის აზრით, საჭიროა მეტი სიფრთხილის გამოჩენა. მე ვფიქრობ, რომ სარწმუნოების საკითხში გაუფრთხილებლობა არის არა სრული ანგარიშის გაწევა გლეხობის სულიერ განწყობილებისათვის, და მე მინდა—სწორედ ამიტომაც გამოვედი—რომ რელიგიასთან უფრო ფრთხილი მისვლის თვალსაზრისი პრაქტიკულად ტარდებოდეს აქ ცხოვრებაში.

ეხლა გლეხთა საკითხიდან მე მინდა გადავიდე მეორე საკითხზე—მგონია მეტად მწვავე საკითხზე—თუმცა იგი არ ეხება მთელ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას და უმთავრესად შეეხება საქართველოსა და სომხეთს. ეს არის საკითხი ინტელიგენციის შესახებ. საქართველო და სომხეთი—ეს ამიერ-კავკასიის ისეთი რესპუბლიკებია, რომელნიც სავსეა ზედმეტ ინტელიგენტური ძალებით. და უეჭველია, როგორც ეს აქ სისწორით აღნიშნა ამხ. მომხსენებელმა, ეს საკითხი მეტად დიდი და მწვავე საკითხია. ამ დიდ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამიერ-კავკასიის მთავრობამ. საქართველოში ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილი წინედ სამსახურს უწევდა მეფის დროის იმპერიას. საკმარისია გავიხსენოთ ჯარი, მისი ოფიცრობა. გადახედეთ რუსი მოხელეების ძველ სიას, რომელნიც მსახურებდენ ჩვენ სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებებში. იქ ქართული და სომხური გვარები ხშირად შეგხვდებათ. მაშასადამე, ისინი გაბნეული იყვნენ ძველი რუსეთის მთავარ ქალაქებსა და პროვინციებში ჯარის ნაწილებსა და დაწესებულებებში. ამ ჟამად უდიდესი ნაწილი ამ ინტელიგენ[illegible] საქართველოსა და სომხეთში, და აქ ცდილობს თავის ინტელიგენტურ შრომის გასაღებას და [illegible] მდგომარეობა თანამედროვე მომენტში [illegible] კერძოდ საქართველოში მენშევიკები თავისი პირველი ნაბიჯების გადადგმის ხანებში სცდილობდენ ამ ადგილების განთავისუფლებას და მათ გადაცემას ქართველებისათვის. ასეთი ტაქტიკა საქართველოსა და სომხეთის ინტელიგენციის მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ჩემის აზრით, არც არის და არც შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ მდგომარეობის გაუმჯობესების თუნდ პალიატივად, ვინაიდან თვითონ საქართველოს, როგორც საქართველოს თანამედროვე საწარმოვო საშუალებებში, ქართველი გლეხობის თანამედროვე სიმდიდრის პირობებში, რომელიც ამხ. ელიავას სიტყვით, წლიურად 100 მან. არ აღემატება, არ შეუძლია ამ ინტელიგენციის სავსებით გამოყენება. ამიტომ მე მგონია, რომ ის წვრილბურჟუაზიული შინაური ხაზი, რომ ქართველი ინტელიგენციის გამოყენება სავსებით შესაძლებელია აქ, უნდა უკუვაგდოთ. მე მგონია, რომ ინტელიგენციის შესახებ საკითხის საქართველოს მასშტაბით გადაჭრა შეუძლებელია და რომ ამ საკითხის გამორკვევა შეიძლება მხოლოდ საერთო საკავშირო მასშტაბით. საჭიროა ქართული ინტელიგენცია გამოვიყენოთ, როგორც კვალიფიციური ძალა, ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებში და საერთოდ ჩვენს კავშირში, რომელიც მთლიანად საჭიროებს ინტელიგენტურ ძალებს. ქართველი გლეხების კეთილდღეობის ზრდასთან ერთად გადიდდება მოთხოვნილებაც ინტელექტუალურ ძალებზე. მნიშვნელოვანი იქნება თუ ჩვენ გადავჭრით დღევანდელი დღის გამწვავებულ საკითხს. აი, ჩემის აზრით, ის გზა, რომელზედაც უნდა დადგეს საქართველოს მთავრობა ერთ-ერთ სერიოზულ კრიზისიდან გამოსასვლელად.

მე მინდა ავღნიშნო, რომ საბჭოთა მთავრობა სავსებით იზიარებს ამიერ-კავკასიის მთავრობის პოლიტიკას. ამიერ-კავკასიის ფედერაციაში იყო მეტად მწვავე მომენტები, მთავრობა და ადგილობრივი ძალა-უფლება გადამწყვეტ ნაბიჯებს სდგამდენ გამწვავებულ მდგომარეობისდა მიხედვით. თქვენ იცით, რომ ცნობილი ამბების შემდეგ მოსახლეობის კატეგორიათა მთელი წყებანი, და განსაკუთრებით გლეხობა, დაზარალდენ და შეიქნენ მენშევიკურ აჯანყების მსხვერპლნი.

საქართველოს მთავრობამ ამის შემდეგ ჩაატარა მთელი რიგი კერძო ამნისტიებისა და ამ მოკლე ხნის წინად მან გამოაცხადა უკანასკნელი ამნისტია, რომელიც შეეხო საკმაოდ მრავალ პირს. მაგრამ ჩვენ, რომელნიც ჩამოვედით ცენტრიდან, გვგონია, რომ იმ პირთა განთავისუფლების საქმეში, რომელთაც ბრალი ედებათ წარსულ ამბებში, განსაკუთრებით გლეხობასა და მუშების საქმეში, რომელნიც გაუგებრობით იყვნენ ჩათრეულნი ამ ისტორიაში, შეგვიძლია ჩვენ გადავსდგათ კიდევ შემდეგი ნაბიჯი. ამიტომ მე წინადადება შემომაქვს ორახელაშვილის მოხსენების გამო გამოვიტანოთ დადგენილება მივსცეთ დირექტივა ამიერ-კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს მთავრობას იმის შესახებ, რომ კვლავ განიხილოს და კვლავ შეუმსუბუქოს სასჯელი იმ ხალხის მთელ რიგ კატეგორიების, რომელნიც ასე თუ ისე ისჯებიან როგორც საქართველოს წარსულ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის, აგრეთვე ისჯებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და განსაკუთრებით სარწმუნოებრივ მოტივებით და სხვა და სხვა. ჩვენ გვგონია, ამხანაგებო, რომ ამჟამად საქართველოსი და საერთოდ ამიერ-კავკასიის გლეხობის 90 პროც. და შეიძლება 99 პროც. სდგას საბჭოთა პლატფორმაზე ისე, როგორც მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერ-კავკასიის ინტელიგენციისა, რომლის იდეოლოგიაც უახლოვდება საბჭოთა პლატფორმას. ცაკის მე-3 სესიამ, რომელიც ესალმება საბჭოთა წიაღისაკენ მომავალ ამ საერთო სახალხო მოძრაობის განვითარებას, უნდა წააქეზოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მთავრობანი რომ კიდევ უფრო ზედმეტად შეამსუბუქონ იმ პირთა მდგომარეობა, რომელნიც გაუგებრობის გამო ამა თუ იმ სახით გამოვიდენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. (ტაში).

ამხ. ორახელაშვილის საბოლოო სიტყვა

ამხანაგებო, მე ამიერ-კავკასიის მთავრობის სახელით უნდა გამოვსთქვა სრული კმაყოფილება ამ განცხადებათა გამო, რომელიც აქ გააკეთეს ორატორებმა. მე აგრეთვე კმაყოფილება უნდა გამოვსთქვა ამხ. კალინინის გამოსვლის გამო, რომლის ავტორიტეტიც, ხსოვნა და გამოცდილება გლეხთა საკითხთან სისწორით მისვლის საქმეში უდავო არის: ის იყო, არის და იქნება ჩვენი საუკეთესო მრჩეველი ამ საქმეში. და არა პოლემიკის და თავის გასამართლებისათვის, არამედ იმიტომ, რომ განვმარტო, თუ რა მიზეზი იყო ჩვენი ზოგიერთი ნაკლისა, რომელიც სისწორით აღნიშნა ამხ. კალინინმა, მე მინდა ვისარგებლო რამდენიმე წუთით საბოლოო სიტყვისათვის.

მე გუშინ ჩემს მოხსენებაში აღვნიშნე აგრეთვე ის მდგომარეობაც, რომელიც ამხ. კალინინმა დღეს აქ აღნიშნა; ალბად გუშინ მას ჩემთვის ყური არ დაუგდია, ან იგი მაშინ არ ყოფილა. მე ვსთქვი, რომ საბჭოთა ქვედა აპარატის მოწყობის საქმეში, რომელიც უნდა შეეხოს გლეხობას, როგორც ერთ მთლიან შეკავშირებულ ერთეულს, და მაშასადამე, გამოარკვიოს ყველა მისი ინტერესები და იყოს სისწორით აღმნიშვნელი გლეხობის ინტერესების მდგომარეობისა და სულიერი განწყობილებისა—სწორედ აი ამ საქმეში ჩვენ ყოველთვის და ყოველგან ვერ ვიდექით სათანადო სიმაღლეზე. მე აღვნიშნე, რომ აგვისტოს გამოსვლებში მონაწილეობას იღებდა, თუმცა პასიურად, გლეხობის ერთი ნაწილი და ეს მოვლენა გვიჩვენებს, რომ გლეხობის მთლიანად პოლიტიკურად და ორგანიზაციულად ხელში ჩაგდების საქმე ჩვენში ყოველთვის არ იდგა სათანადო სიმაღლეზე.

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმაციო-განყოფილების
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმისათვის, რომ ავხსნა, თუ რათ მოხდა ეს, მე უნდა მოვაგონო ამხ. კალინინს ის მდგომარეობა, რომელიც გვქონდა ჩვენ საქართველოში. საქართველოში 25—30 წლის განმავლობაში მენშევიზმი მუშაობდა მთელი თავისი სიძლიერით, საქართველოში ჩვენ დაგვხვდა პირდაპირ მოწამლული ჰაერი ურთიერთი სიძულვილისა და შოვინიზმისა. შხამი ფრქვია ყველგან. ჩვენ, რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი ძალა და მთელი ჩვენი რესურსები უნდა მოგვეხმარებია იმ ადგილებში, რომლებიც მენშევიკების ადამიანთა სიძულვილის პოლიტიკის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ჩვენ ბრძოლით უნდა გადაგვეყვანა ქართული პროლეტარიატი საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე. ცოტაც რომ ყოფილიყო ეს პროლეტარიატი, მას ჰქონდა საქართველოში გადამწყვეტი მნიშვნელობა და რა თქმა უნდა, პოლიტიკური გავლენის მთელი სიძლიერე, რაც კი ჩვენს ხელთ იყო, მთელი ჩვენი ფინანსიური და სხვა რესურსები უნდა მოგვეხმარებია იმ აღმშენებლობისათვის, რომელიც გარდატეხდა ამ პროლეტარიატის სულიერ განწყობილებას და აჩვენებდა მას, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება. სხვა გზები ჩვენ არ გვქონდა, რომ ისეთი მუშაობა მოგვეწყო, რომ ერთდროულად მთელი საქართველოს გლეხობა და პროლეტარიატი მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდან იმდენად დაგვეინტერესებია, რომ გლეხობასა და პროლეტარიატს ერთდროულად დაეკავშირებია თავისი ბედ-იღბალი საბჭოთა ხელისუფლებასთან. აქტიურ საბჭოთა აღმშენებლობაში გლეხების ორგანიულ ჩათრევის პროცესი საქართველოში შედარებით ნელის ნაბიჯით მიმდინარეობდა. მაგრამ ლოზუნგი „პირი ვიბრუნოთ სოფლისაკენ“—გუშინდელი დღის ლოზუნგია და მხედველობაში აქვს არა მარტო ამიერ კავკასია და საქართველო, არამედ მთელი ჩვენი კავშირი. ამიტომ ვამბობთ, რომ ჩვენ გვქონდა შეცდომები, მაგრამ ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეს ჩვენი დაგვიანება გამოწვეული იყო ობიექტიური მიზეზებით, რითაც უმთავრესად აიხსნება იგი. ამას გარდა პირველ რიგში ჩვენ გადავსწყვიტეთ აგრეთვე ეროვნული საკითხი როგორც საქართველოში, ისე საერთოდ ამიერ-კავკასიაში. ჩვენი დამატებითი ძალღონე მიმართული იყო იქითკენ, რომ მუშათა საკითხთან ერთად და ამიერ-კავკასიის მუშათა კლასის საბჭოთა ხელისუფლების საკითხით დაინტერესებასთან ერთად, მუშათა კლასის ინტერესების ოქტომბრის რევოლიუციის ინტერესებთან დაკავშირებასთან ერთად, ჩვენ უმთავრეს საკითხად უნდა დაგვესვა ეროვნული საკითხი. სისწორით აღნიშნა ამხ. კალინინმა, რომ ამიერ-კავკასიაში ეროვნული საკითხი იმავე დროს არის გლეხური საკითხიც. და როდესაც ჩვენ ვსწყვეტდით ეროვნულ საკითხს, ამით ჩვენ ვსჭრიდით გლეხურ საკითხის ნაწილსაც, თუ ჩვენ გლეხურ საკითხს უკანა რიგში ვაყენებდით მთლიანად. გლეხთა მეურნეობის დახმარების დარგში ჩვენ საქართველოში ერთი-ერთი ნაბიჯი გადავსდგით, ჩავატარეთ აგრარული რეფორმა სარწყავი არხების მოწყობის სახით, რომლის კეთებაც დავიწყეთ საქართველოში 1921 წელში და დღემდის აგრძელებთ ამ საქმეს. რაც შეეხება ანტირელიგიურ პროპაგანდას, აქაც ჩვენი ქვედა აპარატები ვერ აღმოჩნდა მოწესრიგებული, ამ აპარატის ნაწილები ისე კარგად არ იყო მოწყობილი, რომ ცენტრალურ მთავრობას შესძლებოდა ადგილებზე ცენტრიდან მათი კარგად ამუშავება, ცენტრს ამის შესახებ ჰქონდა სავსებით განსაზღვრული დეკრეტები, რომელიც ეხებოდა მორწმუნეთა უფლებების მოწესრიგებას და რომელიც ადგილებზე უნდა გატარებულიყო ცხოვრებაში. მაგრამ ამ დარგში ჩვენ მაინც დიდი გართულება არა გვქონია. ამჟამად ჩვენ სრული ლიბერალიზმი გვაქვს ამ დარგში. ჩვენ ვამბობთ: დეე თუნდ სამმა მორწმუნემ შეადგინოს მორწმუნეთა საზოგადოება, გახსნან ეკლესიები, მიიღონ ნებართვა და სხვ. როდესაც ჩვენ ამ ხაზს ვატარებთ (და ვატარებთ კი მკაცრად), დახურულ ეკლესიებიდან ჩვენ მეტად უმნიშვნელო ნაწილს ვხედავთ ხელახლა გახსნილს.

ამაში მოსჩანს ქართველი გლეხის ფსიქოლოგია. მას უნდა მიეცეს უფლება თვითონ გადასწყვიტოს ეს საკითხი, თვითონ გამორეკოს მღვდლები, გაანაწილოს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—და მაშინ ის გადასწყვეტს ისე, რომ მისი გადაწყვეტილება ობიექტიურად შეუთანხმდება თუნდ ყველაზე უფრო ანტირელიგიურ საზოგადოების მიზნებს. როდესაც ჩვენ განუმარტეთ, რომ ყოველ ჯგუფს შეუძლია ეკლესიის გახსნა-თქო, გაიხსნა ეკლესიების სულ უმნიშვნელო ნაწილი.

დაბოლოს, ერთი ფორმალური მომენტი. მე მინდოდა მეთქვა, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა რა თქმა უნდა, პასუხისმგებელია ყველაფერში, რაც კი ხდება მთელ ამიერ-კავკასიაში და რასაც აკეთებენ ცალკე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები, ვინაიდან ჩვენ მათთან ერთად ვაკეთებთ საერთო საქმეს; ამიერ-კავკასიის მთავრობის თავისი არსებობის 2 ნახ. წლის განმავლობაში არავითარი უთანხმოება არა ჰქონია ცალკე რესპუბლიკებთან, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამგვარი ხასიათის საკითხები სავსებით რჩება იმ რესპუბლიკათა მთავრობების კომპეტენციაში, რომელნიც ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. რესპუბ. კავშირში შედიან. ასე რომ ამ შენიშვნით ვიღებ მე საერთოდ ამხ. კალინინის შენიშვნებსა და ჩვენებებს.

საკითხი ამნისტიის შესახებ. რა თქმა უნდა, თუ ამ ჟამად დაპატიმრებულია მოქალაქეთა განსაზღვრული რიცხვი, რომელნიც გაუგებრობის გამო მონაწილეობას იღებდენ გამოსვლაში, ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, რომ საქართველოს მთავრობა არ დააყოვნებს ჩაატაროს დამატებითი ამნისტია იმ პირთა მიმართ, სესიამ კიდეც რომ არ გამოიტანოს ამის შესახებ ფორმალური დადგენილება.

ჩვენთვის დღეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ამოცანას შეადგენს საბჭოთა ქვედა აპარატის გაუმჯობესება. მაგრამ ამას ჩვენ გავატარებთ წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განხორციელდება ეკონომიური ხასიათის ყველა ღონისძიება, რომელის შესახებაც მე გუშინ აქ ვლაპარაკობდი. ამაში ნაწილობრივ შედის საკითხი ქართველი ზედმეტი ინტელიგენციის შესახებაც. საქართველოს მეურნეობას, როგორი სიძლიერითაც არ უნდა განვითარდეს იგი, ამ უახლოესი წლების განმავლობაში არ ძალუძს აიტანოს იმ მრავალრიცხოვანი ინტელიგენციის ტვირთის სიმძიმე, რომელიც გამოიხატება 7 ათას ყოფ. ოფიცერში, რომელთაც დღეს განსაზღვრული საქმე არა აქვთ. თუ საკითხი პირდაპირ დაისმის, როგორც დღევანდელი დღის პრაქტიკული ამოცანა, რა თქმა უნდა, ამ საკითხის გადაჭრა უნდა მოსდევს იმ გზით, რომელზედაც მიგვითითებდა ამხ. კალინინი. თბილისში მაგალითად, დაწესებულებების ერთ თავისუფალ ადგილზე 2 ნახ. კანდიდატია სხვადასხვა ეროვნებისა. რა თქმა უნდა, ქართველი იძახის, რომ ეს ადგილი მას უნდა მიეცეს და თუ მან ეს ადგილი ვერ მიიღო, დაიწყება ბოროტი სისინი უცხოელების გაბატონების შესახებ. რა თქმა უნდა, ამ ამოცანის გადაჭრა არ შეიძლება უცებ, თუ მხედველობაში მივიღებთ საქართველოს მეურნეობის მდგომარეობას. ამისთვის საჭიროა დრო საჭიროა საწარმოო ძალთა განვითარება.

სახელმწიფო ბიუჯეტი

ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება

თავის მოხსენების დასაწყისში ამხ. ბრიუხანოვი ახასიათებს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობას მტკიცე ვალიუტის შემოღებამდე.

სამოქალაქო ომის პერიოდში არსებითად არავითარი სახელმწიფო ბიუჯეტი არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ჩვენ ვცხოვრობდით იმით, რასაც ჩვენს საბიუჯეტო ენაზე ეწოდება „არაჩვეულებრივი შემოსავალი“ და ვხარჯავდით ამ შემოსავალს „არაჩვეულებრივ ხარჯებზე“. ჩვენს არაჩვეულებრივ შემოსავალს შეადგენდა ემისია, შემდეგ ჩვენთვის მემკვიდრეობით დატოვებულ ფონდების გამოყენება და, დაბოლოს, „რაზვიორსტკა“. ჩვენი არაჩვეულებრივი ხარჯები უპირველესად ყოვლისა და პირველ რიგში უნდებოდა წითელი არმიის შენახვას.

მაგრამ სამოქალაქო ომის შემდეგაც ჩვენ ვერ შევსძელით საბიუჯეტო ამოცანის ერთბაშათ გადაწყვეტა. რათა ჩვენი საბიუჯეტო „არაჩვეულებრივის“ მაგიერ ჩვეულებრივად გაგვეხადა, ჩვენ ამ ბიუჯეტისათვის უნდა შეგვექმნა შემოსავლის განსაზღვრული ბაზა. საჭირო იყო საგადასახადო სისტემის შემუშავება. ამას გარდა ჩვენ უნდა გვესწავლა ხაზინაში შემოსული ფულის მიზანშეწონილი და გეგმასთან შეთანხმებული ხარჯვა. საჭირო დარჩა 3 წლის გაძლიერებული მუშაობა, მანამ ჩვენ შევძელით წარმოგვედგინა თქვენთვის დასამტკიცებლად დეკრეტი ჩვენი მტკიცე ვალიუტის შესახებ. ეს მოხდა მიმდინარე საბიუჯეტო წლის დასაწყისში. მხოლოდ მტკიცე ვალიუტას შეეძლო გამხდარიყო ნამდვილი ურყეველი ბაზა სახელმწიფო ბიუჯეტის შესაქმნელად.

შემდეგ ამხ. ბრიუხანოვს მოჰყავს ციფრები, რომელნიც ახასიათებენ დამოკიდებულებას წარსული წლების საემისიო და სხვა შემოსავალთა შორის. 1920 წელში ჩვენი შემოსავლის 87 პროც. ჰფარავდა ემისია. 1921 წელში ის შეადგენდა 84 პროც. 1922—23 წელში ემისიამ დაჰფარა ჩვენი შემოსავლის 29 პროც. 1923—24 წ. ის ფარავს მხოლოდ 8 პროც. და, დაბოლოს 24 წლის ბიუჯეტში ემისია, როგორც შემოსავლის წყარო სრულებით მოსპობილია.

ცაკის მეორე სესიამ დაამტკიცა საკონტროლო თანხები ბიუჯეტის შედგენისათვის სახელმძღვანელოდ და იმავე სესიამ გამოიტანა ორი სახელმძღვანელო დადგენილება, რომლის მიხედვით სახ. კომისართა საბჭოს უნდა შეემუშავებია საორიენტაციო ბიუჯეტი, რომლის შესახებ მე ეხლა ვაკეთებ მოხსენებას. ეს იყო დადგენილება საბჭოთა რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლების და ადგილობრივ ფინანსების შესახებ.

შემდეგ მომხსენებელი ჩერდება იმ საკონტროლო ციფრების დახასიათებაზე, რომელიც დამტკიცებულ იქნა საბჭოთა კავშირის ცაკის წარსული სესიის მიერ. ის ამბობს, რომ საორიენტაციო ბიუჯეტი, დამტკიცებული საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1925 წლის 6 იანვარს შემოსავლის და გასავლის ნაწილში სჭარბობს ცაკის მეორე სესიის მიერ დამტკიცებულ საკონტროლო ციფრებს 187 მილიონი მანეთით. ეს შემოსავალი, რომელიც გამოირკვა საკონტროლო ციფრების განსაზღვრის შემდეგ, იყოფა შემდეგ ცალკე ნაწილებათ: შემოსავლის კვალობითი გადასახადის გადიდება 10 მილიონი მან., სააქციზო სტატიით 80 მილიონი მანეთი, შაქრის მრეწველობის განვითარების გამო, საზღვარ გარეთ 11 მილიონი ფუთი შაქრის გატანის გამო და დაბოლოს, 30 გრადუსიანი სიმაგრეების გაყიდვიდან სააქციზო შემოსავლის მიღების გამო.

გაიზარდა აგრეთვე საბაჟო გადასახადების შემოსავალი 16 მილიონით. დაბოლოს შესამჩნევად გაიზარდა ტრანსპორტის შემოსავალი: ნავარაუდევ საკონტროლო თანხის 780 მილიონის მაგიერ, ეხლა ჩვენ ვფიქრობთ 810 მილ. მანეთის მიღებას.

ამხ. კიუბიშევი მოხსენებას გააკეთებს საბიუჯეტო კომისიის სახელით. მოხსენებიდან დაინახავთ, რომ სახ. კომისართა საბჭოს მიერ საორიენტაციო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ გამოირკვა კიდევ უფრო ხელსაყრელი პერსპექტივები და გზათა სახალხო კომისარიატის შემოსავლის ციფრი უფრო და უფრო იზრდება. „აი ამხანაგებო, ამბობს მომხსენებელი, უმთავრესად ის წყაროები, რომლებიც იძლევიან ზედმეტ 187 მილ. მანეთს მეორე სესიის მიერ დამტკიცებულ საკონტროლო თანხებთან შედარებით.


ამხ. ბრიუხანოვი
აკეთებს მოხსენებას ბიუჯეტის შესახებ.

ჩვენი ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი

სახ. კომისართა საბჭოს მიერ მოწონებულ დამატებითი ხარჯთ აღრიცხვით, ჩვენი სახელმწიფო შემოსავლის საერთო თანხა გამოიხატა 2,280,000.000 მანეთში. აქედან არაჩვეულებრივი ხარჯები შეადგენს 205 მილიონ მანეთს. არაჩვეულებრივი შემოსავალი ეს ის შემოსავალია რომლის დანიშნულებაა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა, ჩვენი არაჩვეულებრივი შემოსავალი შესდგება შემდეგ ციფრებიდან: სახელმწიფო ფონდების რეალიზაცია —16 მილიონი მანეთი, მეორე მომგებიანი სესხისაგან 20 მილიონ მან. ეს ორი შემოსავალი არ არის, ასე ვსთქვათ, მაინც და მაინც არაჩვეულებრივი, რადგან მათ არსებითად არაფერი არა ჩვეულებრივი არა აქვთ, ვინაიდან ყოველ მეურნეობაში არის ისეთი ქონება, რომლის გაყიდვა უფრო ხელსაყრელია, ვინემ საწყობებში შენახვა, მოგებიან სესხის შემოსავალი კი არსებითად იგივე საგადასახადო შემოსავალია.

ამგვარად არაჩვეულებრივ შემოსავალში დარჩება ციფრი 170 მილ. მანეთის რაოდენობის. აქედან 80 მილიონი შემოდის ვერცხლის და სპილენძის ფულის მოჭრით, რომელსაც აგრეთვე არსებითად არაფერი არაჩვეულებრივი არა აქვს. რჩება 90 მილიონი მანეთი, რომელსაც ჩვენ გვაძლევს 8 პროცენტიანი საშინაო სესხი, საგლეხო და სხვა სესხები.

[illegible] თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ბიუჯეტის გასავლის ნაწილში [illegible] მილიონი მანეთი, რომელიც ჩვენს სესხებზე უნდა დავხარჯოთ, დარჩება 16 მილიონი, რომელიც არსებითად შეადგენს ნამდვილ არაჩვეულებრივ შემოსავალს.

[illegible] ჩვენი არაჩვეულებრივი ხარჯების ამ დახასიათებიდან მე მივდივარ დასკვნამდე, რომ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი მიმდინარე წელს არის ბიუჯეტი უდეფიციტო და ჩვენი ბიუჯეტის „არაჩვეულებრივ“ რესურსებს და შემოსავალს სავსებით ფარავს ჩვენი სათანადო ჩვეულებრივი შემოსავალი. თუ ჩვენ შემოსავლის ბიუჯეტიდან გამოვრიცხავთ ამ შემოსავალს, რომელიც იწვევს თანასწორფასიან გასავალსაც, ჩვენ მაშინ გვექნება, თუ ასე შეიძლება გამოთქმა, ნეტტო (წმინდა) ბიუჯეტი, რომელიც გამოიხატება 1.200.000 მანეთში.

რა შემოსავლით ივსება ეს ბიუჯეტი. ეს შემოსავალი იყოფა ორ ნაწილად: 1) გადასახადის შემოსავალი და 2) შემოსავალი ჩვენი სახელმწიფო წარმოებიდან, მრეწველობიდან, ვაჭრობიდან და აგრეთვე სახელმწიფო მამულებიდან. ნეტტო-ბიუჯეტიდან — 1,000,000,000 მანეთი იფარება გადასახადებით და 200,000,000 მან. ჩვენ წარმოებათა შემოსავლით. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა დახასიათდეს, როგორც საგადასახადო ბიუჯეტი, დამყარებული გადასახადზე მაგრამ აქ საჭიროა ჩვენი შემოსავლის ბიუჯეტის ევოლიუციის აღნიშვნა. წარსულ საბიუჯეტო წელში გადასახადი შეადგენდა 700 მილ. მანეთს, მიმდინარე წელს კი მილიარდს. ჩვენ ვხედავთ მომატებას 43 პროცენტით. სახელმწიფო წარმოებათა შემოსავალი წარსულ წელს შეადგენდა 150 მილ. მანეთს, მიმდინარე წელს კი 200 მილ. მანეთს. გაიზარდა 53 პროცენტით. ამგვარად ჩვენ ვხედავთ არასაგადასახადო შემოსავლის ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც შეუჩერებლივ ზრდას.

ჩვენი შემოსავლის ზრდა

მე თავს ნებას მივცემ აღვნიშნო ჩვენი შემოსავლის საერთო ზრდის სურათი. სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის საერთო ტენდენცია გამოიხატება შემდეგი ციფრებით: 22—23 წ. ჩვენ გვქონდა ბიუჯეტი 1.300,000.000 მან., 23—24 წ.—1,917,000,000 მან. და 24—25 წ.—2.279.000.000 მანეთი. ამგვარად, სჩანს რომ ჩვენ შეუჩერებლად მივდივართ წინ. შემდეგ მომხსენებელი ჩერდება ჩვენი საშემოსავლო წყაროების ზრდის დახასიათებაზე და დიაგრამების საშუალებით ცხადჰყოფს საშემოსავლო წყაროების შეუჩერებელ ზრდას.

შემდეგ მომხსენებელი გადადის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დახასიათებაზე. ადგილობრივი ბიუჯეტი 1922—23 წ. შეადგენდა 320 მილიონ მანეთს, 23—24 წ. ის გაიზარდა 650 მილიონამდი, 24—25 წ. კი მიაღწია 850 მილიონ მანეთს.

თუ კი ჩვენ დავსვამთ საკითხს, თუ რაზე შენდება ჩვენი ადგილობრივი ბიუჯეტი ჩვენ დავინახავთ შემდეგს. თუ კი ჩვენ მასგან გამოვაკლებთ „საბრუნავ“ გამოსავალს, როგორც ამას ჰქონდა ადგილი სამეურნეო ბიუჯეტში, სახელდობრ 275 მილიონის რაოდენობით, ჩვენ დავინახავთ, რომ ადგილობრივ ბიუჯეტის საშემოსავლო მუხლში 375 მილიონი მან. მოდის საგადასახადო შემოსავალზე და მხოლოდ 100 მილიონი არაგადასახად შემოსავალზე. ამრიგად ჩვენი ადგილობრივი ბიუჯეტი არსებითად წარმოადგენს საგადასახადო ბიუჯეტს.

თუ კი ჩვენ შევაერთებთ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტს და შევაფარდებთ საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლიანობას, ჩვენ დავინახავთ შემდეგს როგორც სახელმწიფოებრივი ისე ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლის 82 პროც. მოდის გადასახადზე და მხოლოდ 18 პროც. არასაგადასახადო შემოსავალზე. ამ ციფრებს უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენ წარსული მუშაობის შედეგების შესამოწმებლად და მომავალ მუშაობის შესაძლებლობ პერსპექტივების გასათვალისწინებლად.

(დასასრული იქნება)

სესიის დახურვა

7 მარტს დილით, სესიის დადგენილების თანახმად შესდგა საკავშირო საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს მიერ გამოყოფილ კომისიების გაერთიანებული სხდომა დადგენილების შესამუშავებლად ბიუჯეტის შესახებ.

გარდა ამ კომისიისა ამხ. ორახელაშვილის კაბინეტში დილით მუშაობდა კომისია ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენების გამო რეზოლიუციის გამოსატანად.

დღის 1 საათზე გაიმართა სესიის მორიგი პლენარული სხდომა, რომელმაც მოისმინა **ამხ. ბრიუხანოვის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.**

საღამოს, სესიის უკანასკნელ სხდომაზე გაიმართა კამათი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. მოსმენილი იქნა აგრეთვე კომისიების მოხსენებები ბიუჯეტის, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის და ამიერ-კავკასიის მთავრობის მოქმედების შესახებ.

საღამოს დაიხურა მესამე სესია. სესიის დახურვის წინ თავმჯდომარე ამხ. ნარიმანოვი სიტყვას აძლევს მისალმებისთვის მუშების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სესიის თბილისში მოწვევა კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს საბჭოთა კავშირის ერებს შორის. ორატორებმა განუცხადეს მთავრობას და სესიას, რომ ამიერ-კავკასიის მუშები და გლეხები სავსებით იწონებენ მთავრობის ნაციონალურ პოლიტიკას, რომელმაც ხელი შეუწყო ნაციონალური მშვიდობიანობის განმტკიცებას ამიერ-კავკასიაში.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის ცაკის და სრულიად უკრაინის ცაკის თავმჯდომარე ამხ. **გ. ი. პეტროვსკი**, რომელმაც საბჭოთა კავშირის ცაკის **მესამე სესიის მუშაობა გამოაცხადა დამთავრებულად და სესია დახურულად.**

სესიამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია ბიუჯეტის, ამიერ-კავკასიის მთავრობის ანგარიშის, სასოფლო—სამეურნეო გადასახადის შესახებ, სესიამ მიიღო აგრეთვე დადგენილება ამნისტიის შესახებ, რომელიც უმსუბუქებს სასჯელს ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკის პატიმრებს.

დარბაზი ფეხზე დგება და მღერის „ინტერნაციონალს“.

დაწვრილებითი ანგარიში შემდეგ №-ში.

ამხ. კალინინი ქუთაისში

(ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

7 მარტს დილით ადრე ქალაქში ელვის სისწრაფით გავრცელდა ხმა, რომ ქუთაისს დღეს დილით ესტუმრება საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის მუშა—ბელადი ამხ. კალინინი.

მთელი ქუთაისი ფეხზე დადგა. ქალაქმა ერთბაშად მიიღო სადღესასწაულო ელფერი.

შეუდგენ სასწრაფო სამზადისს პროფესიონალური ორგანიზაციები, კომკავშირელი მოსწავლე ახალგაზრდობა, საზოგადო დაწესებულებანი.

სხვებს არ ჩამორჩენ აგრეთვე ნორჩი პიონერები.

დილის 10 საათისთვის სადგურს მიაწყდა აუარებელი ხალხი; მუშები, გლეხობა, მოწაფეები და სხვა მრავალი მოქალაქე.

ფრიალებენ სხვადასხვა ორგანიზაციების დროშები და სასწრაფოდ დაწერილი პლაკატები, რომელნიც ესალმებიან საყვარელ ბელადს და უსურვებენ საბჭოთა კავშირს მსოფლიო გამარჯვებას.

აქა-იქ გაიგონებთ მუსაიფს, რომელიც შეეხება ამხ. კალინინს:

მუშები აცნობენ მათ გარშემო დაროვილ ცნობის მოყვარე მოქალაქებს ამხ. კალინინის ვინაობას და ბიოგრაფიას. ისინი სიამაყით ამბობენ, რომ დღეს მთელს საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოს ხელმძღვანელობს მუშების წრიდან გამოსული ბელადი: უბრალო მუშა—ამხ. კალინინი. ხალხი მოუთმენლად მოელის მატარებლის გამოჩენას და თვალმოუშორებლივ გაჰყურებს სადგურისაკენ მომავალ გზას.

აი უკვე ლოკომოტივის კივილმა სადგურს აცნობა მატარებლის მოახლოება და შეგროვილი ხალხიც ამოძრავდა. ყველასა სურს წინ წაიწიოს, რომ პირისპირ შეხედოს იშვიათ სტუმარს.

რამოდენიმე წამი და მატარებელი გაჩნდა სადგურთან.

გარე მიდამოს აყრუებს მუსიკის ჰანგები.

ათასი თვალი მიშტერებულია ვაგონს.

გამოდის საშუალო ტანის მოხუცი კაცი - სათვალეებით, ამხ. ფ. მახარაძის, ამხ. ვ. სტურუას და ამხ. ს. თოდრიას თანხლებით.

მუშებმა უცბათ იცნეს თავისი ბელადი.

— გაუმარჯოს ამხ. კალინინს! გაისმება საერთო შეძახილი და ასტყდება ათასი ხელის მქუხარე ტაში. დიდხანს არ სცხრება ხალხის აღფრთოვანება და აღტაცებული ზეიმობა.

ამხ. კალინინი გადმოდის ვაგონიდან. გლეხების სახელით ამხ. კალინინს პირველ სიტყვას ეუბნება ამხ. ნარიბაძე.

ორატორი მიესალმება ამხ. კალინინს და გლეხობის სახელით გამოსთქვამს აღტაცებას და სიხარულს, რომ თავიანთ წრეში ნახა მუშათა წრიდან გამოსული სახალხო ბელადი, მუშათა და გლეხთა დაკავშირების მქადაგებელი. მუშებიდან და საბჭოთა ორგანიზაციებიდან სიტყვას ამბობს ამხ. თ. ჭუმბურიძე, რომელიც აღფრთოვანებით აღნიშნავს საბჭოთა კავშირის ცაკის სესიის თბილისში მოწვევის მნიშვნელობას, ამხ. ჭუმბურიძის შინაარსიან სიტყვას ხალხი მქუხარე ტაშით ხვდება.

ამხ. ვანო სტურუა ხალხს აცნობს ამხ. კალინინის ბიოგრაფიას.

ვრცელს სიტყვას ამბობს აგრეთვე ამხ. ფილიპე მახარაძე.

დასასრულ სიტყვას ამბობს ამხ. კალინინი, რომელიც გამოსთქვამს თავის უღრმეს კმაყოფილებას ასეთი აღფრთოვანებული შეხვედრის გამო.

შემდეგ ორატორი მარტივი ენით აღნიშნავს ქართველი ხალხის მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში.

— ეს წარმატება სამეურნეო და კულტურულ დარგებში, ეს აღფრთოვანება და ზეიმი ნაყოფია იმ დიდი ბრძოლის, რომელსაც ქართველი მშრომელი ხალხი რუსეთის ხალხთან ერთად ეწეოდა ასეულ წლების განმავლობაში"—ამბობს ამხ. კალინინი. აღტაცებული ხალხი ხელში აიტაცებს ამხ. კალინინს და ისე მიაცილებს ავტომობილამდე.

ავტომობილზე შემდგარი ამხ. კალინინი მუშებს მადლობას უხდის ასეთი მადლობისათვის და თან ხუმრობის კილოთი ეუბნება გარშემორტყმულ ხალხს: „ნუ მიეჩვევით თქვენი მთავრობის ხელით ტარებას; თუმცა ჯერჯერობით მჩატეები ვართ, მაგრამ, თუ გავსუქდით, დავმძიმდებით“. მქუხარე ტაში და მხიარული სიცილი ფარავს ამხ. კალინინის სიტყვებს.

ამხ. კალინინი ამხანაგებითურთ ავტომობილით მიექანება ქალაქისაკენ. მთელი მოსახლეობა გამოფენილია ქუჩებზე.

ყოველ ფეხის გადადგმაზე გრიალებს ტაში და „ვაშა“-ს ძახილი.

12 საათზე როზა ლიუქსემბურგის ქუჩაზე იმართება აღლუმი. აღლუმს ღებულობს ამხ. კალინინი ამხ. ვანო სტურუასა და ფ. მახარაძესთან ერთად. მწყობრად ცერემონიალური მარშით გაივლიან ერთი მეორის მიყოლებით ქვეითი ჯარები, არტილერია, სპარტაკელები, კომკავშირელნი, პიონერები. შეუწყვეტლად გაისმის ათასნაირი დევიზები და ვაშას ძახილი.

აღლუმი თავდება პირველ საათზე.

აღლუმს შემდეგ ამხ. კალინინი მიჰყავთ არხი „მაშველი“-ს დასათვალიერებლად. აქ მას ხვდებიან მრავალი გლეხები და მუშები ტაშით და ვაშით.

შემდეგ ამხ. კალინინი ამხანაგებთან ერთად ადის არქიელის გორაზე და ათვალიერებს ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს.

სამ საათზე ამხ. კალინინის პატივსაცემად კოოპერატიულ სასადილოში იმართება ბანკეტი.

ექვს საათზე ამხ. კალინინი ესწრება საბჭოთა სამაზრო ყრილობის გახსნას.

ამხ. რიკოვი და ჩიჩერინი მეოთხე რაიონის მუშებთან

გუშინ, დღის 3 საათზე, რუსთაველის თეატრში შესდგა მეორე რაიონის მუშების კრება, რომელსაც დაესწრენ ხეზე მომუშავენი, ასანთის ფაბრიკის მუშები, მეთამბაქოენი, მეჭედავები და სხვა. კრებაზე მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. რიკოვი და ჩიჩერინი.

ამხ. რიკოვის სიტყვა

ამხ. რიკოვის გამოჩენა სცენაზე მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშით ხვდება.

ანალიზს უკეთებს რა საბჭოთა კავშირის შინაურ ეკონომიურ პოლიტიკის უმთავრეს მომენტებს, ამხ. რიკოვი აღნიშნავს, რომ თუმცა ჩვენ გვაქვს მუშათა კლასის პოლიტიკური დიქტატურა, ჯერ კიდევ არ არის დამყარებული სამეურნეო-ეკონომიური დიქტატურა. ეხლანდელი გარდამავალი ხანა უნდა დამთავრდეს ამ დიქტატურის დამყარებით.

ამიტომ საჭიროა, რომ პოლიტიკური დიქტატურა ამ გარდამავალ მომენტში გამოყენებული იქნეს ფაბრიკის, ქარხნის და ქალაქის დიქტატურის გასაძლიერებლათ, რასაც შემდეგათ უნდა მოჰყვეს ეკონომიური სიძლიერის და, მაშასადამე, პროლეტარიატის ეკონომიურ - სამეურნეო დიქტატურის გაძლიერება ცხოვრებაში.

უკანასკნელი წლის განმავლობაში მიღებულ დადგენილებებიდან, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საბჭოთა მრეწველობის ორგანიზაციის გეგმა. ეს გეგმა საშუალებას მოგვცემს ჩვენ სოციალისტურ ნიადაგზე დავაყენოთ ჩვენი მრეწველობა.

დასასრულ ამხ. რიკოვი ეხება მრეწველობის ტეხნიკურათ მოწყობის საკითხს და ამბობს, რომ ყველა თავისუფალი თანხები უნდა მოხმარდეს ტეხნიკური მოწყობილების განახლებას, რადგან ის საკმაოთ გაცვდა, რაც ხელს უშლის მრეწველობის მაქსიმალურათ გაფართოვებას.

ამხ. რიკოვის მოხსენების შემდეგ ამხ. გ. სტურუა დამსწრე მუშების სახელით პატიოსან, მუშურ სიტყვას აძლევს ამხ. რიკოვს, რომ თბილისის მუშები არ უღალატებენ იმ გზას, რომელსაც უჩვენებენ მათ საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ბელადები.

ამნისტია

თავის უკანასკნელ სხდომაზე, 7 მარტს, საბჭოთა კავშირის ცაკის მე-3 სესიამ მიიღო დადგენილება ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოციალისტური ფედერატ. რესპუბლიკის პატიმართა სასჯელის შემსუბუქების შესახებ. დადგენილების თანახმად განთავისუფლებული უნდა იქნან ყველა გლეხები, რომელთაც ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკების და ოლქების სამოსამართლო ან ადმინისტრატიულ ორგანოების მიერ მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა სასოფლო სამეურნეო გადასახადის არშეტანისა ან თავის დროზე არ გადახდისათვის.

ამასთანავე უქმდება იმავე დაწესებულებათა მიერ მისჯილი ჯარიმები ან ქონების კონფისკაცია.

იგივე ზომები ხმარებული იქნება იმ შინამრეწველების მიმართ, რომელთაც მიესაჯათ, მაგრამ არ გადაუხდიათ, სასამართლოს ან ადმინისტრატიული წესით ჯარიმები ან სხვა რაიმე ქონებრივი სასჯელი სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ გადასახადების არ შეტანის ან თავის დროზე არგადახდისათვის.

შემსუბუქებული იქნება სასჯელი სრულ განთავისუფლებამდე იმ პირთა, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკების და ოლქების სამოსამართლო ან ადმინისტრატიულ ორგანოების მიერ, ან რომელნიც იმყოფებიან საქმის გამოძიებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ კონტრ - რევოლიუციონურ მოქმედებისათვის, გარდა იმ პირებისა, რომელთაგან თავისუფლება წარმოადგენს საფრთხეს რევოლიუციონურ წესწყობილებისათვის ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სასჯელიდან თავისუფლდებიან ის მოქალაქეები, რომელთაც ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედერატიული რესპუბლიკის და მასში შემავალ რესპუბ. და ოლქების სასამართლო და ადმინისტრატიულ ორგანოების განაჩენებით მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა იმ დანაშაულთათვის, რომლებიც ჩაიდინეს ამ პირებმა რელიგიური მოტივებით.

სასჯელის ვადა უნახევრდებათ მუშებს, გლეხებს, წითელ არმიელებს და სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მსჯავრდადებული იყვნენ სხვაგვარ დანაშაულისათვის.

ამიერ-კავკასიის საბ. ფედერ. სოც. რესპუბლიკის ცაკის პრეზიდიუმს წინადადება ეძლევა ეს დადგენილებები ცხოვრებაში გაატაროს ათი დღის ვადაში.

ორგანოები, რომელთაც უნდა დაეკისროთ აღნიშნული ამნისტიის ცხოვრებაში გატარება და აგრეთვე ზემოდ აღნიშნულ ვადაში მისი გატარების წესი განსაზღვრული უნდა იქნეს რესპუბლიკის და ოლქების ცაკების მიერ კუთვნილებისამებრ.

ამხ. ჩიჩერინის სიტყვა

ამხ. ჩიჩერინი სცენაზე გამოჩნდება შავს ჩოხაში, ხანჯლით და ბუხრის ქუდით, რაც დაუსრულებელ ტაშს და ოვაციებს იწვევს.

— ამხანაგებო!—გამარჯობათ!—იწყებს თავის სიტყვას ამხ. ჩიჩერინი ქართულათ, მაგრამ შემდეგ აღარ ყოფნის ქართული სიტყვები და გადადის რუსულზე.

პირველ საბჭოთა დიპლომატის პირიდან წარმოთქმულმა ქართულმა სიტყვებმა აღტაცებაში მოიყვანა მთელი დარბაზი.

— საქართველო ევროპის და აზიის საზღვარზე მდებარეობს, ამით აიხსნება ის, რომ ევროპის და ამერიკის იმპერიალისტებმა საქართველო თავისი ყურადღების ცენტრში მოაქციეს.

საქართველო გზაა ბაქოს ნავთისაკენ. იმპერიალისტები სცდილობდენ ამ გზის დაპყრობას, მაგრამ ვერ მოახერხეს.

მიუხედავათ საბჭოთა კავშირის ცნობისა მთელ რიგ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მიერ, ჩვენ მაინც უზრუნველყოფილი არა ვართ ახალი თავდასხმისაგან.

ჩვენ ყოველთვის მზათ უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ რესპუბლიკის თავდაცვის საშუალება. და როდესაც ამას მივაღწევთ, მაშინ ჩვენთვის საშიში აღარ იქნება კაპიტალისტების არავითარი ხრიკები.

გაუმარჯოს თქვენს კავშირს!

გაუმარჯოს წითელ საქართველოს,—ათავებს სიტყვას ამხ. ჩიჩერინი, რომელსაც აუდიტორია ისევ მქუხარე ტაშით და მხურვალე ოვაციებით აცილებს.

რუსთაველის თეატრიდან ამხ. ჩიჩერინი გაემგზავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მიტინგზე.

გ.

ამხ. რაკოვსკი ნავთლუღის რკინისგზელთა შორის

გუშინ, დღის 2 საათზე, ამხ რაკოვსკი მოხსენებით გამოვიდა ნავთლუღის რკინისგზელთა კლუბში.

მუშათა კლუბის საკმაოთ ფართო დარბაზი გაჭედილია მუშებით და წითელარმიელებით. უადგილობის გამო ბევრი გარეთ სდგას, ზოგი ფანჯრებიდანაა მომდგარი და იქიდან სცდილობს მოუსმინოს წითელ საბჭოთა დიპლომატს, რომლის დიპლომატიურმა ნიჭმა მრავალ გამოცდილ და გამოხრძნილ უცხოელ დიპლომატს ჩაუფუშა კაპიტალისტების სალონებში შეკოწიწებული გეგმები.

კრებას ხსნის მესამე რაიკომის მდივანი ამხ. ვართაპეტიანი, რომელიც მოკლე მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ამხ. რაკოვსკის.

სცენაზე გამოჩნდება საშუალო ტანის და მკვრივი აგებულობის კაცი.

ის პირველი სიტყვიდანვე იპყრობს აუდიტორიას. ლაპარაკობს მდაბიო ენით, ლოღიკურათ. საჭირო არ არის მისი დებულებებისათვის ჯამის გაკეთება, დასკვნები ერთი მეორეს მისდევენ მსმენელის შემეცნებაში.

ამხ. რაკოვსკის სიტყვა

— ამხანაგებო! ხუთშაბათს მე და რამოდენიმე ამხანაგი თბილისიდან გავფრინდით ჰაეროპლანით სოხუმში და ჰაეროპლანითვე დავბრუნდით უკან. სოხუმში ჩვენ აღტაცებაში მოგვიყვანა აფხაზეთის იშვიათმა სილამაზემ და ბუნებრივმა სიმდიდრემ. აფხაზეთი თავისი გეოგრაფიული და კლიმატიური პირობებით ესპანეთის და სიცილიის კუთხეს წარმოადგენს. იქ ამუშავებენ თამბაქოს, ბამბას, ძვირფას კულტურებს. ამას გარდა მთებში აუარებელი სიმდიდრეა: ქვანახშირი, ვერცხლის მადანი, „რკინის ხე“ (ბზა) და სხვა.

ერთი სიტყვით, აქ თვითეულ საჟენ მიწაზე შეიძლება გამდიდრდეს კაცი. აფხაზეთში ყოველგვარი სიმდიდრეა, მაგრამ ის არ არის დამუშავებული.

აფხაზეთიდან მე გავემგზავრე სვანეთისაკენ. დავათვალიერე რამოდენიმე სოფელი და მე გამაკვირვა გზების უვარგისობამ, მოსახლეობის სიღარიბემ და უმეცრებამ. შევხვდი გლეხებს: მათი ჩამოხეულ-ჩამოფლეთილი ტანთსაცმელი და საერთო სიღარიბე მძიმე შთაბეჭდილებას სტოვებს. აი, ამხანაგებო, ის ორი ფაქტი, რომელიც მე იქ შევნიშნე.

ვინ არის დამნაშავე მოსახლეობის ასეთ ჩამორჩენილობასა და სიღარიბეში? ის, ვინც ასეული წლის განმავლობაში განაგებდა ამ მშვენიერ კუთხეს, დამნაშავეა ის თვითპყრობელური, კაპიტალისტური რეჟიმი, რომელიც ამ სიმდიდრეს ერთ მუჭა კაპიტალისტების ინტერესების დასაკმაყოფილებლათ იყენებდა.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოსპო ეს რეჟიმი. მან გაანთავისუფლა მშრომელები და ეროვნული მშვიდობიანობა დაამყარა ამიერ-კავკასიაში. პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების წინაშე ამიერ-კავკასიაში დასმულია სამეურნეო ამოცანა: ჩვენ უნდა მოვსპოთ ხალხის სიღატაკე, უნდა გავიყვანოთ გზები, საჭიროა სკოლების და სხვა კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებების ქსელის გაფართოვება, ერთი სიტყვით, ის ხალხი, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში დაჩაგრული და გაყვლეფილი, ბედნიერი უნდა გავხადოთ.

ჩვენ დახმარებას ვუწევთ აგრეთვე ცალკე რესპუბლიკებს.

ამხ. რაკოვსკიმ მოუწოდა მუშებს განამტკიცონ კავშირი გლეხებთან და ყოველის მხრივ ხელი შეუწყონ მეურნეობის აღდგენას და რკინისგზის ქსელის გაფართოვებას, რაც გაამაგრებს საბჭოთა კავშირის შინაურ მდგომარეობას.

— შინაური მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ კი ჩვენთვის საშიში აღარ იქნება ევროპის და ამერიკის იმპერიალისტების მტაცებლური ზრახვები,—დაამთავრა ამხ. რაკოვსკიმ თავისი სიტყვა, რომელიც დამსწრეების მქუხარე ტაშმა დაფარა,

მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ხანგრძლივ, მხურვალე ოვაციებს უმართავს საბჭოთა კავშირის წითელ დიპლომატს.

მისასალმებელი სიტყვები არ ყოფილა, რადგან ამხ. რაკოვსკის ეჩქარებოდა მეორე კრებაზე.

ერთხმად მიღებული იქნა წინადადება ამხ. რაკოვსკის სად. ნავთლუღის წითელ საპატიო მეისრეთ არჩევის შესახებ.

— გაუმარჯოს ჩვენს წითელ საპატიო მეისრეს,—ისმის დარბაზიდან ახალგაზრდა მუშის ხმა, რომელსაც უერთდება მთელი დარბაზი და რამოდენიმე წუთის განმავლობაში თეატრი ზანზარებს ტაშის ცემისაგან.

— მე ვეცდები ისე ვმართო ისარი, რომ მატარებელს მარცხი არ მოუვიდეს,—ამბობს ამხ. რაკოვსკი და მის უკანასკნელ სიტყვას ისევ ტაში, ოვაცია და „ურას“ ძახილი ფარავს.

დარბაზიდან გამოსვლისას ამხ. რაკოვსკის გარს ერტყმიან მუშები და წითელარმიელები, რომლებიც ხელში აიყვანებენ მას და ისე მიაცილებენ ავტომობილამდი.

ნავთლუღიდან ამხ. რაკოვსკი გაემგზავრა სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ის მოხსენებით გამოვიდა სტუდენტთა კრებაზე.

გ. ჩ.

ივერიელი

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე

საქართველოს მშრომელო ქალებო!

უმაგალითო გმირულ რევოლიუციონურ ბრძოლაში მეფის, კაპიტალისტების, მემამულეების წინააღმდეგ მუშებმა და გლეხებმა მოიპოვეს ყოველგვარი უფლება ახალ საზოგადოებრივ წესწყობილების დასამყარებლად, როდესაც არ იქნება არავითარი ჩაგვრა, ძალდატანება, ექსპლოატაცია.

ამ აღმშენებლობის წარმატება სავსებით დამოკიდებულია თვით მშრომელებზე, დამოკიდებულია მასების რაოდენობაზე, რომელნიც ჩაბმულია ამ აღმშენებლობაში, დამოკიდებულია ამ მასების აქტივობაზე, თავდადებაზე, მათ რევოლიუციონურ და კლასიურ შეგნებაზე.

აქტიურ და შეგნებულ მშრომელთა მრავალი მილიონებია საჭირო ამ მუშაობის წარმატებისათვის. მრავალ მილიონი უკვე ამოქმედებულია და ჩაბმულია ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში.

ამ აღმშენებლობის წარმატება არანაკლებ დამოკიდებულია მასში მშრომელ ქალთა ფართო მასების მონაწილეობაზე.

მუშურ-გლეხურმა ხელისუფლებამ სავსებით გაათანასწორა ქალები უფლებრივათ მამაკაცებთან და მოუწოდებს მათ იმავე აქტიურ, შეგნებულ სამეურნეო, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ მუშაობისაკენ, რომელსაც მშრომელი მამაკაცები ეწევიან. ქალს მიენიჭა ყოველგვარი უფლებები და გაეხსნა ფართო გზა მოქმედებისათვის. მაგრამ მშრომელი ქალისათვის უფრო ძნელია საზოგადოებრივი მუშაობა, ვიდრე მამაკაცისათვის, არა იმიტომ, რომ მას ნაკლები უფლებები აქვს; არა: მისი უფლებები ისეთივეა, როგორიც მამაკაცის; არამედ იმიტომ, რომ ფაბრიკაში, მინდორში ან დაწესებულებაში მუშაობის გარდა ის დატვირთულია კიდევ ოჯახური საქმეებით, ემსახურება ოჯახს.

ოჯახური საქმეებიართმევს მშრომელ ქალს მთელ დროს, მთელ ძალას, ასუსტებს მას ფიზიკურათ, ადუნებს გონებრივად და მომწყვდეული ჰყავს ის და მისი მეოხებით მთელი ოჯახი ცრუმორწმუნოებათა და სიბნელის კლანჭებში.

მხოლოდ ასეთ სიბნელეზე შეეძლო დაყრდნობოდა ძველ დამხობილ წესწყობილებას.

ახალი წესწყობილებისათვის, პირიქით, ეს სიბნელე მთავარი მტერია.

საბჭოთა ხელისუფლებამ ფართოდ დააყენა მშრომელ მასების: ბავშვთა და მოზრდილთა, მამაკაცთა და ქალთა განათლების საქმე. ჩვენი ბიუჯეტის ნახევარზე მეტი ხმარდება განათლების საქმეს და იმ დაწესებულებების შენახვას, რომელნიც დახმარებას უწევენ ქალს განთავისუფლდეს ოჯახურ ზრუნვათაგან; როგორც, მაგალითად: ბაგები, ბავშვთა კერა, საბავშვო ბაღები, სახლები, დედის და ბავშვის სახლები და სხვა.

ყველა ეს დაწესებულებანი საშუალებას აძლევენ მრავალ მშრომელ ქალს განთავისუფლდენ ოჯახის ბორკილებიდან და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა კიდევ მეტი.

და დღეს, 8 მარტს, მშრომელი ქალის საერთაშორისო დღეს, როდესაც სწარმოებს იმ მშრომელ ქალთა დათვალიერება და აღრიცხვა, რომელნიც უკვე ჩაებენ ბრძოლაში კომუნიზმისათვის,—საბჭოთა ხელისუფლება მიმართავს ყველა საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და გლეხთა კომიტეტებს მოწოდებით — განამტკიცონ უკვე არსებული დააარსონ ახალი ადგილობრივი საზოგადოებრივი დაწესებულებანი, რომლებსაც მშრომელ ქალს შეუძლია გადასცეს თავისი ეხლანდელი ოჯახური მოვალეობანი: საზოგადო სასადილოები, საზოგადო სამრეცხველოები, ძუძუ მწოვარა ბავშვთა საზოგადოებრივი მოვლა, კერები და სხვა, რათა ამით საშუალება მიეცეს მშრომელ ქალთა ფართო მასებს ჩაებან მუშათა კლასის კულტურულ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ბრძოლაში მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელთა განთავისუფლებისათვის.

გაუმარჯოს 8 მარტს, ქალთა საერთაშორისო კომუნისტურ დღეს!

გაუმარჯოს ოჯახურ ტვირთისაგან განთავისუფლებულ მშრომელ-ქალს!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც ხელს უწყობს ამ განთავისუფლებას!

დეე, გამრავლდენ ახალ რევოლიუციონურ ქალთა რაზმების რიგები, რომლებიც დგანან III ინტერნაციონალის დროშის ქვეშ.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე: მ. ცხაკაია.

საბჭოთა საქართველოს მშრომელ ქალებს

8 მარტი მშრომელ ქალთა რევოლიუციონური მოძრაობის საერთაშორისო დღეა.

ამ დღეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან მშრომელი ქალები სოლიდარობის ხმას მისცემენ ერთმანეთს.

ეს ხმა,—მრავალი ათასებისა და მილიონების ხმა—ბრძოლის ყიჟინად გაისმება მშრომელთა ბანაკში, გამოაცოცხლებს პროლეტართა უბნებს ქალაქებში, გამოაღვიძებს ღატაკთა ქოხებს სოფლად და მოუწოდებს მთელი ქვეყნის მშრომელ ქალებს შეერთდენ, დაირაზმონ და საერთაშორისო მუშათა კლასის რიგებში გაცხარებული ბრძოლა აწარმოონ ძველი—კაპიტალისტური—სამყაროს დასანგრევად და ახალი—კომუნისტური წყობილების დასამკვიდრებლად.

ამ დღეს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის მშრომელი ქალები დარაზმული ძალებით კიდევ უფრო გააძლიერებენ საერთაშორისო ფაშიზმთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ პროლეტარიატის რიგებს.

კაპიტალიზმისა და ფაშიზმის ბრჭყალებში მყოფ ქვეყნების მუშათა კლასის უახლოესი და გადაუდებელი ამოცანაა პროლეტარიატის დიქტატურისა და მშრომელთა ხელისუფლების დამყარება.

ამ ამოცანის გადაწყვეტაში რევოლიუციის ცეცხლით ანთებული მშრომელი ქალები უკანასკნელ როლს არ ითამაშებენ: ამისათვის ემზადებიან, ამისათვის ირაზმებიან, აქეთკენ მოუწოდებს მათ 8 მარტი.

ამ დღეს მშრომელ ქალთა რევოლიუციონურ ყიჟინას აღფრთოვანებით გამოეხმაურება აღმოსავლეთის ჩაგრული ქვეყნების მშრომელი ქალი.

სისხლისაგან იცლება ახალშენად და ნახევარ ახალშენად ქცეული აღმოსავლეთი, სული ეხუთება იმპერიალიზმის სალტეებში და მტაცებელთა ქუსლის ქვეშ.

დამოუკიდებლობის მოპოვება და თვისი ქვეყნის სვებედის ხელში აღება აღმოსავლეთის მშრომელთა მორიგი ამოცანაა.

ამ ბრძოლაში აღმოსავლეთის მშრომელი ქალი შეასრულებს თავის რევოლიუციონურ მოვალეობას.

აქეთკენ მოუწოდებს მას 8 მარტი.

ამ დღეს თავისუფალი და სოციალისტური საზოგადოების აღმშენებლობაში ჩაბმული საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის მშრომელი ქალები ყურადღებით შეაფასებენ მუშათა კლასის რიგებში ჩატარებულ თავიანთ რევოლიუციონურსა და შემოქმედებით მუშაობას, შეაფასებენ მიღწევებს ქალთა მოძრაობის გაფართოებაში, ახალი ყოფა-ცხოვრების შექნაში, პროლეტარული სახელმწიფოს ეკონომიურ, კულტურული და პოლიტიკურ აღმშენებლობაში, მოზარდი და მოზრდილი თაობის კომუნისტურად აღზრდა-გადამზადებაში და სხვ.

ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცება, საბჭოთა კავშირის ეკონომიურად და კულტურულად აყვავება, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კავშირის განმტკიცება, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ასალკლდევება და მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციისათვის დაყრდნობათ გადაქცევა,—ყველაფერი ეს უანდერძა ჩვენი კავშირის პროლეტარიატს და მის ავანგარდს—კომუნისტურ პარტიას ოქტომბრის რევოლიუციის სულის ჩამდგმელმა ამხ. **ლენინმა.**

ამ ანდერძის შესრულების მთელ სიმძიმეს და პასუხისმგებლობას მუშათა კლასის რიგებში მებრძოლი მშრომელი ქალებიც ინაწილებენ; ამისათვის იკრეფენ ძალ-ღონეს, ამისათვის ძიილტვიან მუშათა რიგებში. ამას ეუბნება მათ ლენინიზმი, აქეთკენ მოუწოდებს მათ 8 მარტი.

ამ დღეს საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელი ქალები არა თუ თვითონ დაირაზმებიან პროლეტარულ სახელმწიფოს დაცვა-განმტკიცებისათვის, არამედ შეგნებით და სწორად დააფასებენ იმ დიდ მოვალეობასა და პასუხისმგებლობას, რომელიც აწევთ მათ ახალი თაობის კომუნისტურ აღზრდის საქმეში, რომ ოქტომბრის რევოლიუციის სადარაჯოზე ბრძოლით დაქანცულ გმირებს მხარში ამოუდგეს კომუნიზმისათვის თავგანწირული მებრძოლთა უძლევი ახალი ლაშქარი.

კომუნისტური აღზრდის სკოლას წარმოადგენს ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირი და პიონერთა რიგები.

როზა ლიუქსემბურგ

ახლად ნაპოვნი სურათი, რომელიც მოთავსებულია გერმანულ საილუსტრაციო ჟურნალში „Der rote Stern" („წითელი ვარსკვლავი" თებერ. №).

ამაზე ზრუნავს, ხმას ემსახურება საბჭოთა ქვეყნის მშრომელი დედა და აღმზრდელი.

ამას ავალებს მათ სოციალისტური რევოლიუციის ბრწყინვალე მომავალი, აქეთკენ მოუწოდებს მათ 8 მარტი.

ამხანაგებო, საქართველოს მშრომელო ქალებო! სოლიდარობის მგზნებარი გამოძახილით ვუპასუხოთ მთელი ქვეყნის მშრომელ ქალების რევოლიუციონერ ხმას.

არც ერთი-ჩვენთაგანი არ დარჩეს კომუნიზმისათვის მებრძოლთა ბანაკის გარეშე.

შემჭიდროებული რიგებით, მუშათა კლასთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დაუზოგავად ვიშრომოთ ახალი წყობილების, ახალი ყოფა-ცხოვრების შესაქმნელად და განსამტკიცებლად.

მეტი ენერგია წარმოებაში, პროფკავშირებში, კულტურულ-განმანათლებელ საქმეში.

მეტი დახმარება აღმოსავლეთის ჩაგრულ ქალს.

მზათ ვიყოთ. კაპიტალისტური სამყაროს აფეთქებში საბჭოთა საქართველოს მშრომელი ქალის მიერ გადატყორცნილი ნაპერწკალიც უნდი ღვიოდეს.

აქეთკენ მოგვიწოდებს ლენინის ხმა, აქეთკენ გვიწვევს 8 მარტი.

ს. კ. პ. ცკას მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე
მარიამ ორახელაშვილი.

8 მარტი და საქართველოს მშრომელი ქალები

8 მარტი, ქალთა საერთაშორისო დღე რევოლიუციონური დარაზმვის, ფართე მასების რევოლიუციონური მობილიზაციის დღეა, აგრეთვე საქართველოს და განსაკუთრებით თბილისის მშრომელ ამხანაგ ქალებისათვის. მთელს მსოფლიოში თავის ძმებთან და დებთან მჭიდრო გაერთიანებით ისინი ამჟღავნებენ თავის ნებისყოფას, რათა განახორციელონ კომუნიზმი, რადგან მხოლოდ კომუნიზმი ანიჭებს მშრომელ ქალთა მასებს ძვირფას უფლებას იცხოვროს და იმუშაოს ხალხთან და შეხმაროდეს თავის ცხოვრებას და მუშაობას. ამასთან ერთად ეხლანდელი 8 მარტი თქვენთვის, ამხანაგებო, საქართველოს და განსაკუთრებით თბილისის მშრომელო ქალებო, ამავე დროს არის გამარჯვების საპატიო დღე. თქვენმა პოლიტიკურმა სიმწიფემ და სიმტკიცემ ხელი შეუწყვეს უკანასკნელ წელს, საბჭოთა რესპუბლიკასთან ერთად, ქალთა სქესის სრული კანონიერი თანასწორობის დაცვას და შენარჩუნებას.

მენშევიკები ფიქრობდენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და პროლეტარული დიქტატურის მაგიერ მდიდრების, ძველი მჩაგვრელი კლასიური ბატონობის კვლავ აღდგენას.

მათთან კავშირი ჰქონდათ მეფის ოფიცრებს, თავადებს და ბანდიტებს. დიდი კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტები, რომელთაც სურთ ჯიბის გასქელება, ხელს უწყობდენ და ფულს აწოდებდენ შეთქმულებს. მუშების, გლეხების, ინტელიგენტების, და ყველა მშრომელების ფართო მასები მოვლენილი საფრთხის დროს იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებასთან. საბჭოთა ხელისუფლებასთან იყავით თქვენც, ქართველო დებო! იძლეოდენ რა მაგალითს, თქვენ წინ მხნეთ წინ მიგიძღოდათ თბილისის ქალები. გმირული ბრძოლისათვის გამხადებულნი ისინი დაჟინებით მოითხოვდენ იარაღს საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად თბილისში. რომ შავ-ბნელ კონტრ-რევოლიუციონურ ძალების მუხანათური ცდა ასე სწრაფად და სამარცხვინოთ დამარცხდა, ამაში დამსახურება მიუძღვით ქალებსაც.

დებო, ამხანაგებო, თქვენ იცოდით რას აკეთებდით და რა უნდა გაგეკეთებიათ თქვენ, როგორც მშრომელ ქალებს. თვით მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებშიაც, სადაც ქალებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და აგრეთვე უფლება თვითონ იქნეს არჩეული, ქალი არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში არ არის კანონიერი უფლებებით სავსებით გათანასწორებული მამაკაცთან. ოჯახში კვლავ დამორჩილებული და დაბეჩავებულია, საზოგადოებაში და სახელმწიფოში პრაქტიკულად ის არ სარგებლობს მამაკაცის უფლებებით იქ ქალთა თანასწორობა ცარიელი ფორმულა, მკვდარი სიტყვაა.

მხოლოდ საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურ ქვეყნებში, პროლეტარული დიქტატურის დროს ქალთა კანონიერი თანასწორუფლებიანობა სავსებით განხორციელებულია. მხოლოდ ერთად-ერთ საბჭოთა რესპუბლიკებში არის შექმნილი პირობები და გატარებული ზომები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მშრომელი ქალის უფლებებს ნამდვილად და საქმით გამოიყენოს, როგორც თანასწორუფლებიანმა და თავისუფალმა თავისი მუშაობა. მხოლოდ ერთად-ერთ საბჭოთა რესპუბლიკებში შეუძლია ქალს ითანამშრომლოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დაწესებულებებში და ორგანოებში, რათა შექმნას ახალი უმაღლესი ეკონომიური და საზოგადოებრივი ფორმები და გზა გაუკაფოვს უფრო დასრულებულ, უფრო მდიდარ კულტურას ყველასათვის. კანონმდებლობაშიაც, მთავრობაშიაც ისევე როგორც ყველაზე პატარა სოფლის საბჭოში, სასკოლო საბჭოში, როგორც სახალხო სასამართლოებში, ყოველგან ქალი თანასწორუფლებიანი თანამშრომელია მამაკაცის. მისთვის ღიაა ყველა სასწავლებლების კარები. მეცნიერებაში და ტეხნიკაში მრეწველობაში და სასოფლო-მეურნეობაში ის უნდა მოემზადოს იმისათვის, რომ ყველას მოახმაროს თავისი გონების უნარი და თავისი ხელების სიმარჯვე.

საბჭოთა ვარსკვლავი აშუქებს საქართველოს მშრომელი ქალების სრულ თანასწორუფლებიანობას, რომ მათ მოაწყონ ახალი საზოგადოება და მით გაუძღვენ საკუთარ ბედიღბალს. ეს თანასწორუფლებიანობა იმედი და მოწოდება აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელ ქალებისათვის, ყოვლად საშინელ პირობებში ისინი მხედრდებიან ყოვლად საშინელი მონობის, საშინელი დაცინვის, საშინელი შეურაცხყოფის და მათი ფეხ-ქვეშ გათელვის წინააღმდეგ. წითელი ოქტომბრის შემწეობით განთავისუფლებული ქართველი ქალები მიმართავენ მათ მოწოდებით: აღიჭურვეთ დებო, მხნეობით, მოთმინებით, ენერგიით! ჩვენც ისეთივე მონა ქალები, დამცირებული, ფეხ-ქვეშ გათელილი ვიყავით, როგორც თქვენ. მაგრამ დღეს ჩვენ თანასწორუფლებიანი ვართ. თუ თქვენ მიისწრაფვით თავისუფლებისაკენ, თანასწორუფლებიანობისაკენ, მაშ, იბრძოლეთ. პროლეტარული დიქტატურა, საბჭოთა რესპუბლიკა დაამსხვრევს თქვენს ხუნდებს ისევე, როგორც მან ჩვენ გაგვანთავისუფლა მონობისაგან.

საბჭოთა ვარკვლავი აშუქებს საქართველოს მშრომელ ქალთა სრულ თანასწორუფლებიანობას. ეს თანასწორუფლებიანობა თავდები და მოწოდებაა აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელ ქალებისთვისაც. პროლეტარული დიქტატურით განთავისუფლებული ქართველი ქალები მათ უბრუნდებიან: დებო! გრწამდეთ ჩვენი, თქვენს ძმებთან ერთად ჩვენ საქართველოში, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში ჩვენს ხელთ არის ციხე-სიმაგრე მტაცებლურ მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დიდ საბჭოთა კავშირთან ერთად ჩვენ გვჭირავს მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის მნიშვნელოვანი სამხრეთ-აღმოსავლეთის მოწინავე საგუშაგო. ჩვენს ძმებთან ერთად, ჩვენ საქართველოს და ამიერ-კავკასიის თავისუფალი და თანასწორ უფლებიანი ქალები წინააღმდეგობას გაუწევთ იმას, რომ არამზადა მენშევიკებმა ჩვენი დამოუკიდებელი სამშობლო გაჰყიდონ მსოფლიო ბურჟუაზიას მისი ბუნებრივი სიმდიდრის და მისი ხალხების გასაყვლეფად და საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ადვილად გამოსაყენებლად. ჩვენი საქმე იქნება აგრეთვე ის რომ საბჭოთა კავშირი დარჩეს მსოფლიო რევოლიუციის ამაყ დაუძლეველ ციხესიმაგრედ, ამით ჩვენ ვიცავთ ჩვენს თანასწორ-უფლებიანობას, ჩვენს ადამიანობას. დებო, იმუშავეთ ისე, როგორც ჩვენ, იბრძოლეთ ისე, როგორც ჩვენ. პროლეტარიატის დიქტატურია იქნება თქვენთვისაც მფარველი და უფლების და თავისუფლების მატარებელი.

8 მარტს, ქართველო და ამიერ-კავკასიელო დებო, ყველა ქვეყნის მშრომელი ქალები, რომლებიც გამოდიან კაპიტალიზმის წინააღმდეგ და კომუნიზმისათვის, მადლობით აფასებენ თქვენ მხნე ერთგულებას საბჭოთა რესპუბლიკისა და პროლეტარული რევოლიუციისადმი. ისინი დარწმუნებული არიან, რომ თქვენი სალი თავგანწირული თანამშრომლობა განავითარებს დამოუკიდებელ საქართველოს და საკავშირო საბჭოთა ამიერ-კავკასიის კომუნისტურ საზოგადოებაში. ქალების ფართო მასები შეადგენენ მასში აყვავების გზაზე დამდგარი მეურნეობის და კულტურის შემოქმედებით ძალებს. გზის მაჩვენებელ ცეცხლის სვეტივით ეს დიდი ისტორიული მაგალითი გაანათებს აღმოსავლეთის ქალების მონობის წყვდიადს. წინ ყველა იმ ძალთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩაგრავენ და ყვლეფენ ხალხთა მილიონებს, მშრომელ ქალთა მასების მილიონებს!

წინ, ყველა ქვეყნის რევოლიუციონერო მებრძოლო საზოგადოებავ, საბჭოთა რესპუბლიკისათვის და ყველაფერი იმის სწორუფლებიანობისათვის, რასაც აქვს ადამიანური სახე! წინ საბჭოთა კავშირის და კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ!

კლარა ცეტკინ.

მოსკოვი 26 თებერვალი 25 წ.

მშრომელი რიგების გაძლიერების დღე

დიდი ხნის განმავლობაში რუსეთი იყო ჩამორჩენილი ქვეყანა ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად.

როდესაც 30 წლის წინად ჩვენში საძირკველი ჩაეყარა რევოლიუციონურ მუშათა პარტიას, ჩვენი მუშათა კლასი იყო უკიდურესად დაჩაგრული და დაბეჩავებული.

რომ ეს კლასი გახდებოდა შეურიგებელი, მტკიცე და გამობრძმედილ მებრძოლად და აუცილებლათ გაიმარჯვებდა, ამის გაგება შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც შეეძლო დაენახა არა მარტო დღევანდელი, არამედ ხვალინდელი დღეც, ვისაც შეეძლო შეხედა მოძრაობისათვის საერთაშორისო სათვალეებით.

და ამიტომ რუსეთის მუშათა მოძრაობას ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა და არ ავიწყდება თავისი მჭიდრო კავშირი საერთაშორისო მუშათა მოძრაობასთან.

ჩვენი კავშირის მუშათა და მუშა-ქალთათვის საერთაშორისო სოლიდარობის ისეთ დღეებს, როგორიცაა 1 მაისი, 8 მარტი, აქვს უდიდესი მნიშვნელობა.

წარსულ წელს ჩვენს კავშირში, არაჩვეულებრივად გაიღვიძა მასების თვითმოქმედებამ, მოძრაობა ჩქარის ტემპით წავიდა წინ, ჩვენი კავშირის მშრომელ ქალებში, მუშათა და გლეხ-ქალებში გაიღვიძა ლტოლვამ შეგნებულ ცხოვრებისაკენ.

იმათ შეავსეს მათი რიგები, ვისთვისაც ძვირფასია საერთაშორისო პროლეტარიატის გამარჯვება, ვინაც ილტვის ყველა მშრომელთა განთავისუფლებისაკენ, ვინც აქტიურად იმუშავებს ამ მიზნებისათვის.

„ჩვენი რაზმი მოვიდა"-ო შეუძლიათ სთქვან დღეს ყველა ქვეყნების შეგნებულმა მუშა-ქალებმა.

ყოველ წლიურად გაიზრდება შეგნებულ, მუშაკებთან ხელი-ხელ ჩაკიდებულ მუშა-ქალთა რაზმები.

და ვერავითარი ძალა ვერ დაუდგება წინ ამ რაზმებს?

ნ. კრუპსკაია.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 7 მარტი. კომინტერნის აღმასკომმა მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის გამო მიმართა საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„მუშა - ქალებო, მშრომელო გლეხის ქალებო და მასწავლებლო ქალებო! ქალთა საერთაშორისო დღეს კომინტერნის აღმასკომი გიგზავნით თქვენ გულითად სალამს. გადამწყვეტი მნიშვნელობა საერთაშორისო რევოლიუციისათვის აქვს საბჭოთა კავშირის შეუწყვეტელ გაძლიერებას. ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად რუსეთის კომპარტია სამართლიანად სთვლის პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობას შორის სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ კავშირის განმტკიცებას. ამ კავშირში უნდა იქნას ჩაბმული ქალაქის და სოფლის მშრომელი ქალი. მხოლოდ მაშინ გახდება იგი მტკიცე, გამძლე და დაუძლეველი. დეე, ქალთა საერთაშორისო დღემ დააკავშიროს კაპიტალისტურ ქვეყნის და საბჭოთა კავშირის მშრომელ ქალთა საქმე მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ამოცანებთან და, დეე, გაბედულად წაიყვანოს ეს საქმე წინ!

უმუშევრობა ქალთა შორის და ბრძოლა მის წინააღმდეგ ჩვენში

(მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის გამო)

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხანაში ბევრი რამ გაკეთდა და ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა წინ მშრომელ ქალთა მდგომარეობის, მუშა ქალებისა და გლეხი ქალების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში. ჩვენი ქვეყანა (მხედველობაში მაქვს მთელი საბჭოთა კავშირი) პირველია მთელს მსოფლიოში, სადაც ყველა მშრომელნი გათანასწორებული არიან კანონით, მიუხედავად სქესისა და ჩამომავლობისა. საბჭოთა რესპუბლიკაში ქალი ისეთივე სწორუფლებიანი წევრია სახელმწიფოსი, როგორც მამაკაცი. და მართლაც, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქალი მამაკაცთან ერთად უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. აქ ჩვენ ვხედავთ ქალს აღმასკომისა და საბჭოს თავმჯდომარეთ, სახალხო მოსამართლეთ, კომისრათ, პარტუჯრედისა და პარტკომის მდივნის თანამდებობაზე და სხვ. ჩვენი ქალების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სრულებითაც არ ჩამოუვარდებიან მამაკაცს ამ მუშაობაში, პირნათლად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და ხან კიდევ გაცილებით უკეთ მუშაობენ, ვიდრე მამაკაცები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შედარებით მოკლე ხანში საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრი რამ გააკეთა ქალის მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მისი ზნეობრივი და გონებრივი დონის ასაწევად. ადგილის სიმცირის გამო, აქ შეუძლებელია ყველა იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციების ჩამოთვლა, რომელთაც თავიანთ პირდაპირ მიზნად აქვთ დასახული მუშა ქალის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და მისი ზნეობრივი და გონებრივი დონის აწევა. ჩვენ მრავალი ფაქტი მოგვეპოვება, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ყველა ამ დარგებში ჩვენ გვაქვს დიდი მიღწევები და რომ მუშაობა ამ მიმართულებით თანდათან ღრმავდება და ვითარდება და მიიწევს წინ სწრაფი ნაბიჯით.

ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ როგორც სწორუფლებიანობის პრინციპების ცხოვრებაში გატარების, ისე მუშა ქალთა და გლეხ-ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების მხრით საბჭოთა ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბევრი რამა აქვს გასაკეთებელი, რისთვისაც მას მოუხდება დიდი მუშაობის გაწევა. აკი უდაოა ის ფაქტი, რომ ქალი, სახელდობრ მშრომელი ქალი ყოველთვის, ყოველგვარი წესწყობილების დროს გაცილებით უფრო დაჩაგრულ-დამონებული იყო, ვინემ მშრომელი მამაკაცი, მუშა და გლეხი. ცხადია, ეს ძველი, დრომოჭმული წყობილების ნაშთია და არც შეიძლება მისი მოსპობა ნაჩქარევად, ორი-სამი წლის განმავლობაში. ამისთვის საჭიროა ხანგრძლივი დრო და სისტემატიური და დაუღალავი მუშაობა. მართალია, ჩვენ შევუდექით ამ მუშაობას, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ჩვენ მხოლოდ შევუდეგით. ამავე დროს ბევრია ჯერ კიდევ დაჩაგრულ-დამონებული ქალები, დიდია კიდევ სიბნელე, უმეცრობა და სილატაკე. ბევრია ისეთი ადგილი ჩვენს საბჭოთა კავშირში, სადაც არ შეცვლილა წინანდელი მდგომარეობა, სადაც გლეხი ქალი წინანდებურად დაჩაგრული და დამცირებულია, სადაც ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია გლეხის ქალამდე საბჭოთა ხელისუფლების ცხოველმყოფელ გავლენას, კიდევ რომ, დავანებოთ თავი ისეთ მივარდნილ და მიყრუებულ ადგილებს, როგორიცაა ხევსურეთი საქართველოში, სადაც ქალი რაღაც დაბალ, ადამიანის ღირსებას მოკლებულ არსებას წარმოადგენს, განა ჩვენში ცოტაა ისეთი ადგილები, ჩვენი კულტურულ ცენტრების მახლობლადაც კი, სადაც ჯერ კიდევ სავსებითაა დარჩენილი ძველებურ ცრუმორწმუნეობა, სადაც ჩვენ დღესაც ვხედავთ ხალხის სილატაკის, სიბნელისა და უვიცობის შემაძრწუნებელ სურათს. ეს კი, ჩვენ ვიცით მძიმე უღლად აწევს, უპირველესად ყოვლისა, ქალს.

წელიწად ნახევრის წინად ცენტრიდან რამოდენიმე მუშაკს მოგვიხდა რაჭის მაზრაში ყოფნა. სხვათა შორის ჩვენ ვესტუმრეთ ერთ სოფელს (გლოლას), რომელიც ამ მაზრის ჩრდილოეთით ძევს ყველაზე უფრო მაღლობ ადგილზე. ჩვენ შეგვეგებენ გლეხები; მათ შორის არ ყოფილა არც ერთი გლეხი ქალი. სამაგიეროდ, ქუჩებში გავლის დროს გლეხი ქალები სახლებიდან გვეძახოდენ: „მოგვხედეთ, გვიშველეთ, ვიღუპებით ამ სიბნელეში". არასოდეს არ დამავიწყდება ეს მომართვა და სიტყვები. რასაკვირველია, ეს სოფელი არ შეადგენს ერთად ერთ გამონაკლისს. როგორ დავეხმაროთ მათ? რა გზით ვიხსნათ იგინი სილატაკისა და უმეცრებისაგან, სიბნელისა და სიდუხჭირისაგან? როგორ გავიკვლიოთ გზა მათკენ და რარიგად მოვიპოვოთ ამ ასეულ ათას გლეხ - ქალთა ნდობა? საიდან დავიწყოთ? განათლებიდან თუ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებიდან? ერთიც და მეორეც ფრიად ძნელი განსახორციელებელია დღევანდელ პირობებში. მაგრამ ამ წრესთან დაახლოვება, მათთან მისვლა აუცილებელია ჩვენთვის. მუშაობა კი უნდა ვაწარმოოთ როგორც საგანმანათლებლო, ისე ეკონომიური მიმართულებით. ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მივუდგებით გლეხის ქალს. ეს საკითხი ახალი არაა, მაგრამ იგი მაინც იქნება აღმართული ჩვენს წინაშე სანამ არ გადავჭრით იმ საჭირბოროტო ამოცანებს, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიე.

თუ ჩვენი გლეხი დღეს ჩამორჩენილია და უკულტურო, გლეხის ქალი მით უმეტეს. თუ ჩვენს გლეხს არ შესწევს უნარი მიზანშეწონილად გამოიყენოს თავისი შრომა, მით უმეტეს მოკლებულია ამ უნარს გლეხის ქალი. რამდენი შრომა და ჯაფა იკარგება ტყუილ უბრალოდ. გლეხები და გლეხ-ქალები კი იხოცებიან სნეულებისა და სილატაკის გამო. ბევრი რამის გაკეთება შეიძლებოდა შინა წარმოების ორგანიზაციათა დაარსების მეოხებით არტელების ან სხვა ასეთ საფუძვლებზე.

ეხლა გადავდივარ იმ საკითხზე, რომელიც ჩემი წერილის მთავარ საგანს წარმოადგენს—ესაა **უმუშევრობა ქალთა შორის და ბრძოლა მის წინააღმდეგ.**

საზოგადოდ ფიქრობენ ხოლმე, რომ უმუშევრობა ჩვეულებრივი მოვლენაა ქალაქებში. საერთოდ ეს მართალია, მაგრამ არც თუ სავსებით. უმუშევრობა ქალაქში უფრო ადვილად გვაგრძნობინებს თავს, უფრო ადვილი შესამჩნევია და უფრო მწვავედ სდგას, ვიდრე სოფელში. მაგრამ უმუშევრობა სოფლადაც არსებობს. აკი, ბოლოს და ბოლოს, სოფელი უმთავრესი წყაროა, საიდანაც უმუშევრები ილტვიან ქალაქისაკენ. მაგრამ როდესაც უმუშევრობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვყავს თითქმის განსაკუთრებით ქალაქი.

არაფერს ვიტყვით აქ იმაზე, თუ რა დიდ უბედურებას წარმოადგენს ჩვენთვის უმუშევრობა. მაგრამ **ქალთა უმუშევრობა** უფრო დიდი უბედურებაა. სამწუხაროდ, ჩვენ არ მოგვეპოვება სწორი სტატისტიკური ცნობები უმუშევრობის მოძრაობის შესახებ უკანასკნელ ხანებში, უკანასკნელ თვეებში. კიდევ უფრო ცუდათაა დაყენებული საქმე უმუშევარ ქალთა რაოდენობის შესახებ ცნობების მხრით. დაახლოვებით 1 ნახ.—2 წლის წინად (1922—23 წლებში უმუშევარ ქალთა რაოდენობა ამიერ-კავკასიის სამს უმთავრეს ქალაქში (თბილისსა, ბაქოსა და ერევანში) შეადგენდა უმუშევართა საერთო რიცხვის 34 პროცენტს. აბსოლიუტურად ეს რაოდენობა უდრიდა **15.000 უმუშევარ ქალს** მთელს ამიერ-კავკასიაში. შემდეგ წლების შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება ასეთი დაახლოვებითი ცნობებიც კი უმუშევარ ქალთა რაოდენობაზე.

ჩვენ არ ვიცით, მაგალითად, როგორაა განაწილებული ეს რიცხვი ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებში. მაგრამ საქმე იმაშია, რომ უმუშევარ ქალთა ზემომოყვანილი რაოდენობა ძლიერ შორსაა სინამდვილისაგან, ვინაიდან ნამდვილად უმუშევრების, ან ისეთ პირთა რაოდენობა, რომელნიც საჭიროებენ და ეძებენ სამუშაოს თავისა და ოჯახის გამოსაკვებად, გაცილებით მეტია ამ რიცხვზე. ზოგიერთ დამატებითი ცნობებს ვპოულობთ ჩვენ ამას წინად გაზ. „Рабочая Правда"-ში (№ 47) გამოქვეყნებულ ანგარიშში. აქ ლაპარაკია მარტოდენ საქართველოს შესახებ. „რესპუბლიკის შრომის ბაზრის დამახასიათებელ თვისებას,—ვკითხულობთ ამ ანგარიშში, უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში წარმოადგენს შრომის (ალბად, მუშაობის) მაძიებელ ქალთა დიდი რაოდენობა. საერთოდ, მთავარ პროფესიებში, სადაც კი შემოღებულია ხოლმე ქალების შრომა, ძლიერ გავრცელებულია უმუშევრობა (გარდა პედაგოგთა ჯგუფისა). მაგრამ უმუშევრობა განსაკუთრებით გავრცელებულია კანტორის მოხელეთა და მკერავთა შორის (აქ წარმოებაში მომუშავე 100 კაცზე მოდის 109 უმუშევარი). უნდა ითქვას კი, რომ უმუშევარ ქალთა პროცენტი 1921 წელთან შედარებით შესამჩნევად შემცირდა, სახელდობრ 51 პროცენტიდან დავიდა 32 პროცენტ, რაიც უნდა მიეწეროს ქალთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას". ავტორის ეს უკანასკნელი მოსაზრება ფრიად დიდს ეჭვსა ჰბადებს. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ვიცით, რეგისტრაციაში გატარებულ უმუშევართა რაოდენობის შემცირება ხდება ჩვეულებრივად შრომის ბირჟებში აღრიცხვიდან ბათი მოხსნის გამო. მეორე მხრით, ჩვენ ვიცით, რომ დაწესებულებებში მუდმივ ხდება მოსამსახურეთა შტატების შემოკლება. მაშასადამე, უკეთუ ამ შემთხვევაშიაც კლებულობს უმუშევართა რაოდენობა, ეს გარემოება სრულებითაც არ ამტკიცებს უმუშევართა რაოდენობის შემცირებას და, მით უმეტეს, ქალის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს იქნებოდა თავის მოტყუება. ნაცვლად აშკარა უმუშევრობისა, ჩვენ აქ გვაქვს ფარული სახის უმუშევრობა, რაიც არსებითად არ სცვლის საქმის მდგომარეობას.

საბჭოთა ხელისუფლება მთელი თავისი ძალღონით ებრძვის უმუშევრობას საერთოდ და კერძოდ კი ქალთა უმუშევრობას. უპირველესად ყოვლისა, რეგისტრაციაში გატარებულ უმუშევარ მუშებსა და მუშა-ქალებს სახელმწიფო აძლევს **ფულით დახმარებას** დამზღვევი სალაროებიდან, მათ ეძლევათ აგრეთვე **შეღავათი კომუნალური სამსახურის გადასახადებში.** ამასთანავე ერთად, უმუშევართათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, საბჭოთა ხელისუფლებამ გაიღო საკმაოდ მნიშვნელოვანი სახსარი **საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად.** უკანასკნელ ხანებში მეტი ყურადღება ექცევა **უმუშევართაგან სხვადასხვა არტელებისა და შრომის კოლექტივების** (საწარმოო დაწესებულებათა) **მოწყობას.**

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მიერ გაღებული სახსრებით შეიძლება სამუშაოს მიცემა უმუშევართა მხოლოდ ფრიად უმნიშვნელო ნაწილისათვის. ბუნებრივად იბადება კითხვა: რა ვუყოთ უმუშევართა დანარჩენ ნაწილს? დავსტოვოთ ისინი ბედის ანაბარა? ამას ვერ ჩაიდენს მუშურ-გლეხური ხელისუფლება. მას არ შეუძლია გულგრილად უცქიროს, როგორ დაავადებამდე მიდის შიმშილობის გამო მუშისა თუ მუშა-ქალის ორგანიზმი, სახელმწიფოს კი აკლდება ათეულ და ასეულ ათას მუშის შრომა, რომელთაც სხვა პირობებში შეეძლოთ შეექმნათ აურაცხელი სიმდიდრე და დოვლათი.

როგორ მოვიქცეთ? მე ვუპასუხებ: **უნდა ჩავებათ ამ საქმეში ყველანი.** თუ სახელმწიფო ხაზინა ღარიბია, სამაგიეროდ ჩვენ გვაქვს სხვა საშუალებანი. ჩვენ გვაქვს ორგანიზაციები და დაწესებულებანი, გვაქვს პროფკავშირები და პარტია, საბჭოები და აღმასკომები. ყველა მათ უნდა მოჰკიდონ ხელი მუშაობას და გამოიჩინონ ფართო თაოსნობა, სახსრების გამოსაძებნად, ახალი წყაროების გამოსანახავად. თუ სურვილი იქნება, ძნელი არაა მათი გამონახვა.

კარგად უნდა გავითვალისწინოთ ვისთან, როგორ ძლიერ მტერთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაში—ესაა ერთი მხრით—**სილატაკე,** მეორე მხრით კი—**უკულტურობა.** უნდა ვსძლიოთ ამ მტერს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ შევსძლებთ წინსვლას, უამისოთ ფუჭი იქნება სოციალიზმზე ლაპარაკი. ამჟამად კი კარზე გვადგია უმუშევრობა ყველა მისი საშინელი შედეგებით, ბავშვთა უპატრონობით, პროსტიტუციით, თვითმკვლელობით და სხვა ამგვარი დამღუპველი მოვლენებით. შეუძლებელია ყველა ამაზე თვალის დახუჭვა. ცარიელ ლამაზი სიტყვებით საქმეს ვერ ვუშველით. **საქმეა საჭირო.** საჭიროა სურვილი და მისწრაფება დავეხმაროთ მათ, ვინც იტანჯება უმუშევრობით.

სახსრები, რომელსაც იძლევიან დამზღვევი სალაროები დახმარების სახით ან კიდევ საზოგადო სამუშაოებისთვის გადადებული თანხები უნდა გამოვიყენოთ იმგვარად, რომ ამ საქმეში რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს უმუშევრებს, პირველ რიგში უფრო გაჭირვებაში მყოფ უმუშევარ ქალებს. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს სახსრები საკმაო არაა, პირიქით, იგი მეტისმეტად მცირეა. ამიტომაც საჭიროა ადგილობრივ გამოვნახოთ სხვა სახსრები; სხვა წყაროები, უნდა გამოვძებნოთ და შევქმნათ ახალი შესაძლებლობანი. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას იმ დაწესებულებათა დაორგანიზაციების მიმართ, რომელნიც უფრო ახლოს არიან ამ საქმესთან, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოხერხებულად მივუდგებით ამ საკითხს, როგორ მოვაგვარებთ საქმეს, როგორი პატარაც არ უნდა იყოს იგი. ცხადია, ჩვენ სწორედ პატარა საქმეებიდან მოგვიხდება დაწყება.

საკითხი სწორედ ისე სდგას, რომ მოეწყოს **უმუშევართათვის შრომით დახმარება,** მოეწყოს სათანადო დაწესებულებები მთელს რესპუბლიკაში, როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. პრაქტიკა და გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ორივე სქესის უმუშევართათვის დახმარების ფორმათაგან ყველაზე უფრო ხელსაყრელი, სახელდახელო და მიზანშეწონილი ფორმაა **შრომის კოლექტივების** ორგანიზაცია. ეს ფორმა უფრო იოლი განსახორციელებელია როგორც სოფლისათვის, ისე ქალაქისთვის. უმთავრესი ისაა, რომ დასაწყისში ამ საქმის მოგვარება არ მოითხოვს დიდ სახსრებს. აქ მცირე თანხაც საკმარისია საქმის დასაწყებად, შემდეგ კი შეიძლება მისი თანდათანობითი განვითარება.

თავი და თავი ისაა, რომ კარგად შევიგნოთ უმუშევართათვის დახმარების აუცილებლობა. ეს ერთი უნდა გავიმსჭვალოთ ამ შეგნებით და მხურვალედ მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს. ამ შემთხვევაში საქმე შესამჩნევად წაიწევს წინ.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველად და პირველმა შექმნა ისტორიაში ხელსაყრელი პირობები მშრომელი ქალის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მუშათა კლასმა სავსებით დაიპყრო პოლიტიკური ხელისუფლება საბჭოთა სახელმწიფოში. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს ხელისუფლება მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და პირველ რიგში კი მშრომელი ხალხის უფრო დაჩაგრული ნაწილის—მშრომელი ქალის საკეთილდღეოდ.

დღევანდელ საზეიმო დღეს უფრო გვმართებს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ საჭიროა სიტყვა საქმეთ ვაქციოთ, ვინაიდან საქმე არ აყოვნებს და ცხოვრება არ იცდის.

ფ. მახარაძე.

ს. ს. ს. რ. საქ. კომისართა საბჭოს საინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

შიშს დიდი თვალები აქვს

ტოკიო. 6 მარტი. კანონპროექტს წესრიგისა და მშვიდობიანობის დაცვის შესახებ სასტიკ წინააღმდეგობას უწევს მთავრობის სამივე პარტია, მათ რიცხვში სეიუკაის პარტიაც.

კანონპროექტის მოწინააღმდეგენი მოითხოვენ მთავრობისგან დაამტკიცოს, რომ **იაპონიაში ნამდვილად წარმოებს „ფარული რუსული პროპაგანდა“.**

შემდეგ კანონპროექტის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ მთავრობის განცხადებას ამ პროპაგანდის შესახებ **მიზნათ ჰქონდა მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის დაშინება და ზეგავლენის მოხდენა პარლამენტზე კანონპროექტის მიღების სასარგებლოდ.**

იუსტიციის მინისტრმა სთქვა, რომ განცხადება პროპაგანდის შესახებ ეყრდნობა მანჯურიიდან მიღებულ ცნობებს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვაკაცუკი **იძულებული გახდა უკან წაეღო განცხადება „რუსული პროპაგანდის“** შესახებ, მაგრამ აღნიშნა, რომ კანონპროექტი, ალბათ, შეტანილი იქნება ქვედა პალატაში 7 მარტს.

პოლიცია ფეხზეა დაყენებული, ვინაიდან 7 მარტს უნდა გაიმართოს მუშათა მასიური დემონსტრაციები კანონპროექტის წინააღმდეგ.

საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი. 7 მარტი. ნაციონალისტური გაზეთები დიდ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ იმის გამო, რომ ინიციატივა საგარანტიო ხელშეკრულების დადების საკითხში გამომდინარეობდა ლიუტერის მთავრობისაგან, რომელშიც ნაციონალისტებიც შედიან.

ლიუტერის მთავრობა ნებაყოფლობით დასთანხმდა გერმანიის ტერიტორიების ჩამოშორებაზე. ყოველ შემთხვევაში დასავლეთის საზღვრებზე.

სოციალ-დემოკრატიული პრესა ქალმება ლიუტერის ამ ნაბიჯს.

კომუნისტური პრესა სასტიკ პროტესტს აცხადებს გერმანიის დამონების ახალი ცდის გამო.

გერმანიის რეიხსტაგის კომფრაქციის ყოველდღიური ორგანო, რომელიც გუშინ გამოვიდა,—„დერ რეიხსტაგ“—სწერს:

ამომრჩევლები, რომლებმაც ხმა მისცეს ნაციონალისტებსა და ტევტონელებს, დაინახავენ, რომ ანტანტის წინააღმდეგ იბრძვის მხოლოდ მუშათა კლასი, რომელსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს. მუშები არასოდეს არ შესწყვეტენ [illegible]ლას **ვერსალის ხელშეკრულებისა და დოუესის გეგმის წინააღმდეგ და წავლენ იმ გზით, რომელიც მათ უჩვენა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა.**

კომუნისტების გამარჯვება

ბერლინი, 6 მარტი. გალეში საავადმყოფო კასაში არჩევნების დროს **კომუნისტებმა მიიღეს 40 ადგილი,** სოციალ-დემოკრატებმა—9, ქრისტიანმა სოციალისტებმა—8, დემოკრატებმა—2 ტევტონთა პარტიამ—1.

რკინისგზელთა გაფიცვა გერმანიაში

სოციალ-დემოკრატები საბოტაჟის პოლიტიკას აწარმოებენ

ბერლინი. 6 მარტი. რკინისგზელ მუშების გაფიცვა გავრცელდა კიდევ ცხრა ნაკლებ მნიშვნელოვან პუნქტებზე.

სოციალ-დემოკრატების და ქრისტიან-სოციალისტების პროფკავშირთა ბელადები აცხადებენ, რომ ისინი ცდილობდენ ხელი შეეშალათ გაფიცვის გაფართოებისათვის. მაგრამ ამ პროფკავშირების პასუხისმგებელი მუშაკები შედიან საგაფიცვო კომიტეტში, რომ ებრძოლონ კომუნისტების გავლენას.

ბერლინი, 7 მარტი. საქსონიის რკინისგზელთა გაფიცვა გავრცელდა სილეზიაზეც.

ბრესლაველში გერმანიის რკინისგზელთა კავშირის დელეგატებმა გადასწყვიტეს შაბათს გაფიცვა გამოაცხადონ და წამოაყენეს შემდეგი წინადადები: 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, შრომის ხელფასის გადიდება, გაუქმება განკარგულებისა რკინისგზელთა შტატის შემცირების შესახებ.

ბელგიის პარლამენტის დათხოვნა

პარიზი. 6 მარტი. ბელგიის პარლამენტი დათხოვნილია. ახალი არჩევნები მოხდება 5 აპრილს.

სოც.-დემოკრატი მეფის დამცველი

კოპენჰაგენი 5 მარტი. დანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა სოციალ-დემოკრატმა ბორგბერგმა მრავალრიცხოვან მიტინგზე თავგამოდებით დაიცვა მეფე იმ ბრალდებისაგან, რომელიც წამოაყენა კომუნისტების ლიდერმა ტეგერსონმა მეფის წინააღმდეგ, ბორგბერგი ამტკიცებდა, რომ **„მეფე კრიტიკის გარეშე სდგას, სანამ მეფობს, სახელმწიფოს ძირითადი კანონის თანახმად“ ის განსაკუთრებით ხოტბას ასხამდა მეფეს იმისათვის, რომ ხელისუფლების სათავეში მოიწვია სოციალ-დემოკრატიული მთავრობა.**

ყვითლებს არ მოსწონთ საბჭოთა წყობილება

პოლონეთის ყვითელ პროფკავშირების წერილი

მოსკოვი. 7 მარტი. 6 მარტს შესდგა სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოსმენილ იქმნა პოლონეთის პროფკავშირების საბჭოს პასუხი წინადადებაზე საბჭოთა კავშირში დელეგაციის გამოგზავნის შესახებ.

პოლონეთის პროფკავშირების წერილში ნათქვამია: „სამწუხაროდ, დღევანდელ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლია ვისარგებლოთ თქვენი წინადადებით, ვინაიდან თქვენს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პირობების გამო, ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენს დელეგაციას ექნება მოქმედების სრული თავისუფლება და ის შესძლებს თქვენი ქვეყნის საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობის შესწავლას ისე, როგორც ამას ჩასთვლიდა საჭიროდ.

მიუხედავად ამისა ჩვენ გვსურს დაგარწმუნოთ თქვენ, რომ თქვენთან ძმური, მეგობრული ურთიერთობის დამყარება ჩვენს გულწრფელ სურვილს წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამისაკენ ერთად ერთი მიზანშეწონილი გზა იქნება—თქვენი შესვლა პროფკავშირთა ამსტერდამის ინტერნაციონალში“.

სრ. რუსეთის პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პასუხი

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პასუხში ნათქვამია „ჩვენ არ ვთვლით შესაძლებლად დაუმალოთ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მუშებს, რომ თქვენმა გარეგნულად ზრდილობიანმა წერილმა, ჩვენზე, თავისი შინაარსით, მტრული და გულცივი დამოკიდებულების შთაბეჭდილება დასტოვა. თქვენს წერილს თქვენ ასაბუთებთ იმით, რომ **არ მოგწონთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური პირობები“. თავის მხრივ, ჩვენც უნდა ვსთქვათ, რომ სრულიად სახარბიელოთ არ მიგვაჩნია თქვენს ქვეყანაში არსებული რეჟიმი.** მიუხედავათ ამისა, ჩვენი ქვეყნისა და თქვენი ქვეყნის მუშებს შორის ძმური კავშირის დასამყარებლად, ჩვენ სიამოვნებით ვინახულებდით თქვენს ქვეყანას მიუხედავათ იმ „პოლიტიკური პირობებისა“, რომლებიც იქ არსებობენ.

გარეშე იმისა თუ როგორი სახელმწიფო წყობილება და როგორი პოლიტიკური პირობები არსებობენ ამა თუ იმ მომენტში ამა თუ იმ სახელმწიფოში, ჩვენი დამოკიდებულება ყველა ქვეყნების მუშებისადმი მუდამ ერთგვარია—ძმურია. ჩვენ ყოველგვარ პირობებში ჩვენს მოვალეობათ ვსთვლით **ყველა ზომები მივიღოთ პროლეტარული კავშირის და სოლიდარობის დასამყარებლად, განსავითარებლად და განსამტკიცებლად. ჩვენ ძალაზე ვტოვებთ ჩვენს წინადადებას. პოლონელი მუშები მუდამ სანატრელი სტუმრები იქნებიან საბჭოთა კავშირის მუშებისა და მათი პროფკავშირებისა“.**

სახალინის ნავთის საკითხი

ტოკიო. 6 მარტი. სამხედრო, საფინანსო, საზღვაო, საგარეო და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროები, როგორც სჩანს შეთანხმდენ ნავთის სინდიკატის „კოკასინკაი“-ს რეორგანიზაციის საკითხში. ეს სინდიკატი ნავთის დამუშავებას აწარმოებს საბჭოთა სახალინზე. სინდიკატი გადაკეთებული იქნება სააქციო საზოგადოებად. აქციები უნდა გადაეცეს სინდიკატის აქციონერებს და აგრეთვე ფართო საზოგადოებას ხელისმოწერის საშვალებით საბჭოთა მთავრობასთან მოლაპარაკების დაწყებამდი.

მთავრობას, როგორც ხმები დადის, სურს დაიტოვოს აქციების უმრავლესობა. საზღვაო სამინისტროს კი სურს შეიძინოს მთელი ნავთი, რომელიც სახალინზე იქნება ამოღებული.

პოლონეთის შიში

ვარშავა, 6 მარტი. ცნობამ, რომ გერმანიის ელჩმა პარიზში ფონ-გეშმა წინადადება მისცა საფრანგეთის პრემიერს ერრიოს გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრების საკითხის ერთა ლიგისათვის გადაცემის შესახებ, დიდი მღელვარება გამოიწვია პოლონეთში. ეს ცნობა სალაპარაკო საგნათ გახდა ყველა წრეებში.

„გაზეტა ვარშავსკა“ აცხადებს, რომ გერმანიის ეს წინადადება ნიშნავს პოლონეთის ხელმეორეთ გაყოფას. გაზეთი იმუქრება, რომ პოლონეთი უკანასკნელ სისხლის წვეთამდი დაიცავს თავის მიწა-წყალს.

„კურიერ პორანნი“ ეხება რა ჩემბერლენის სიტყვას, რომელიც რჩევას აძლევდა პოლონეთს თუ როგორ დაიცვა მშვიდობიანობა აღმოსავლეთში, აცხადებს, რომ ასეთი რჩევა არსებულ პირობებში მხოლოდ დაცინვას წარმოადგენსო.

ერრიოს და ჩემბერლენის შეხვედრა

პარიზი. 7 მარტი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ინგლისის საელჩოს ბინაზე ხანგრძლივი თათბირი ჰქონდათ ერრიოსა და ჩემბერლენს. თათბირის შესახებ პრესას ჯერ არავითარი ცნობები არ მიუღია.

ს. კ. პ. საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

მარტის 12-ს შესრულდება **რუსეთში თვითმპყრობელობის დამხობის 8 წელი და სამი წელი ა.|კ. ს. ს. ფედერაციის დაარსების დღიდან.** საჭიროა ამ მნიშვნელოვანი დღეების აღნიშვნა, ამიტომ გაძლევთ წინადადებას მარტის 12-ტი ჩაატაროთ შემდეგი წესით: მოაწყოთ პარტიული და კომკავშირის უჯრედების, საბჭოების, პროფ-ორგანიზაციების და რემდასის საჯარო გაერთიანებული კრებები. კრებებზე უნდა იქნეს გაკეთებული მოხსენებები თებერვლის რევოლიუციისა და ა.|კ. საბჭოთა ფედერაციის შესახებ. განსაკუთრებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ამ. კავკ. საბჭოთა რესპუბლიკების ფედერატიულად გაერთიანების მნიშვნელობა, როგორც ამ ფედერაციის მუშებისა და გლეხებს შორის ძმური ურთიერთობის და ეკონომიურ კეთილ-დღეობის შექმნის საქმეში, ისე მთელი აღმოსავლეთის მშრომელ ხალხების განმანთავისუფლებელ მოძრაობის საქმეში.

სასურველია მოწყობა საღამო-წარმოდგენების, შესავალ მოხსენებით თებერვლის რევოლიუციისა და ა.|კ. საბჭოთა ფედერაციაზე.

მასალათ გამოიყენეთ ამხ. მ. ორახელაშვილის მოხსენება საკავშირო ცაკის სესიაზე თბილისში „ა.|კ. მთავრობის მოქმედების შესახებ“ და თებერვლის რევოლიუციის გარშემო არსებული ლიტერატურა.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი
მ. ოკუჯავა.

ცეკას სააგიტ-საპროპაგანდო განყ. გამგე ვ. ბახტაძე.

პროფკავშირებში

დუშეთის სამპროფბიუროს კონფერენცია

1-ლ მარტს ქ. დუშეთში გაიხსნა დუშეთის საპროფბიუროს კონფერენცია.

კონფერენციის სხდომა გახსნა ამხ. მ. გალაშვილმა. კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: გალაშვილი მათე, აზრუელაშვილი ლეგანთ, ლალიაშვილი ლადო, მიქელოვი, შუშიაშვილისა, ქუზიაშვილი, ფერხული.

საპატიო თავმჯდომარეებათ: მახარაძე, ცხაკაია, ორჯონიკიძე, ორახელაშვილისა, ყურულაშვილი, ტომსკი, სიმონ ჯუღელი, ელიავა, მათიკაშვილი, გეგეჭკორი, დარახველიძე ვასიკო და ბრეგაძე იოსები. კონფერენციის და მუშათა კლუბის გახსნას მიესალმნენ ყველა დაწესებულებების წარმომადგენლები. სამპროფბიუროს მუშაობა ცნობილ იქმნა სავსებით დამაკმაყოფილებლად.

კონფერენცია მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საქართველოს კომ-პარტიის ცეკას, საქართველოს პროფ საბჭოს და ცაკის მესამე სესიას.

გამგონი.

ქრონიკა

— **მოქალაქეთა ჯანმრთელობის** მიზნით მუშათა მედიცინის სამმართველომ გადასწყვიტა მოახდინოს საკანდიტეროებსა და პურის საცხობებში მომუშავეთა ჯანმრთელობის გამოკვლევა და გადამდებ სნეულებით დაავადებული მუშა-მოსამსახურე მოხსნას სამუშაოდან.

— **საავადმყოფოების რიცხვი.** ამჟამად მთელ საქართველოში ირიცხება 82 საავადმყოფო, აქედან ქალაქში 48, სოფლად—34.

— **აბანოების შემოსავალი.** თებერვალში ქ. აბანოებიდან შემოვიდა 31,658 მ. 33 კ. დაიხარჯა—10,692 მან. 98 კ.

— **საზოგადო სამუშაო.** შრომის ბაზრის განყოფილებამ მოაწყო საზოგადო სამუშაო,—1917 წლიდან 25 წლამდი საქართველოში დაბეჭდილ და გამოცემულ ქართულ წიგნების მთლიან ბიბლიოგრაფიის შესადგენათ.

— **გამოვიდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს** მორიგი ნომერი (5).

— **შრომის კოლექტივები.** შრ. სახ. კომისარიატმა შეადგინა ცალკე კომისია დამხლეველ სალაროსა და შრომის კოლექტივებს შორის დამოკიდებულების გამოსარკვევათ.

— **სასოფლო-მეურნეობის** მავნეებთან ბრძოლის ბიურომ დაადგინა გაგზავნოს ინსტრუქტორი დასავლეთში სიმინდის მავნებთან „პეპელას“ წინააღმდეგ ზომების მისაღებათ.

— **ა|კ. მებამბეობის** კომიტეტმა საქართველოში ბამბის მავნეებთან ბრძოლის მოსაწყობათ გადასდო 5000 მან.

— **სოც. დაზღვევის** სამმართველომ მიმდინარე წელში საორგანიზაციო ხარჯებისათვის გადასდო 221,478 მანეთი.

— **თამბაქოს მოსავალი.** გასულ წელს საქართველოში თამბაქო გაშენებული იყო ათას დესეტინა სივრცეზე.

— **ბოტანიკური ბაღის** შესანახათ მიწად-მოქ. სახ. კომისარიატმა მიმდინარე წლისათვის გადასდო 15.000 მანეთი.

— **ციმბირის წყლულის** წინააღმდეგ შრატის დასამზადებლათ თბ. აღმასკომმა გადასდო 3.749 მან.

— **სამილიციო კურსები.** თბ. აღმასკომმა დაადგინა მ.-გ. მილიციასთან გახსნას სამილიციო მოკლე ვადიანი კურსები.

— **სტუდენტთა რიცხვი პოლიტეხნიკუმში.** ამჟამად ლენინის სახელობის პოლიტეხნიკუმში ირიცხება 1656 სტუდენტი, აქედან საინჟინერო ფაკულტეტზე 838 სტუდ., აგრონომიულზე—813 სტუდ.

— **საფაბრიკო-საქარხნო სკოლები.** განათლების კომისარიატის განკარგულებაში იმყოფება 8 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, მათ შორის ყველაზე უფრო საყურადღებოა კამოს სახელობის სკოლა, სადაც ირიცხება 358 მოწაფე.

— **დახმარება პროვინციას.** მუშათა მედიცინის სამმართველომ გადასწყვიტა გაუწიოს დახმარება ღარიბ მაზრებს საექიმო იარაღებით, წამლეულობით და თეთრეულობით.

— **ხილისა და ღვინის ექსპორტი.** წარმოკავშირმა გაგზავნა მოსკოვში გასასაღებლად 25 რონოდა ვაშლი, 1 რონოდა ნარინჯი და 9 რონოდა კახური გამაგრებული 20 გრადუსიანი ღვინო.

— **ჩაუბარებელი დეპეშები.** ერევნიდან—მამულიას, საკოჩავიდან—ტუმანოვს, პატიკორსკიდან - მარაკინს, ბაქოდან—ჩერქეზოვს, ბაქოდან—კარაევს, ხარკოვიდან—დინიაკს, იალტიდან—სიმონიანს, ქუთაისიდან—ზარნაძეს, სიმფეროპოლიდან—წივწივაძეს, აგდამიდან—აგაჯანოვს, აგდაშიდან—მამედოვს, ბათუმიდან—პონამარევს.

ხელოვნება

„დროშა“

გამოვიდა ჟურნალ „დროშის“ № 26 ნომერი შემდეგ შინაარსით: 1) ოთხი წელი, 2) სერგეი კლდიაშვილი—დიდი შაბათი, 3) აკაკი წერეთელის დაუბეჭდავი ლექსები და წერილები, 4) გრიგოლ როაქიძე ბაში აჩუკი (როგორც კინო-რომანი), 5) კოლაუ ნადირაძე შერიგება (ლექსი), 6) პოლ ვერლენი—ლექსები: განთიადის ვარსკვლავს, ქალწულების სიმღერა, წიგნიდან „უსიტყვო რომანსები“, სანტიმენტალური დიალოგი, ვილიე დე-ლილ ადინის გარდაცვალებაზე (თარგ. ვალერიან გაფრინდაშვილის). 7) ანასტასია წერეთლისა—გიორგი წერეთელი (მოგონება), 8) ივ. ელიაშვილი—გიორგი წერეთელი, 9) ბაჩუა კუპრაშვილი—ვიბორგის მანიფესტი, 10) გრიგოლ რობაქიძე—გაბიძა, 11) ნოკიოვ-პრიბოი—წყალ ქვეშა ნავი, 12) მეცნიერება და ფანტაზია, 13) ივანე მესხი—რჩეულთა ანორმალობა, 14) ბიბლიოგრაფია—გალლი.

— „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“. ამ დღეებში გამოვა ჟურნალის მე-10 ნომერი. პროგრამა: 1) ხელოვნება და საზოგადოებრივობა, 2) ლიტერატურა, 3) მხატვრობა, ქანდაკება, 4) მუსიკა, 5) კინო და სხვა.

— ა. დანელიანის საკამერო საღამოები. დღეს მუსიკალურ სტუდიაში „ემორში“ გაიმართება მომღერალ ქალის ა. დანელიანის საკამერო საღამო. განათლების მუშაკთა კავშირის წევრებისათვის შესვლა 50 კ.

— „სინათლე“. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „სინათლე“.

— ნინო ვალაცცის გასტროლები. 16 მარტს სახ. კონსერვატორიაში დაიწყება ცნობილ იტალიელ ქალის ნინო ვალაცცის (შთამომავლობით ქართველია) გასტროლები.

— სახ. კონსერვატორიაში ორშაბათს, 9 იანვარს, გაიმართება კონცერტი ვაგის, სპ. ნაულის, ცოვიანოვის, ვირსალაძის და ახალგაზრდა მომღერლების ანდღულაძის და ცროლილაძის მონაწილეობით.

— სამუსიკო დილა ცაკის წევრებისათვის გაიმართება დღეს სახელმწიფო სახალხო მუსიკალურ სასწავლებელში. დასაწყისი დღის 12 საათზე.

დღეს კინოებში

— აპოლო, არფასტო და სოლეი—„ტარიელ მკლავაძის მკვლელობა“.

— მინიონ—„მამაცი მუშკეტერი“ მაქს ლინდერის მონაწილეობით.

— პალას—„ანგარიშის გასწორება“.

— თაზის—„ანნა ბოლეინ“.

— აისი—„სიყვარულის ბუდე“.

მუშათა ცხოვრება

ეს საკითხი აუცილებლად უნდა მოაწესრიგოთ

(სამხედრო კომისარიატის საყურადღებოდ)

რომ უფრო უმტკივნეულოდ ჩაევლო ამ წინასწარ სამხედრო შესწავლას ჯარში გაწვევამდის, ახალგაზრდობა წარმოება-დაწესებულებაში მუშაობას არ მოსცდენოდა და ამასთანავე მოსწავლე ახალგაზრდობა, რომლებიც იმყოფებიან უმაღლეს და დაწყებით სასწავლებელში, იქნა შემდეგ ნაირად განაწილებული: მოსამსახურენი სამსახურის გათავების შემდეგ (ე. ი. ნაშუადღევის 3 საათის შემდეგ) უმაღლეს სასწავლებლის მსმენელნი კი სურვილისამებრ: თუ ვინ როგორ მოახერხებდა,—დილას თუ საღამოს, გასულიყვნენ სამხედრო მეცადინეობაზედ.

მაგრამ აქ სრულიად უყურადღებოდ იქნა დატოვებული ერთი მდგომარეობა. ის მუშა-ახალგაზრდობა, რომლებიც იმყოფებიან წარმოება-დაწესებულებაში და საღამოს ე. ი. 5 საათიდან მიდიან ლექციებზედ დარჩენ უმწეო მდგომარეობაში. მათ არც ერთი საათი არ რჩებათ თავისუფალი სამხედრო მეცადინეობისათვის ე. ი. დილას 9 საათ. დღის 3 საათამდინ წარმოება-დაწესებულებაში იმყოფებიან საღამოს 5 საათიდან 10 საათ. სასწავლებლებში და განსაკუთრებით კი მუშათა ფაკულტეტის მსმენელნი.

აქ რჩება ერთი გამოსავალი გზა: მუშა-ახალგაზრდობამ თავი უნდა ანებოს სამსახურს, რაც სრულიად შეუძლებელია და დაუშვებელი ან და სწავლისგან მოიხსნას. არც ესაა მისაღები ვინაიდან მათ დარჩათ უკანასკნელი სემესტრის რამდენიმე თვე. უდროვოთ მოწყვეტას შედეგად მოჰყვება მთელი წლის ნაშრომის ფუჭად ჩავლა.

ასეთ მდგომარეობაშია ნაწილი ახლად გაწვეულებისა რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა გაეწიოს. ან მოლიანად იქნენ ეს ახალგაზრდები ჯარში გაწვეულნი ანდა იქნენ სწავლის საერთო მოხსნამდინ განთავისუფლებულნი.

მუშფაკელი **ი. ბახტაძე.**

მოახვედრეთ რკინის ცოცხი

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

ბევრი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც პლეხანოვის ქუჩაზე სახლი N 199-ში ჩასახლდა არსენალის მუშა ქალი ამხ. კ. ა. ლანდაძე, რომელიც მეტითონეთა კავშირის წევრია წიგნაკის № 2616. ამ ეზოში იყო ერთი ცარიელი ოთახი, რომელიც საცხოვრებლად უვარგისი და გამოუსადეგარი იყო. ეს ოთახი 3 წელიწადი უპატრონოდ იყო, არავის ყურიც არ უგდია მისთვის. ამხ. კალანდაძემ ეს ოთახი შეაკეთა თვითონ, რისთვის თავისი ლუკმა-პურის ფული გადასდვა. ეხლა როდესაც ამხ. კალანდაძემ შეაკეთა ეს ოთახი და შიგ ჩასახლდა მილიციიდან მოდის ყოველდღე ვაჟბატონი მიქელაძე (მე-12-ე მილიციის უბნის თანამშრომელი) და ერთ აურ-ზაურს აყენებს ამ მუშა-ქალს, ათასი უკიდურესი სიტყვებით აგინებს მას.

თურმე ეს ვაჟბატონი ეუბნება მას, რომ ჩქარა ოთახიდან ავეჯი გამოიტანოს. ქალი უარზე იდგა, ვინაიდან ქუჩაში ვერ დაიძინებდა.

ეს ვაჟბატონი ეუბნება: ჩემი ნებაა, ავეჯს კი არა, თქვენდა შენც დაგატუსაღებო, ყველაფერი ჩემ ხელშიაო.

ამ ბოლო ხანებში მიქელაძემ კიდეც გამოუყარა ბარგი კარში.

საჭიროა, რომ ამხ. ხმალაძემ მიიღოს ზომები, რომ ამნაირ თავაღებულ ვაჟბატონს მოსთხოვოს პასუხი და მოახვედროს რკინის ცოცხი.

კომკავშირელი—**ი. ჯ.**

ძველი [illegible]ბი უნდა აილაგმონ

(ქ. სურამის მილიციის საყურადღებოდ).

ქ. სურამში სცხოვრობს ყოფილი მამასახლისის მეუღლე **დარია ქიმერიძე,** რომელიც ძველ ჩვეულებებს ისე შესჩვევია, რომ ეხლაც ვერ იშლის. მას ყავს სოფლიდან ჩამოყვანილი თავისივე ნათესავი 12 წლის გოგონა, რომელსაც საშინლად აწამებს. ხალხის შესახედავად ვითომ სასწავლებელშიც ატარებს მაგრამ რა პირობებში! საბრალოს არ აქვს უფლება წავიდეს სამეცადინოდ სანამ ყოველ დღიურ მოთხოვნილებებს ოჯახისას არ ამოწურავს და შემდეგ დაღლილ-დაქანცული მირბის საცოდავი სკოლისკენ. მთელი ოჯახის მოვალეობა აწევს საბრალო ბავშს კისერზე, თუ საბრალო დაიღალა და ველარაფერი გააკეთა, დაუშვებს ქალბატონი ცემა-ტყეპას. მეზობლებს მობეზრებული აქვთ თავი ბავშის გულშემზარავი ტირილით.

საჭიროა ხაშურმა მაინც მიაქციოს ყურადღება ამას და ალაგმოს ეს ქალბატონი.

ინფ. მორეია

მადლობის ღირსია ასეთი მუშაკი

მე-4 უბნის კბილის საექიმო ამბულატორიაში (ელისაბედის ქუჩა № 119-ში) სადაც ჩვენ, მუშები, ვექიმობთ არ შეგვიძლია არ დავაფასოთ კბილის ექიმის სევარიანე ჩარკვიანის ჩვენდამი მოპყრობა რაც დიდ სიყვარულს იწვევს მუშებში აქ წესრიგის დარღვევას არ აქვს ადგილი, სწორედ მისი ამდაგვარი მოქცევის გამო.

ამისათვის ჩვენ უძღვნით უღრმეს მადლობას ამხ. ჩარკვიანს და ვისურვებთ იმასაც, რომ დანარჩენ საბჭოთა საექიმო დარგებშიც ასეთი მადლობის ღირსნი ყოფილიყვნენ ყველა ექიმები.

მუშა-პლატონ გოცირიძე

გამოუგზავნილი წერილებიდან

მიეცით რაც ერგებათ

(შრომის ინსპექციის საყურადღებოდ).

მაღაზიაში № 127 (არსენალის ხატკეცილზე), რომელიც ეკუთვნის ამხ. სამომხმარებლო კოოპერატივს „ბოეცკაა“-ს მუშაობს ორი ნოქარი: ეფრ. **ნოზოვი და უმცროსი კაზანაევი,** რომელნიც უკვე 7—9 თვეა, რაც დილის 8 დან საღამოს 6 საათამდე მუშაობენ და ზედმეტ სამუშაო ქირას კი არ აძლევენ.

საჭიროა ამ ამხანაგების კანონიერად დაკმაყოფილება.

მუშკორი **ლეხი.**

დროა შეიგნონ

(რკ. გზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ტ. ჩ.|8 ანგარიშში მოქ. **გ. სიორდია** სამასალო ანგარიშებს რუსულ ენაზედ აწარმოებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე იყო მოწერილობა რკ. გზ. სამმართველოდან—საქ. ს. ს. რესპუბლიკის საზღვრებში ყველაფერი ქართულად გაეწარმოებინა.

გააგებინეთ მოქ. **გ. სიორდიას,** რომ აღნიშნული დადგენილება მისთვის სავალდებულოა.

რკინისგზელი **ლ. მანჯავიძე.**

მადლობა ასეთ ექიმებს!

მე-4 უბნის კბილის საექიმო ამბულატორიაში **(ელისაბედის ქუჩა № 119)** მუშაობს კბილის ექიმი **სევ. ჩარკვიანი,** რომელიც დიდი მადლობის ღირსია მუშებისაგან, მათდამი კეთილ და პატიოსან მოპყრობისათვის.

მუშა **პლ. გოცირიძე.**

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

ოზურგეთის მაზრა

ჩოჩხათის თემი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

28 თებერვალს მოხდა ჩოჩხათის თემში საბჭოს არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თითქმის მთელმა საზოგადოებამ. კრებას დაესწრენ სამაზრკომის და რაიკომის რწმუნებულები.

არჩევნები მოხდა მასიურად, რამაც გამოიწვია ისეთი ელემენტების შეპარვა საბჭოში სხვა პატიოსან მშრომელებთან ერთად, რომლებიც მშრომელების ხელის შემშლელია.

რაზედაც პარტ-ამხანაგები და პატიოსანი შეგნებული მშრომელები საზოგადოებისა უკმაყოფილონი არიან ყველა ამით. ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოები, სოფლად თუ ქალაქათ სადაც არ უნდა იყოს გამომხატველია მუშების და გლეხების ინტერესების.

ჩოჩხათის თემის საბჭოში გასულია სხვებთან ერთად; 1 ვ. მგელაძე, 2 პ. ჰანტურია, 3 გ. გურგენაძე. ვინ არიან ეს ვაჟბატონები? 1. ვ. მგელაძე—ძველი აზნაური, გვარდიის ოფიცერი, უკანასკნელ ავანტიურის მომწყობი სუფსის რაიონის მაშტაბით, რომელსაც ვიცით ეხლაც არ დაუტოვებია თავისი ხელობა და [illegible] დროს.

2. პ. ჰანტურია, სოფლის ძველი მეურალი, რომელიც გლეხებს ტყავს აძრობდა ლ. ხუციშვილთან ერთად. გვარდიის ტრიბუნალის წევრი ფრონტზე, რომელსაც ბევრი მშრომელი გამოუსალმებია წუთი სოფლისათვის. და ამასთან უკანასკნელი აგვისტოს ავანტიურის დროს მონაწილეობის მიმღები და აქტიური ხელმძღვანელი ნაწილი ბრბოებისა.

3. მ. გურგენაძე—ძველი გვარდიელი და მოწამლული ავანტიურისტი. ასეთი არჩევნები არ მოუტანს მშრომელებს კარგს, რაზედაც ყველა მშრომელი პატიოსანი მოქალაქე ჩოჩხათის თემისა უყურებს მათ უარყოფითად. რისთვისაც საჭიროა სამაზრო ხელისუფლებამ მიაქციოს ყურადღება ამას და გამოასწოროს ეს ნაკლი. და ის მატლები, რომლებიც შეპარულია საბჭოებში უნდა მოაშორონ მშრომელებს ერთხელ და სამუდამოდ.

შუთისპირელი.

სუფსის თემი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

პირველ მარტს გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგზე მოხსენება გააკეთა ამხ. კოწია გურგენაძემ, რომელმაც მკაფიოდ დაასურათა საბჭოთა რესპუბლიკების როგორც შინაური, ისე საგარეო მდგომარეობა შემდეგ ამხანაგი შეეხო საბჭოების მნიშვნელობას და აუხსნა ხალხს, თუ როგორ უნდა მიიღონ მათ მონაწილეობა არჩევნებში და სხ.

შემდეგ მოხდა არჩევნები. ხმებს აძლევდნენ ცალკე-ცალკე წამოყენებულ კანდიდატებს.

არჩეულ იქნა 42 დეპუტატი: ამათ შორის 3 ქალი (2 უპარტიო, 1 კომკ.), 3 კომკავშირელი, 15 უპარტიო, (რომელთა შორის 1 ექიმია, 1 სადგურის უფროსი და ხუთი მასწავლებელი) დანარჩენი 21 კომუნისტებია. არჩევნების შედეგით ხალხი კმაყოფილი დარჩა.

საღამოს გაიმართა ახლად არჩეულ საბჭოს საზეიმო სხდომა, სადაც მოხსენება გააკეთა ამხ. კ. გურგენაძემ და მიუთითა თითოეულ დარგში თუ რა უნდა აკეთოს საბჭომ, როგორ აღმშენებლობას უნდა მოჰკიდოს ხელი და სხვ.

შემდეგ მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები. პრეზიდიუმში ერთხმად გაიყვნენ ამხ. დიმიტრი მგელაძე, მელიტონ გურგენაძე და მიხ. ბოლქვაძე.

აღმასკომის თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. დ. მგელაძე (გლეხი, კომ.) წევრებათ: მ. გურგენაძე (გლეხი, კომუნისტი) და მიხაკო ბოლქვაძე (უპარტიო გლეხი).

ა. თოდრია.

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-5 წლიური ყრილობა

პირველი დღე

მარტის 7-ს საღამოს 7 საათზე თბილისის აღმასკომის შენობაში გაიხსნა ცეკავშირის რწმუნებულთა მე-5 წლიური ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობას ღებულობს 135 რწმუნებული.

პრეზიდიუმის არჩევა

ყრილობა გახსნა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ **ამხ. ელერდაშვილმა.** არჩეულ იქნა პრეზიდიუმი ცხრა კაცისაგან. არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. **ოკუჯავა, ყურულაშვილი, ბოლქვაძე ვასო, დუმბაძე ლადო, კაცაძე, შაუტაშვილი, დუმბაძე მამედ, კანდელაკი, ბუხნიკაშვილი, გაგუა, იატაშვილი.**

ყრილობის პირველ სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. **ლადო დუმბაძე,** რომლის წინადადებითაც კრებამ მიიღო განსახილველად და გადასაჭრელათ შემდეგი საკითხები: ყრილობის სამდივნოს არჩევნები, სამანდატო კომისიის არჩევნები, ყრილობის დღიურ წესრიგის შემუშავება, სრულიად საკავშირო ცაკის სესიის მისასალმებლათ დელეგაციის გაგზავნა და ყრილობის რეგლამენტის შემუშავება.

ყრილობის პირველი სხდომა მხოლოდ ამ საკითხების განხილვას მოუნდა.

ყრილობის სამდივნოში არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. **ქაშურია, დუკლაძე და [illegible];** სამანდატო კომისიაში ამხ. ამხ. **მაისურაძე, ნარეკლიშვილი და კვიტაიშვილი.**

დღის წესრიგი

ყრილობისთვის შემუშავებულ იქნა შემდეგი დღიური წესრიგი: 1. ცეკავშირის გამგეობის მოხსენება მის საქმიანობაზე საანგარიშო ხანის განმავლობაში, 2. ფინანსიური ანგარიში, 3. საბჭოს მოხსენება, 4. სარევიზიო კომისიის მოხსენება, 5. მომავალი მოქმედების გეგმა და ხარჯთაღრიცხვა, 6. ცენტროსოიუზში და ზაკსოიუზში წევრად შესვლა, 7. ცეკავშირის წესდების განხილვა და დამტკიცება, 8. სამანდატო კომისიის მოხსენება, 9. ცეკავშირის გამგეობის, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 10. ცენტროსოიუზის და ზაკსოიუზის ყრილობებისთვის რწმუნებულების არჩევა და სხვა მიმდინარე საკითხები.

დელეგაციის არჩევა.

ამხ. დუდუჩავას წინადადებას სრულიად საკავშირო ცაკის სესიაზე მისასალმებლად დელეგაციის გაგზავნის შესახებ ყრილობა ოვაციებით შეხვდა. დელეგაცია არჩეულ იქნა ოცი ამხანაგის შემადგენლობით, რომელიც გაემგზავრა საოპერო თეატრში მისალმებისთვის.

სხდომის დასასრულ მიღებულ იქნა რეგლამენტი და შემუშავდა მარტის 8-ის სხდომის გეგმა. ამ გეგმით ყრილობის მე-2 სხდომა მოისმენს სიტყვიერ და წერილობით მისალმებებს და აგრეთვე ამხ. კუიბიშევის მოხსენებას კოოპერაციის როლზე საბჭოთა აღმშენებლობაში.

ამით სხდომა დასრულდა 8 საათზე. ყრილობის მეორე სხდომა შესდგება მარტის 8-ს დილის 9 საათზე.

დამსწრე.

ღვინის გასაღება

ვინაიდან საქართველოს ღვინის ბაზარი მწვავე კრიზისს განიცდის, მიღებულ უნდა იქნას ზომები ღვინის გასაღების გაძლიერებისთვის. ამ მიზნით ნატურალურ ღვინოზე მოხსნილი უნდა იქნას სააქციზო გადასახადი და გადათვალიერებულ უნდა იქნას რკინისგზის ტარიფი და ღვინის დასამზადებლად კრედიტის საკითხი. ამ საკითხის მოგვარება დაევალია შემდეგ ორგანიზაციებს: საგეგმო კომისიას, მიწათმოქმედების კომისარიატს, რკინის გზის სამმართველოს და ა|კ. ფინსახკომის რწმუნებულს საქართველოში.

ორშაბათს, 9 მარტს, საღამოს 6 საათზე,

აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში (ოთახი № 1) მოწვეულია

ალმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი: 1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.
2. წყალსადენის საფასურის აკრეფის გამარტივების საკითხი.
3. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.



მათხოჯის სახალხო სახლის შენობა, რომელიც დაიწვა 25 თებერვალს

პროვინციაში

ეს რას გავს?

მოლითის თემი

(შორაპნის სამალმასკომის საყურადღებოთ)

მოლითის თემში ყოველ კვირაობით იმართება ბაზრობა და გლეხებს ჩამოაქვთ თუ რამ აქვთ გასაყიდი.

ამა წლის 4 იანვარს ერთ გლეხს ფეჩი ჩამოეტანა გასაყიდათ. ეს ფეჩი ეყიდა იქვე მახლობლათ მცხოვრებს ებრაელს და დაედგა თავის ბინაზე, სადაც დაახლოებით 25 კაცამდე სცხოვრობს.

გაიგო თუ არა ეს მოლითის გლეხკომის თავმჯდომარემ, გაეშურა ებრაელთა ბინისაკენ ფეჩის წასართმევათ. ფეჩი წაართვა, მიიტანა გლეხკომში, დადგა და თანაც იქადნება: მაგათ სულ ტყავს გავაძრობო.

ებრაელებმ წავიდნენ საჩივლელად ალმასკომში. თავმჯდომარემ გამოგზავნა ებრაელები გლეხკომის გამგესთან, რომ ფეჩი უკან წაეღოთ.

გლეხკომის თავმჯდომარე გამოედევნა ებრაელებს: რა ფეჩი, რის ფეჩი, რა უნდა დაგიბრუნოთო.

ბოლოს რას ვხედავთ: ალმასკომის თავმჯდომარეს მოუგროვებია ებრაელები და ასამართლებს გლეხკომის სასადილოში. ეკითხება: ფეჩი ძალით წაგართვა თუ თქვენ მიეცით გლეხკომის გამგესაო.

ებრაელებს აბა რაღა უნდა ეთქვათ —ჩვენ მივეცითო უპასუხეს და თანაც შიშისაგან კანკალებდენ.

ბოლოს, როცა ებრაელები წავიდნენ ალმასკომის თავმჯდომარემ ტრაბახი დაიწყო: ხომ დაუბნიე მაგათ აზრები, ვათქმევინე, რომ ფეჩი ნებით მივეცითო.

დასაშვებია განა ასეთი საქციელი? ნუ თუ გლეხკომს ისე გაუჭირდა, რომ ფეჩის ყიდვა ვერ მოახერხა საწყალ ებრაელებისათვის არ წაერთმია.

მშრომელი გლეხი.

ძველი სენაკის სასოფლო-სამეურნეო სკოლა

ძველი სენაკის სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაარსებულია 1919 წ. სკოლა ემსახურება: ეკის, ნოქალაქევის, ნოსირის და ძველი სენაკის თემებს.

სკოლა მოთავსებულია საკუთარ შენობაში და დახურულია თუნუქით. სკოლის შენობას ესაჭიროება შეკეთება. სკოლას აქვს 20 ქცევა მიწაადგილი. ამათგან 5 ნახ. ქც. ბაღია, 1 დესეტ. ბოსტანი, 1 ნახ. ქც. სათიბი, 3 ქცევაზე სახილე, 4 ქცევაზე საძოვარი და 5 ქცევაზე კი საყანე ადგილი.

მოწაფეთა რიცხვი უდრის 93. მათში 75 ვაჟია და 18 ქალი.

სკოლაში ასწავლიან: მიწად-მოქმედებას, მებაღეობას, მევენახეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას და მებოსტნეობას. სკოლის მდგომარეობა საბჭოთა ხელისუფლების დროს უფრო გაუმჯობესდა და წინ წაიწია.

სკოლაში 4 მასწავლებელია. მათში ორი სპეციალურად მომზადებულია სამეურნეო საქმეებისათვის.

საჭიროა სკოლის მოქმედების უფრო გაფართოება და მეტი გლეხების და მეურნეთა შვილების ჩაბმა სკოლაში.

ბანი.

საქონლის ჭირი

(სენაკი)

საქონლის ჭირი ანუ ციმბირის წყლულით საქონლის დაავადმყოფებას ამა წლის მარტის დასაწყისში ადგილი ჰქონდა ს. ნახუნაოვოში— მარტვილის რაიონი.

როგორც ცნობაა, ერთი ოჯახში დაიხოცა პირუტყვი და დაავადმყოფდენ ოჯახის უფროსი და დიასახლისი.

მიღებულია ზომები. **ბ.**

წავკისის თემი

(თბილისის მაზრა)

საბჭოთა ხელისუფლებამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადასდგა წინ, გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

დღეს ყველა თემში იხსნება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები. ამ რიგათ გლეხს საშუალება მიეცემა კრედიტის მიღებით თავიდან აიშოროს ის უხერხულება, რომელსაც ძალიან ხშირად აქვს ადგილი სოფლის მეურნეობაში.

წავკისის თემიც ეღირსა ამ ბედნიერებას. სამშაბათს, სამ მარტს აქ მოვიდენ წარმომადგენლები თბილისის ს. სამეურნეო ბანკიდან და ერთიც სამაზრო ინსტრუქტორი. კრება მოიწვიეს თემის ფარგლებში, მაგრამ ტეხნიკური დაბრკოლების გამო, კრებას ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. წარმომადგენლებმა ფართოდ გააცნეს ხალხს სას. სამეურნეო ბანკის მნიშვნელობა. კრებამ ერთხმად დაადგინა გაიხსნას სასოფლო სამეურნეო-საკრედიტო ამხანაგობა ს. წავკისში. უკვე ჩაეწერა წევრებად 46 კაცი. მთელი თემის სოფლები დიდ სურვილს და სიხარულს გამოსთქვამენ ამხანაგობის დაარსების გამო და ყველანი მზად არიან ჩაეწერონ წევრებად.

არჩეულ იქნა გამგეობა სამი კაცისაგან: თავმჯდომარედ აირჩიეს გოგოლიძე (კოჯრიდან) ხაზინადარი,—ვ. შერმაზანიშვილი (ტაბახმელიდან) წევრი,—გაგნიძე (წავკისიდან) და ორიც კანდიტატი.

გარდა ამისა არჩეულ იქნა საბჭო,—5 კაცისაგან, თავმჯდომარედ არჩეულ იქნა იაშალაშვილი გიორგი, (ტაბახმელიდან).

ამხანაგობა დაიწყებს მუშაობას ერთი კვირის განმავლობაში. კრებამ მოითხოვა თბილისის ს. სამეურნეო ბანკიდან 10.000 მანეთი სესხად ხუთი წლის განმავლობაში, რაზედაც თანხმობა მიიღეს წარმომადგენლებისგან.

შ. ლორთქიფანიძე.

კოოპერატიული წისქვილი

სოფ. პატარა-ოტობაია (ზუგდიდის მაზრა)

ს. პატარა-ოტობია დაშორებულია ზუგდიდიდან 22 ვერ. მანძილზე. ის მდებარეობს ოდიშ-სამურზაყანოს საზღვრის მდინარე ინგურის მარცხენა მხარეზე. სოფლის მეურნეობას ეტყობა გამოცოცხლება. აღმშენლობითი მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

ამ სოფელში იყო ყველგან გაფუჭებული, რამოდენიმე წლობით გაუკეთებელი გზები ეს გზები ყველა შეკეთებულია, გაფართოვებულია და ნაწილობრივ ახალი გზები იქმნა გაყვანილი.

ეს სოფელი მდებარეობს მდინარე ინგურის ნაპირზე, მდიდარია წისქვილებით. კერძო მეწისქვილეებმა სიცოცხლე გაუმწარეს მშრომელ გლეხებს და ტყავს აძრობდენ.

რის გამო მშრომელ გლეხკაცობამ წარსულ წელში, მიუხედავად კერძო მეწისქვილეების წინააღმდეგობისა, ააშენა საზოგადო კოოპერატიული წისქვილი „ყუთის" სისტემის.

კოოპერატიულ წისქვილის ამხანაგობას არჩეული ყავს გამგეობა. შედგენილი აქვთ წესდება, წევრთა შორის შრომის განაწილების და ამხანაგური დისციპლინის დასაცავად.

ინგურელი.

მოზამაგირე ახალგაზრდობის მდგომარეობა ცაგერში

ქ. ცაგერში არსებობს სხვადასხვა გვარი სავაჭროები, სახელოსნოები და სხვა. აქ არიან დაქირავებული ახალგაზრდობა, რომელთა წლოვანობა არ აღემატება 17 წელს.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ აქ არ არსებობს არავითარი შრომის კანონთა დაცვა. ხაზეინები ამუშავებენ მოზარდებს თითქმის ღამეც. გარედან დაკეტვენ და შიგნით კი ამუშავებენ. განსაკუთრებით ექსპლოატაციას ეწევიან ტყავის მოხელეები, რომელთა თავგასულობას საზღვარი არა აქვს. ამ გარემოებას კომკავშირის სამაზრო კომიტეტმა მიაქცია ყურადღება და გამოყო ერთი ამხანაგი მათში სამუშაოდ. პირველ ყოვლისა ჩვენ აღრიცხვაზე ავიყვანეთ ისინი და ავუხსენით შრომის კანონები. ხაზეინებს ჯერ კიდევ არ ეშინიათ. იმათ ჰგონიათ, რომ მათ ასე ათამაშებენ.

საჭიროა, რომ ქ. ცაგერში სავაჭრო საწარმოო დუქნები იღებოდეს 9 საათზე დილით და იხურებოდეს ღამის ხუთ საათზე. ამით შეიძლება მოვსპოთ ზედმეტი შრომის მითვისება. ამის შესახებ სათანადო განკარგულება უკვე გასცა თემალმასკომმა, მაგრამ უმაღლესმა ორგანომ უარჰყო ეს, არ ვიცი რატომ. მეორე საშუალება კიდევ იმისი, რომ მოზარდთა შრომა დავიცვათ. ნეტავ ვიცოდე, ვინ მიაქცევს ამას ყურადღებას? ვინ მოუღებს ბოლოს ასეთ თავგასულობას? საბჭოთა ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას აქცევს შრომის დაცვას, და ნუ გგონიათ ცაგერელ დამქირავებლებს, რომ მათ ვინმე თავზე ხელს დააფარებს შრ. კანონთა დარღვევისათვის. სათანადო ორგანოვ მიაქციე ყურადღება ამ საქითს.

პ. ფრუიძე.

პროვინციის ქრონიკა

— **საექიმო პუნქტი.** ბორჩალოს ალმასკომმა გადასდო 500 მ. სოფელ სარვანში საექიმო პუნქტის მოსაწყობად.

— **სოფ. ორბელისა და ალპანის** მცხოვრებლებმა დაადგინეს უფასოდ გამოვიდენ აღნიშნულ სოფლებს შორის საურმე გზის გაყვანაზე.

— **ბორჩალოს** ალმასკომმა დაადგინა შეიძინოს საჭირო იარაღები ფიზიკური ვარჯიშობისათვის.

— **საექიმო დახმარება გლეხებს.** გუშულის (რაჭის მაზრა) საექიმო პუნქტზე ამჟამად მუშაობს ერთი ექიმი. გლეხები საექიმო დახმარებას ღებულობენ უფასოდ.

— **საქონლის ჭირი.** სოფ. გულგულაში (თელავის მაზრა) თავი იჩინა საქონლის ჭირმა. მიღებულია მის წინააღმდეგ ზომები.

— **მარტვილში** დაიწყო საშინელი ქარი, რაც ხელს უშლის საგაზაფხულო მუშაობას მინდვრებში.

— **ქალის მოტაცება.** სამტრედიაში 4 მარტს, დღის 11 საათზე უცნობმა პირებმა მოიტაცეს ქალთა ტეხნიკუმის მოწაფე გველესიანი.

— **საჰაერო ფლოტის** მეგობართა საზოგადოების უჯრედები დაარსებულია თელავის ყველა შრომის სკოლებში. მოწაფეები და მასწავლებლები დიდი ხალისით ეწერებიან საზოგადოების წევრებათ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მობილიზაციით გაწვეულ ამხანაგების ცნობათ.

სოფლის უჯრედების ძირითად მომხმარებელ კოოპერაციის და სოფლის კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა მდგომარეობის გამოკვლევის ჩასატარებლად თანახმად ცეკას სამდივნოს დადგენილებისა (ოქმი №№ 76 და 79) მობილიზაცია ეყო:

ლობჟანიძე, ლაშხის, სტეფანოვს, ჩხარტიშვილს, აუშტროვს, თაყაიშვილს, ოკუჯავა ისაკის, კოჩიაშვილს, იაშვილს, ციხელაშვილს, ფანცხავას (მიწა-ტყის კავშირის მდივანი), ქურიძე ნოეს, ჭეიშვილი ნეოფიტე, ცინცაძე ვანოს, ლიკვიაშვილ აკაკის, დევიძეს ჟვანიას ი., გურგენიძე დიმ., ბერბერაშვილს, კობახიძეს (კომკავშირის ცეკას ინსტრუქტორი), გოგიბერიძე გრ., ლომიძე ლუკას, ლომიძე (პოლიტ-გან. ინსტრუქტორი) და მგალობლიშვილი გრ.

აღნიშნულ ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდენ ცეკაში ამა მარტის 9-ს, დილით საათის 10-ზე.

ს. კ. პ. ც. კ—ტის სასოფლო კომისიის მდივანი ალ. ბობოხიძე.

— ორშაბათს, 9 მარტს, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში ამხ. პიროჟკოვა გააკეთებს მოხსენებას: „პიონერთა მოძრაობის ბიოლოგიური საფუძვლები".

— დღეს, 8 მარტს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრში, ლენინის რაიონის ქალთა განყ. ხელმძღვანელობით, ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, დადგმული იქნება ექვს სურათიანი პიესა „ახალი ცხოვრება".

— კვირას, 8 მარტს, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება პროლეტკულტის საღამო.

შესვლა თავისუფალია პარტიის წევრებისა, კანდიდატებისათვის და მათი ოჯახების წევრთა და კომკავშირელებისათვის.

— სამშაბათს, 10 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება რაიონული შეფბიუროს სხდომა, ამისათვის ევალება რაიშეფბიუროს წევრებს გამოცხადდენ აღნიშნულ დროზე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი წინადადებას აძლევს ამხანაგებს, რომელთაც შემოიტანეს ანკეტები პარტიაში მიღების შესახებ, გამოცხადდენ კვირას, 8 მარტს, დღის 12 საათზე რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე პლეხანოვის პროსპ. 96) ენდეკ ელენა, სლავინა ელენა, ოსიაშვილი მარიამ, ზავისნოვა ელენა, აასლაკოვა ანა, მალოდვინა ელისაბედ, მაჩაიძე მარიამ, მხოიან ანნა, ლაფანაშვილი ალექსანდრა, კრონტალ ემილია, ბლიუმბერგ კირა, კრასნიკოვა ტატიანა, კარა-მურზა სერაფიმა, კოვალევა ფლორა, კაჭაური ალექსანდრა, კობაიძე პელაგია, დოლიძე სოფიო, მანუკიან ნადეჟდა, ჯემფარაშვილი ელენა, ვოლკოვა ნინა, იზრაილევიჩ ფანია, თინიკაშვილი სოფიო.

მდივნის მოადგილე—მელაძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იუწყება, რომ კვირას, 8 მარტს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში გაიმართება საზეიმო სადელეგატო კრება უჯრედების მდივანთა, ბიუროების წევრთა, ქალთა ორგანიზატორების და დელეგატ-ქალების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება მუშა ქალის საერთაშორისო დღის და მშრომელ ქალთა შორის მუშაობის მორიგ ამოცანების შესახებ.
2) ქალთა საზეიმო მიღება პარტიაში.

ყველა მდივანთა, უჯრედების ბიუროების წევრთა, ქალთა ორგანიზატორთა და დელეგატ-ქალების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მოადგილე—მელაძე.

— საქართველოს ახალგაზრდ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციებში სამუშაოთ მობილიზაციით იწვევს შემდეგ ამხანაგებს: 1) ჭელიძე,—1 რაიონი, 2) დალაქიშვილი—2 რ., 3) დუქმტი 3 რ., 4) კიკნაძე—4 რ.

გაწვეული ამხანაგები ვალდებული არიან საკავშირო დისციპლინის ძალით გამოცხადდენ ამხ. კვინიხიძესთან, ორშაბათს დღის 12 საათზე.

საქ. ახალგ. ლენინ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი: მეთონიძე

— ცენტრალურ პარტიულ კლუბში ორშაბათს, 9 მარტს იწარმოებს ლენინიზმის შესწავლის წრის მეცადინეობა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი იუწყება რომ ორშაბათს, 9 მარტს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების შენობაში გაიმართება თბილისის კომიტეტის სააგიტ-საპროპაგ. კოლეგიის სხდომა.

შემდეგ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: მთვარელიძე, მდივანი, ადამიანი, წითლიძე, დვორიანოვი, ძაგნია, სანემლიანი, ბუხნიკაშვილი, ოხიტაროვი, სვანიძე. კიდაიშ, არუტიუნოვი, მაჭავარიანი, იგნატოვი, რახმანი.

თბ. კომიტეტის მდივანი—ასრიბეკოვი.

პროფესიული

— კვირას, 8 მარტს, დღის 12 საათზე, რუსთაველის თეატრში დანიშნულია ტფილისის განათლების მუშაკთა საერთო კრება.

დღის წესრიგშია **ამხ. ჩიჩერინის და პეტროვსკის მოხსენება:** „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა".

სამდივნო.

— ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ადგილკომი იუწყება, რომ ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის წევრთა ხელახალი რეგისტრაცია მოხდება 9 და 10 მარტს საღამოს 5—10 საათამდე კლუბ „მუშათა პრესის" შენობაში ბარიატინის ქ. № 2 (კინო „მინიონის" გვერდით).

ხელახალ რეგისტრაციის პირველ დღეს უნდა გამოცხადდენ შემდეგი გამოცემათა თანამშრომლების „ზარია ვასტოკა", „ენი ფიქირ", „რაბოჩი ია პრავდა", ჟ. „ახალი სოფელი", ჟ. „მნათობი", გაზ. „კომუნისტი", გ. „მუშა", „ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიცია", გაზ. „წითელი არმიელი", გაზ. „მართოკოჩი", გაზ. „იშიკელ", გაზ. „კრასნი ვოინ", გაზ. „კრასნაია ზვეზდა".

მეორე დღეს: კანც. „დვიგატელ", „საბჭოთა კავშირის ცაკის და სრულიად რუსეთის ცაკის „იზვესტია", საბჭ. რუსეთის „სახელგამი", გაზ. „იუნოშესკაია პრავდა", ჟ. „მოამბე", ჟ „დროშა" „ზაკკნიგა", კანტ. „საქ. კომპარტიის ცეკას საგამომცემლო განყოფ." „ზაკროსტა", „საქართველოს სახელგამი", „ამიერ-კავკასიის ტრანსპორტი", ჟ. „ეკონომიჩესკი ვესტნიკ ზაკავკაზია", ჟ. „კრასნი ვსხოდი", ჟ. „რაბოჩი ზაკავკაზია" გამომცემ. „სვიაზ", გამომც. „ახალი სოფელი", „კავკასიის სამხედრო გამომცემლობა", „კავკნიგტორგ", „სამხედრო სარედაქციო კოლეგია".

---

6 მარტს, ნაშუადღევის 12 საათზე გარდაიცვალა

სანდრო ალუმასის ძე ფოჩხიძე

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს ღრმათ დამწუხრებული ცოლი ლიზა ანტონის ასული ფოჩხიძე, ძმები ლეონტი და გერონტი ფოჩხიძეები, სიმამრიშვილი ვანო ანტონის ძე გძელიძე და მიცვალებულის მოკეთეები.

დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 10 მარტს, დილის 10 საათზე, გონჩარნი ქუჩა № 22. 570 1—1

კვირას 8 მარტს 12 საათზე

ექიმ ვლადიმერ მიხეილის ძე
მახვილაძის

გარდაცვალების წლის თავზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის სასაფლაოზე, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ცოლი, ქალიშვილები და დები განსვენებულისა. 574 1—1

ღრმად დამწუხრებულნი დედა ხატალია სოლომონის ასული ჩივაძისა, და ნინუცა, ძმა ოქრო, ბიძა კოტე ჩივაძე მეუღლით, მამიდა ანნა ივანეს ასული ქუჩუკაშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

მიშიკო ჩივაძის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, დღეს 8 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე. 571 1—1

ემმა ფრანცის ასული მაჩაბლისა და ელენე ივანეს ასული ჩერქეზიშვილისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ

ნიკოლოზ (ნიკუშა) ივანეს ძე
მაჩაბლის

გარდაცვალების ნახევარი წლის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში კვირას, 8 მარტს ნაშუადღევის 1 საათზე. 582 1—1

ხონის ალმასკომი აცნობებს ამხანაგებს და მოქალაქეებს, რომ ამა წლის 4 მარტს ღამით უეცრად გარდაიცვალა წითელი ჯვრის ხონის საავადმყოფოს ექიმი, ხირურგი

აკაკი დ. ჩაჩუა

დაკრძალვა ქალაქ ხონში კვირას 8 მარტს, ნაშუადღევის სამ საათზე ნ 918 1—1

საქართველოს წითელი ჯვრის ხონის საავადმყოფოს თანამშრომლები მწუხარებით აცნობებენ ამხანაგებს და მოქალაქეებს, რომ 4 მარტს შუაღამეზე უეცრად, უდროოდ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი თანამშრომელი დოსტაქარი

აკაკი დიმიტრის ძე ჩაჩუა

დაკრძალვა ქალაქ ხონში კვირას 8 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე.
1—1 ნ 918

რუსთაველის თეატრი

სახელმწიფო დრამა
დღეს, 8 მარტს [illegible]
უკანასკნელად ამ სეზონში
ი. გედევანიშვილის
სინათლე
ნ. 902 3—3.

გ. მუშიშვილი
„სისხლიანი კვირა"
იყიდება ყველგან
ნ. 3—1

სახალხო კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 11 მარტს დილის 11 საათზე სამმართველოში (რუსთაველის პრ. 43) დანიშნულია

ხელახალი საჯარო ვაჭრობა

თბილისის კვანძის გადამცემ რადიო-სადგურის შენობის ასაგებათ ნავთლუღში სამუშაოების გაცემაზე. პირობები გამოქვეყნებული იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს № 811 22 თებერვალს და № 813 25 თებერვალს.

იმ პირებს, რომლებსაც 7 მარტის ვაჭრობაში მონაწილეობა არ მიუღიათ,

უფლება აქვთ

მონაწილეობა მიიღონ ხელახალ ვაჭრობაში.

სახალხო კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველო.

1—1 ნ. 922

ლანჩხუთის უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ჩხიკვიშვილი

ამით აცხადებს, რომ თექვსმეტს მარტს ამა 1925 წლის დილის 10 საათზე, ქ. ლანჩხუთში, ოზურგეთის მაზრისა, ადგილობრივ სახალხო სასამართლოს შენობის დარბაზში მის მიერ დანიშნულია მეორე საჯარო ვაჭრობა კუთვნილ შალვა გრიგორისძის იმნაშვილის ოდა სახლისა, დახურულის ქრამიტით, ოთხი თვლის, თელას ხისაგან, აგებულის მის, იმნაშვილის, ეზოში, შუხუთის თემში, ოზურგეთის მაზრისა, და აწერილი გერვასი ილარიონ სარჯველაძის ასულის სამას სამოცდა ათი მანეთის ვალის დასაკმაყოფილებლათ. აწერილი ქონება შეფასებულია ათას ორას მანეთად და ვაჭრობა დაიწყება თანახმად 318 მუხ. სამოქ. სამარ. საპრ. კოდექსისა დაფასებიდან ან რომელიმე მოვაჭრენის მიერ პირველათ შემონაძლევ თანხიდან. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში, უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობები, აღნიშნული 311 მუხლში იმავე კოდექსისა.

1—1 № 573

ქ. ტფილისის მე—3 მე რაიონის სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ძამოევი.

აცხადებს, 10 მარტს, დღის 12 საათზე კახეთის ქუჩ. № 45 მოხდება ივანე და ალექსი ვართანოვების მოძრავ ქონებათა საჯარო გაყიდვა ივანე ტუმაზოვის დასაკმაყოფილებლად სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ ფურცლის ძალით. 1924 წ. 18 დეკემბრის თარიღით და № 471-ით.

1—1 № 578

სახ. აკადემიური ოპერა

სახელმწიფო აკადემიური საოპერო თეატრი
სამშაბათს, 10 მარტს
აბესალომ და ეთერი
ოპერა 5 მოქ. ზ. ფალიაშვილის
ნ. 927 1—1

რ. ს. ფ. ს. რ. მ. ს. მ. ს.
საქსოვი-სატრიკოტაჟო მრეწველობის მოსკოვის სახელმწიფო ტრესტი
„მოსტრიკოტაჟ" („МОСТРИКОТАЖ")
გამგეობა: მოსკოვი, ილინკა, კოზმოდემიანენკის შესახვევი 3 || თბ. განყოფილება: თბილისი, სომხური ბაზარი, № 62 ელსმენი 16—51
თბილისის განყოფილებამ მიიღო დიდძალი სხვადასხვა საქონელი: ჩულქები, ტრიკოტაჟი, ნაქსოვი და გალანტერეია.
სახელმწიფო ორგანოებსა და კოოპერაციას—შეღავათიანი პირობები. განსაკუთრებით ურჩევთ ტრიკოტაჟის საცვლებს, როგორც ყველაზე უფრო ჰიგიენურსა და იაფს.
ნ. 907 1—1

მოქალაქენო!
თქვენი ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს, რომ სვათ მხოლოდ
მ. ლაღიძის
საუკეთესო, ხელოვნურად მომზადებული ხილეულ-მადნეულის სამკურნალო წყლები, რომელიც მომზადებულია უმაღლესი ნამდვილი ბუნებრივი, რჩეული ხილეულობის წვენისაგან, ნადუღი წყლით უაღრესად გაუმჯობესებულ აპარატზე
მცოდნე და დახელოვნებული სპეციალისტების მუდმივი ზედამხედველობით, ამიტომ ლაღიძის წყალი სრულიად უვნებელია ჯანმრთელობისათვის და თანაც გემო და სუნი საამური აქვს.
მ. ლაღიძის
ფირმა პასუხისმგებელია მხოლოდ იმ წყლის კეთილღირსებაში, რომელიც შეძენილი იქნება პირდაპირ ქარხნიდან ანუ მისი საკუთარი განყოფილებიდან.
ნის. 908. 2—1

„ლნოპრავლენიე"
ს.ს.რ.კ.
გამგეობა
კოსტრომისა და იაროსლავის
ს.მ.უ.ს.
გაერთიანებული
სელის ქარხნებისა
„ლნოპრავლენიე" („ЛЬНОПРАВЛЕНИЕ")
გამგეობა:
მოსკოვი, ნიკოლსკაია № 10
თბილისი, ბამბის რიგები, (ყოფ. მანთაშევის რიგები) ტელ. № 10—23
ახლად გახსნილ ამიერ-კავკასიის განყოფილებაში
ყოველთვის მოიპოვება დიდძალი სელის საქონელი
დამზადებული ყოფ. ლოკალოვის, საკინ-ზოტოვის, დოროდნოვის, დიდი-კოსტრომის ს. სიდოროვის, კრიმოვისა და სხვა ქარხნებში, რომლებიც შედიან გაერთიანებაში
ტილო თეთრი, ნახევრათ თეთრი, კოლომენკები ნახევრათ თეთრი, რავენტუხ, სარჩულები, ბრეზენტი. სტოლსაფრები თეთრი, ფერადები, ცხვირსახოცები, პირსახოცები, ხელსახოცები, ზეწრები, ტომრები, ნაქსოვი პატრუქები, მილები (ბრეზენტის). დაკვეთები მიიღება, როგორც ადგილობრივ საწყობებში, ისე საწარმოო ცენტრებიდან გაეგზავნით პრეისკურანტში აღნიშნულ ფასებში.
შეძენა შეუძლია ყველას
სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერაციას განსაკუთრებული შეღავათები, საქონლის ნისიათ მიცემით.
ნ. 917 1—1
„ლნოპრავლენიე"

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს
საინფორმ.-ცნობ.-განყოფილების
კომპლექტი

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ლითონის ტრესტი

და ცენტრალ. რაიონის ელექტ.-ტეხნიკური

(ე. ტ. ც. რ.) **ტრესტის** თბილისის

განყოფილება

ეხე...

ს მოხ...

ამით აცხადებენ, რომ ლითონის ტრესტის ქარხნებში მოწყობილია სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ლითონის ტრ... „ე. ტ. ც. რ."-ის ამიერ-კავკასიის ტრუბინების დასამზადებელი ქარხანა.

მზადდება წყლის ტურბინები და ჰიდრო-სადგურების მოსაწყობად სხვადასხვა საგნები, როგორც მაგ.: შლიუზები, გამტარებელი მილები და სხვ.

ტურბინები მზადდება უთვალავი ქალისა და სისტემის

ახლო მომავალში ქარხანა გამოუშვებს ტურბინებს შემდეგ ჰიდრო-ელექტრონის სადგურებისათვის:

ბელოკანი, საჩხერე, ოზურგეთი, თორტიზი, სადახლო, ქვემო გომი, სართიჭალა, არუხლო, კურორტი შოვი და სხვ.

ლითონის ტრესტი: საბჭოთა ქ. 115—ტელ. 20—53 და 19—54.
ე. ტ. ც. რ. რუსთველის სრსოპ. 19—ტელ. 1—55.

საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის

„ცეკავშირის"

საერთო ბალანსი

1-ლ ოქტომბრისთვის 1924 წ

ანგარიშების სახელწოდება	ჯამი	საერთო ჯამი
1. ნაღდი თანხები		
კასა . . .	16.978—66	
უცხო ვალიუტა . .	2.561—80	
სახელდ. ანგ. ბანკ .	60.016—75	79.557—21
2. ფასიანი ქაღალდები		9.237—82
3. ქონება		
მოძრავი ქონება. .	453.716—44	
უძრავი „ „ .	247.856—11	701.572—55
4. საქონელი		
საქონელი საწყობში .	814.712—72	
„ გზაში. .	7.755—87	
„ საკომ. გაც. .	7.651—37	
„ ნახევ. ფაბრიკ.	23.013—63	853.133—59
5. მასალა		184.422—74
6. დამზადება და აღმშენებლ.		1.020.548—29
7. დებიტორები:		
კოოპერატ. ორგან. .	1.424.599—75	
სხვადასხვა პირთ. .	1.423.183—85	
ანგარ. ვალდ. პირ. .	137.969—60	
თანამშრომელნი .	27.819—05	
მიღებული თამასუქ .	1.059.324—54	
გარდამავ. თანხები .	136.395—58	4.209.292—37
8. სასოფ. სამეურნ. განყოფ		8.098—15
9. საწარ. დარგის ანგ-ში		10.324—06
10. მომავალი წლის ხარჯები		11.754—29
11. პაიები კავ. და დაწეს.		54.971—57
12. ზარალი		79.626—49
სულ . .		7.222.537—13

ანგარიშების სახელწოდება	ჯამი	საერთო ჯამი
1. თანხები და ფონდები.		
საპაიო თანხა . .	26.405—78	
სპეც. ფონდები და თანხები	1.346.859—61	
მოგება 1923 წ. . .	22.865—96	1.396.131—35
2. სესხი		
სპეც. სახელდ. ანგ. ბანკ.	422.931—18	
სესხი საქ. და ფას. ქვ.	506.932—68	
თამასუქი დისკონტ. .	855.559—37	1.785.423—23
3. კრედიტორები:		
კოოპერ. ორგან. .	822.370—56	
სხვადასხვა პირ. .	1.399.136—28	
ანგარ. ვალდ. პირ. .	4.548—36	
თანამშრომელნი .	5.941—22	
გაცემული თამასუქ. .	1.059.462—17	
გარდამ. თანხები .	143.599—38	
ფასეული უზრუნველ. .	605.700——	4.040.757—97
4. საწარ. დარგ. ან-ში გან-ში		224—58
სულ . .		7.222.537—13

თავმჯდომარე ი. ი. ელერდაშვილი.

საფინანსო განყოფილების გამგე ა. ვ. ლოსკუტოვი

მთავარი ბუღალტერი არ. ახობაძე

გამგეობის წევრები:
ი. ლ. ცაგარელი
გ. პ. ნაფეტვარიძე
კ. ქაცარავა

ნ. 914 1—1

თბილისის კომუნალური ბანკი

ბალანსი

აქტივი 1925 წ. 1 მარტისათვის. პასივი

აქტივი	
კასა და მიმდ. ანგარიშ. . .	152.422—78
ფასიანი ქაღალდი და ვალიუტა . .	470 428—99
სააღრიცხვო ოპერაციები . .	1.326.052—63
სესხების მიმც. ოპერაც. . .	492.827—59
გრძელვადიანი სესხები . . .	844.017—49
კორესპოდენტები	1.441.015—96
ანგარიში განყოფილებებით . .	653.743—75
საკუთარი საქონელი . .	35.481—37
მოძრავი ქონება . . .	2.665—13
სხვადასხვა პირნ. და დაწესებ. . .	247.784—58
საორგანიზაციო ხარჯები. . .	5.276——
მიმდინარე ხარჯები . . .	34.269—01
პროცენტები და საკომის. გადახდ. . .	43.066—12
პროტეტ. განცხად. თამასუქები . .	16.871—57
დანარჩენი აქტივები . . .	647—64
სულ .	5.766.580—61

პასივი	
თანხები: ძირითადი . . .	782.646
სათადარიგო . . .	26.054—37
სპეციალური . . .	566.000.—
შენახული თანხა და მიმდინ. ანგარიშ. .	1.651.718.—38
სესხება და სპეციალ. მიმდ. ანგარ.	
სახელმწიფო ბანკში . .	693.090—21
კორესპოდენტები . .	1.830.097—68
მოუკითხავი და გადაუხდ. თანხ. . .	8.280.—
სხვადასხვა პირთა და დაწესებ. . .	61.198—33
პროც. საკომის. და სხვა შემოსავ. მიღ. .	145.978—75
დანარჩენი პასივი . . .	1.516—89
სულ .	5.766.580—61

ნ. 924 1—1.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების

„სანიტარულ განათლების"

მაღაზია და საწყობი

სასახლის ქუჩა № 3

მაღაზიასთან მოწყობილია

1. სან-განათლების ბიბლიოთეკა: ყოველგვარი სამედიცინო ჟურნალ-გაზეთებით, სახელმძღვანელოებით და წიგნებით ექიმებისათვის და სტუდენტებისათვის;
2) სან-განათლების ვიტრინა: ყოველგვარი სანიტარულ-განმანათლებელი ხასიათის საგნებით ექსპონატებით: მულიაჟები, პლაკატები, ლოზუნგები, ფურცლები და სხვა:
3) სან-განათლების საწყობი: ყოველგვარი სან-განმანათლებელი მასალებით—მაღაზია მიიღებს შეკვეთებს სან-ვიტრინების, სან-ბიბლიოთეკების, სან-გამოფენების და სხვა.

სახელმ. და საზოგადო. დაწესებულებებისათვის ფასები დაკლებულია

ნ. 926 1—1

პირველი სანიტარული ✽ გამოიწერეთ წლიურად ✽ ქართული პოპულიარული

ყოველთვიური პროფესიონალური ჟურნალი

ს ა უ ნ ჯ ე

სანიტარული განათლების ორგანო

მონაწილეობენ საუკეთესო ძალები

წლიურად ხელის მომწერნი მიიღებენ უფასოდ დამატების სახით წელიწადში 3 წიგნს

ჟურნალის მიზანია სახალხო ჯანმრთელობის საკითხების გამოკვლევა და გაშუქება: ყველა საექიმო-სასანიტარო დარგის მომუშავეთა პროფესიონალურ ცხოვრების და მათი შრომის პირობების შესწავლა და გაუმჯობესება; საექიმო-სასანიტარო ცოდნის ფართო მასებში გავრცელება და მისი პოპულიარიზაცია; ჰიგიენურ-პროფილაქტიკურ ზომების ცხოვრებაში გამტკიცებით ცხოვრების გაჯანსაღება და სანიტარულ-განათლების საქმის საუნჯედ გადაქცევა

ხელის მოწერა:

წლიურად დამატებებით—6 მან. ოთხი თვით—2 მან.

ცალკე ნომერი . . . . 50 კ.

პროვინციაში ხელის მომწერთ ეგზავნებათ ფოსტით

განცხადებები

მიიღება მხოლოდ საექიმო-სასანიტარო დაწესებულებების, კურორტების და საზოგადოთ სამკურნალო და ჰიგიენურ-სანიტარულ მრეწველობის საგნების შესახებ.

ფასი: 1 გვ.—100 მ., ნახ. გვ.—66 მ., ერთი მესამედი გვ.—30 მ.

რედაქცია და კანტორა

ტფილისი, სასახლის ქ. № 3 ტფილადმასკომის ჯანმრთ. განყ. „სან-განათლების" საწყობი და მაღაზია

ნის. 925. 1—1

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი

—ცეკავშირი—

სავაჭრო განყოფილება

აწვდის: საქართველოს სასოფლო კოოპერაციას: ნავთს, მარილს, შაქარს, ფქვილს, ფართლეულს, რკინეულის და სილიკატის საქონელს, ასანთს, საპონს, საგალანტერიო და საბაკალეო საქონელს, შაბიამანს, გოგირდს და სხვ.

ამზადებს და იმარაგებს: პარკს, სიმინდს, ვაშლს, კაკალს, მატყლს, ლობიოს, ხორბალს, სოიას, ბამბას, თამბაქოს, არაყს, ღვინოს, ჩაის და სხვ.

აქვს საკუთარი განყოფილებები: ქუთაისში, სამტრედიაში, გორში, დუშეთში, თელავში, წნორისწყალზე, ბათომში, ზუგდიდში და წარმომადგენლობა მოსკოვში.

საწარმოო განყოფილება

1. სტამბა თბილისში—ასრულებს საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციების სამუშაოებს; იბეჭდება კოოპერატიული ლიტერატურა.
2. პირველი მექანიკური აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკა საქართველოში (თბილისში) მოწყობილია უახლესი სისტემის მექანიკური დაზგებით; ქსოვს ყოველგვარ აბრეშუმის ყოველნაირ მატერიებს. ფასები 50 პროცენტით ნაკლებია მოსკოვის ფასებთან შედარებით.
3. აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა სამტრედიაში—აწარმოებს აბრეშუმის ნართის ხვევას.
4. კონსერვების ქარხანა გორში—ამზადებს ხილსა და ბოსტნეულს 70,000 ფუთამდე წელიწადში. ამზადებს კონსერვებს: ბოსტნეულისა და ხილეულის, ტომატს, მწნილს, ჩირს, მარმელადს და ყოველნაირ პიურეს.
5. თამბაქოს ქარხანა სიღნაღში—ამზადებს იაფ თამბაქოსა და პაპიროსებს სასოფლო კოოპერაც.
6. ძეხვის ქარხანა თბილისში—ამზადებს შაშხსა და ძეხვეულ ნაწარმოებს ქალაქის კოოპერაციისათ.
7. პარკის საშრობი მექანიკური ქარხანა—დღეღამეში აშრობს 1,200 ფუთ პარკს.
8. ბამბის სარჩევი ქარხანა—ყარაიაზში და საკუთარი ბამბის პლანტაციები.
9. ჰიდრო-ელექტრონის სადგური მუხრანში.
10. ტყავის ქარხანა ზუგდიდში—ამზადებს სპეციალურ სადაბალო სახარაზო ტყავებს სასოფლო მოხმარებისათვის.

აქვს ბოსტნები გორში—საკონსერვო ფაბრიკის საჭიროებისათვის.

აწვდის ყოველგვარ ტექნიკურ დახმარებას საქართველოს ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ყოველგვარ მოწყობილებათა და აღმშენებლობის საქმეებში.

სასოფლო-სამეურნეო განყოფილება

აგრონომიული დახმარება, საცდელი მინდვრები, სოფლის მეურნეებს აწვდის იარაღებს და წამლებს.

ნ. 909 1—1

ცეკავშირი.

საკავშირო სახელმწიფო ბანკის

ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ

საკავშირო სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში

ამიერ-კავკასიაში

სწარმოებს

ყოველგვარი გადასახადების მიღება

ნ. 920 1—1

შემთხვევით

იყიდება

სამაგალითო ტონის როიალი—ნახვა და პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე 3—6 საათ.

მამადავითის ქ. № 38 იკითხეთ ანთაძე.

ნ. 903. 3—3.

ფულაავათიან ფასებში ვიძლევი

მათემატიკის

გაკვეთილებს: (არით. ალგ. გეომეტრ. და ტრიგონ.) და ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25 (შესავალი ალექსის ქ. № 5)

ნახვა 9—1 ს. 3—7 ს.

ნის. 854. 5—5

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 8.

№ 202.

25—23

ექიმი

ალექსანდრე კორკია

მეანობა და ქალთა სნეულებანი

მიღ. ავადმ. 4—6 ნ. საღ.

პლეხანოვის პრ. № 65.

25—20

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩეოქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.

25—18

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8, პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ.

№ 3203. 25—5

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. გარდა კვირისა

25—19

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—5

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 1 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—3

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკური ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—4.

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35

25—25

ექიმი

ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყოფთა ელექტრონით წამლობა

მიღება საღ. 7—8 საათ.

ლენინის (ოლღას ქ. № 49)

ტელეფ. 4—85

25—25

მედიცინის დოქტორი

კ ე რ ძ ო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

სამკურნალო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალური ავადმყოფი, გარ და გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს. ამბულატორიული მიღება შინობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13

ცნობების მიღება: ექიმ შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4.

ნის 372 —100—63

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ აპრილიდან დაიწყება ბეჭდვა
და
ივნისის შუა რიცხვებში გამოვა ორ ტომად

ქოლა ლომთათიძის

მოთხრობები
სოლომონ თავაძის (ობოლი მუშის) რედაქციით

I ტომი:

1. ქოლას ბიოგრაფია შედგენილი ს. თავაძის მიერ
2. თეთრი ღამე
3. უსათაურო
4. სახრჩობელას წინაშე
5. საპყრობილეში
6. უბის წიგნიდან
7. პირველი მაისი

II ტომი:

1. აღრევა სულისა
2. სიკვდილი
3. შიში
4. დუმილი
5. მოღალატე
6. გრამაფონი
7. უბედური
8. მამასახლისი თუაძე
9. მღვდლისას
10. მარინე მონაზონი
11. აღსარება
12. კვლავ ფიქრი, ფიქრი
13. წერილი
14. ჩემი დღიური
15. ჰონორარი
16. ივანე გარგანელი
17. გზაში
18. ძე-კაცისა.

(მეორე ტომშივე მოთავსდება ქოლას ჯერ გამოუქვეყნებელი დღიური, დაწერილი „პრედვარილკაში“.

თვითეული ტომი იქნება დაახლოვებით 320 გვ., მოზრდილი ფორმატისა.

ქაღალდის სიძვირის გამო წიგნები გასაყიდათ ძალიან ცოტა გამოვა და არა ხელისმომწერთათვის **გაცილებით მეტიც ეღირება**, ამიტომ ვსთხოვთ ყველას, ვისაც კი ქოლას თხზულებათა შეძენის სურვილი აქვს, ორივე ტომის ფასი **4 მან.** გამოგზავნოს მაისის 15-ამდე ერთად ან ნაწილ-ნაწილად. ცნობა—თუ ვის რამდენი წიგნი დასჭირდება უნდა მოგვაწოდონ მარტის დამლევამდე კოლექტიურად ან ნაწილ-ნაწილად, რომ ამ ცნობების მიხედვით დავბეჭდოთ წიგნები.

ამთავითვე ხელისმოწერა მიიღება:—**ტფილისში**—გამომცემელთან, წიგნის მაღაზია **„განათლება“**-ში, ლენინის ქ. № 6; **ოზურგეთში—მოსე თალაკვაძესთან; ფოთში**—მასწავლებელი **ბათლომე მეგრელიძესთან, ისაკი სიხარულიძესთან** (ნავთსადგურის სახალხო სახლი) და **ვასო ქადიეშვილთან; ჩოხატაურში—ლადო ლამბაშიძესთან; სიღნაღში—ილიკო მხეიძესთან; თელავში—ქრისტეფორე რამიშვილთან; სამტრედიაში—ვალიკო ხარებავასთან; ბათომში—ირაკლი ღლონტთან და ქუთაისში—თომა მთავრიშვილთან.**

ნ. 919 5—1 გამომცემელი **სილ. თავართქილაძე.**

საჯარო ვაჭრობა

ამით აცხადებს, რომ **ბაქოში** კოოპერაციის ქუჩაზე № 8
ა.-კავკასიის ბამბის კომიტეტის
აზერბეიჯანის განყოფილების

—კანტორაში—

1925 წ. 25 მარტს დღის 12 საათზე გაიმართება შერეული საჯარო ვაჭრობა ქ. განჯაში ასაშენებელ კარაქის და საპნის ქარხნის სააღმშენებლო მუშაობის იჯარით გასაცემად:

1. მთავარ რკინის და ბეტონის კორპუსის აშენება—3.270 კუბ. ს.
2. მექანიკურ სადგურისათვის რკინის და ბეტონის კორპუსის აშენება—500 კუბ. საჟ.
3. ორთქლის ქვაბებისათვის ქვის კორპუსის აშენება—177 კ. ს.
4. მექანიკურ სახელოსნოებისათვის სამჭედლურით ქვის კორპუსის აშენება—369 კუბ. საჟ.
5. ლაბორატორიისათვის ქვის კორპუსის აშენება 68 კუბ. საჟ.
6. მატერიალურ საწყობისათვის ქვის კორპუსის აშენება—35 კუბ. საჟ.
7. კანტორისათვის ქვის კორპუსის აშენება—129 კუბ. საჟ.
8. ღია ფარდულების აშენება რკინის და ბეტონის სვეტებზე თესლის შესანახად—3.200 კუბ. საჟ.
9. ქვის ბეღლების აშენება ჩენჩოს და საპნის შესანახად—435 კუბ. საჟ.

სამუშაო შეიძლება მიეცეს ცალკე ან რამდენიმე ერთად ერთსა და იმავე დაწესებულებას ან პირს.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ განცხადება დახურულ კონვერტებში თვითეული სამუშაოს თითო კუბ. საჟენის ღირებულების აღნიშვნით ა/წ. 25 მარტის ვაჭრობისათვის და აგრეთვე შეიტანონ ამიერკავკასიის ბამბის კომიტეტის აზერბეიჯანის განყოფილებაში არა უგვიანეს ა/წ. 24 მარტისა საწინდარი მთელი სამუშაოს ღირებულების 5 პროც.-ს რაოდენობით.

ყოველგვარი საჭირო ცნობები და აგრეთვე კონდიციების და ნახაზების მიღება შეიძლება ამიერკავკასიის ბამბის კომიტეტის აზერბეიჯანის განყოფილების სამრეწველო-ტეხნიკურ ნაწილში და ვაჭრობაში. მონაწილეობის მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ მათ ყოველ დღე 12—2 საათამდე აზერბეიჯანის განყოფილების კანტორაში, ბაქო კოოპერატივის ქ. № 8, ა/წ. 10 მარტიდან.

ნ. 896—3—1 **ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტის გამგეობა.**

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205 25—23

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—6

დავკარგე საარიცხვო ბარათი ფორმა 4. გაცემული მე-2 კომისარიატისაგან მიხ. ალ. ურუშაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 575 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა თბ. მ. გ. მილიციის უფროსისგან მიცემული აქსენტი სერაპიონის ძე აფხაზავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 577 1—1

დავკარგე პორტფელი ძველი—თავებში დახეული, შიგ მხოლოდ საქმის ქაღალდებია და პირადი საქმე ერისთავის სახელზე № 5821—ფული ნივთი რაიმე არ არის. მნახველს ვსთხოვ გადმომცეს სათანადო საჩუქრის მიღებით. მისამართი: მოსკოვის ქუჩა, კურსკის შესახვევი, № 2, გაბუნიას ბინაზე. 583 1—1

დავკარგე უვადო პასპორტი ალექსანდრე დიმიტრის ძე ქანკოტაძეს სახელზე № 10868. ჩაითვალოს გაუქმებულად. 572 1—1

დავკარგე მირონ გიორგის ძე სალთხუციშვილმა რეგისტრაციის ქაღალდი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 576 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი სარქის ქობაჩიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 584 1—1

დავკარგე დიანოზ იასონის ძე კალმახელიძის სახელზე მეტრიკული მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 581 1—1

დავკარგე აღრიცხვის ბარათი, მეტრიკული მოწმობა, კავშირის წიგნაკი, პირადობის მოწმობა და „მმაჩიდან“ გამოტანილი მოწმობა კაზარ ახნაზაროვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 580 1—1

დავკარგე საბჭოთა მუშაკების კავშირის წიგნაკი № 4601, გაცემული ალექსანდრა ფარნაოზის ასული თოფურიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 585 1—1

დავკარგე სამხედრო მოწმობა მოცემული მეორე კამისარიატიდან, მოწმობა მოცემული ბექბ. სიტ. ექსპედიციიდან თედორე გრიგორის ძე მიგუჯანაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 580 1—1

ტირაჟი—22.300

მიიღება ხელის მოწერა

სამეცნიერო კრებულის

„ჩვენი მეცნიერების“

შემდეგ გამოცემებზე:

1. საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა,

სპეციალისტების მიერ დაწერილი ცალკე სტატიების კრებ[illegible]ლი, შედგენილი შემდეგი გეგმით:

I. საქართველოს გეოგრაფიული პირობების თავისებურებანი, სახელმწიფოებრივობისა და საზოგადოებრივობის ჩარჩოების განმსაზღვრელი.

II. გზები ქართველ ტომთა გადმოსახლებისა და დასახლების თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე.

III. საზოგადოებრივი წესწყობილების დაცვა ქართველ ტომთა მიერ გადმოსახლების შემდეგ: სამეურნეო ყოფა-ცხოვრება, სატყეო წარმოება, მეჯოგეობა, მიწადმფლობელობის ფორმები. მოხმარებისა და გასაღების საგნები; სატომო ყოფა-ცხოვრება; ტომების კარჩაკეტილობა, სარწმუნოებრივი შეხედულებანი.

IV. სახელმწიფოებრივი ცენტროების შექმნის პროცესი სავაჭრო ინტერესთა ნიადაგზე: ვაჭრობა დასავლეთთან და აღმოსავლეთთან ადგილობრივი წარმოების საგნებით; ბერძენ ვაჭართა ინიციატორული მნიშვნელობა; სავაჭრო გზები და ცენტროები; ტომების გაერთიანება გარემოცულ მთიელთა თავდასხმისაგან სავაჭრო გზების დაცვის ნიადაგზე.

V. მცხეთა, როგორც მთავარი სავაჭრო, პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ცენტრო მცხეთის მმართველის სამფლობელოს გაფართოვება.

VI. მთავარ ტერიტორიალურ ერთეულების ეკონომიური დაახლოვება საახალშენო მოღვაწეობისა და სავაჭრო ინტერესების ნიადაგზე. საერთო სარწმუნოებრივ შეხედულებათა და კულტურულ ტრადიციათა გავრცელება მთელ საქართველოში. ქრისტიანობის დასაწყისი და მისი შემოჭრის გზები საქართველოში.

VII. სრულიად საქართველოს ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცენტრის შექმნის აუცილებლობა. **ტფილისი.** ტფილისის დაარსების საკითხი. მისი სავაჭრო, სტრატეგიული და კულტურული მნიშვნელობა.

VIII. სპარსეთისა და ბიზანტიის მეტოქეობა და მათი შებრძოლება. საქართველოს ხელისუფლებთან საახალშენო მოღვაწეობისა და საგარეო ვაჭრობის საქმეებში საორგანიზაციო როლის თამაშისა.

IX. ტფილისის ეკონომიური დანიშნულება და მნიშვნელობა ამ დროს მთელი წინააზიისა და საქართველოსთვის.

X. არაბთა ბატონობის ხანა. ხელშეკრულებები არაბებთან და მათი მნიშვნელობა. არაბთა ვაჭრობა. აღმოსავლეთი საქართველო, როგორც ექსპლოატაციის ობიექტი არაბთა ვაჭრობის გაფართოვების მიზნებისათვის. აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიური დაცემა და საზოგადოებრივი დაშლა მისი დაცალიერება დასავლეთ საქართველოში ემიგრაციასთან დაკავშირებით. დასავლეთ საქართველოს ეკონომიური აყვავება. აფხაზთა სამეფოს შექმნა და მისი ბრძოლა ბიზანტიასთან.

XI. ახალი კულტურული ცენტროების გაჩენა სამხრეთ—დასავლეთ საქართველოში.

XII. არაბთა დასუსტება. ერისთავთა ძალაუფლების ზრდა. ქართლისაკენ ლტოლვა, როგორც ტერიტორიალურ ცენტროსაკენ. ერისთავობა, როგორც სენიორიები ფეოდალური კავშირის უმისოთ, ბრძოლა გაერთიანებისათვის. აფხაზეთისა და ტაო-კლარჯეთის როლი ამ ბრძოლაში.

XIII. საქართველოს გაერთიანება. ფეოდალების ბრძოლა მეფეებთან. ცენტრალური ხელისუფლების გამარჯვება. ტფილისის აღება. წარმოებისა და ვაჭრობის გაცხოველება საქართველოში. იტალიის ქალაქთა ზრდისა და მათი აზიასთან ვაჭრობის მნიშვნელობა საქართველოსთვის.

XIV სენიორების ძალაუფლების დასუსტება და ფეოდალური კავშირის გაძლიერება დავით III დროს. საზოგადოების ფეოდალიზაციის გაფართოვება. გლეხების მდგომარეობა. იმპერიალისტური პოლიტიკის დასაწყისი.

XV სავაჭრო კაპიტალი საქართველოში. მსხვილი ვაჭრები. ახალი ქალაქები. ხელისუფლება თამარ მეფის დროს.

XVI ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება საქართველოში და მისი მიზეზები. მონღოლთა პირველი შემოსევა. მონღოლთა მეორე შემოსევა და საქართველოს გაღატაკება. ახალი პოლიტიკა საქართველოს სახელმწიფოებრივობის შექმნაში და მისი გამარჯვება. ფეოდალებთან ბრძოლის წესები. გლეხობის მდგომარეობა.

XVII საქართველოს სამეფოს დანაწილება მთელ რიგ დამოუკიდებელ ერთეულებად ბიზანტიის დაპყრობის შემდეგ ოსმალთა მიერ; საქართველოს ჩამოშორება მსოფლიო ცენტროთაგან და საქართველოში სავაჭრო კაპიტალის გაქრობა. კარჩაკეტილი ნატურალური მეურნეობის სრული აღდგენა.

XVIII ქართლის, კახეთისა და დასავლეთ საქართველოს მდგომარეობა დაშლის პერიოდში. სპარსელთა პოლიტიკა საქართველოში. თავდასხმა და განადგურება. სპარსეთისა და ოსმალეთის მეტოქეობა საქართველოს გულისათვის.

XIX ქართლი და კახეთი ვახტანგ VI-ის დროს. საქართველოს სამეურნეო განვითარების ნიშნები.

XX. აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიური დამოკიდებულება აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიასთან ერეკლე II ეკონომიური პოლიტიკა. მისი დამოკიდებულება ფეოდალებთან.

XXI. ხელშეკრულებები რუსეთთან და მასთან შეერთება.

XXII. საქართველოს დაპყრობა მეფის მთავრობის მიერ. აჯანყებები საქართველოში და ბრძოლა განთავისუფლებისათვის.

XXIII. ბატონყმობის გაძლიერება საბატონო მეურნეობისა და მისი სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით.

XXIV. საქართველოს ყველა ნაწილების კულტურული და ეკონომიური დაახლოვება.

XXV. სავაჭრო კაპიტალის განვითარება. ბრძოლა გლეხთა განთავისუფლებისათვის და ქართველი ერის კულტურული ერთიანობისათვის.

XXVI. გლეხთა განთავისუფლება და მისი შედეგები.

XXVII. პირველი რკინის გზები. მრეწველობის განვითარების დასაწყისი. პროლეტარიატის გაჩენა

XXVIII. რუსეთის თვითმპყრობელობის ხელისაგან სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ახალი მეთოდები.

2. პროფ. გ. გეხტმანი

საწარმოვო ძალები საქართველოს რესპუბლიკისა

(აფხაზეთის, აჭარისტანისა და სამხრეთ-ოსეთის შიგ ჩართვით). შინაარსი:

1. ტერიტორია; ორთოგრაფია და ჰიდროგრაფია.
2. საქართველოს ჰავა და ნიადაგი; კლიმატიური და ნიადაგის ზონები.
3. ფლორა და ფაუნა.
4. **მოსახლეობა:** მცხოვრებთა რიცხვი; მოსახლეობის მოძრაობა; ტომობრივი შემადგენლობა. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა. მოსახლეობის სიმჭიდროვე.
5. **სოფლის მეურნეობა:** მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის; სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის პირობები საქართველოში; მემინდვრეობის სისტემები საქართველოში, მარცვლეულობის მეურნეობა; მისი მთავარი დარგები და შემოსავლიანობა.

ტეხნიკურ მცენარეთა კულტურა: მეთამბაქოობა და მისი რაიონები; მებამბეობა.

ძვირფას მცენარეთა კულტურა.

მევენახეობა და მეღვინეობა.

მებოსტნეობა და მეხილეობა.

სპეციალური კულტურები (მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა).

მესაქონლეობა და საძოვარი ადგილების საკითხი საქართველოში.

საქართველოს ტყეები: აფხაზეთის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ტყეების ეკონომიური მნიშვნელობა.

6. **საქართველოს სამთომადნო სიმდიდრეები.** შავი ქვა და მისი მსოფლიო მნიშვნელობა. ქვანახშირი ტყიბულში და ტყვარჩელში (აფხაზეთში), ნავთი და სხვა სიმდიდრეები: **საქართველოს მინერალური წყაროები და კურორტები.** მინერალური წყაროების სიმდიდრე. საკურორტო საქმე და საქ. კურორტთა მომავალი. საქ. მთავარი კურორტები: ბორჯომი, აბასთუმანი, შოვი, ახტალას ტალახი და სხვ. თბილისის გოგირდის წყაროების ბალნეოლოგიური მნიშვნელობა. მინერალური და სამკურნალო წყაროები საქართველოს ეკონომიკაში.
7. **საქართველოს „თეთრი ნახშირი“ და ელექტროფიკაცია.** „ზაჰესი“ და მისი მნიშვნელობა თბილისისა და მისი რაიონებისათვის. ელექტროფიკაცია და ფერრო-მარგანეცი.
8. **რწყვის სისტემები** საქართველოში და საირრიგაციო დანადგამები.

საქ. ისტ. მოკლე მიმოხილვა და საწარმოო ძალები საქ-ში. პროფ. გეხტმანის—ორივე წიგნის **ფასი 1 მან. 50 კაპ.**

3. ვახტანგ კოტეტიშვილი

ქართულ ლიტერატურის ისტორია მე-XIX-ს.—დღევანდლამდე (შინაარსი)

მე-XVIII ს. მწერლობის რეტროსპექტიული მიმოხილვა. ორ კულტურათა გზა-ჯვარედინი. პროგრესიული ელემენტები. საფრანგეთის განათლების გამოხმაურება. ახალი ისტორ. პირობები, და მათი გავლენა საზოგად. აზრის განვითარებაზე. იმედთა დაღუპვა. გარდატეხვა ლიტერატურასა და ცხოვრებაში. პერიოდიული პრესა მე-XIX ს. დასაწყისში. ალ. ჭავჭავაძის რომანტიზმი და ეპიკურეიზმი, როგორც დროს ვითარების მაჩვენებელი. ნ. ბარათაშვილი. მისი გენიის კონსტრუქცია. მსოფლიო სევდა, როგორც ეროვნულ სევდის დაბოლოება. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის გამოხმაურება. საიდუმლო საზოგადოებათა დაარსება. იმედთა გაცრუება 1832 წ. შემდეგ. პოლიტიკური იდეალები. ფილოსოფიური აზრის გაღვიძება. იდეურ განხეთქილების დასაწყისი. ვორონცოვის ხანა. თეატრის აღორძინება „ცისკარი“-ს დაარსება. გიორგი ერისთავი, ალ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი და სხ... ქართ. საზოგადოებრივობის განვითარ. ახალი საფეხური. რეაქციული რუსეთი და ქართველი ინტელიგენცია. ბატონყმობა. ბატონ-ყმობის საწინააღმდეგო იდეები ლიტერატურაში. სურამის ციხე. „თერგდალეულები“, აზროვნების დიფერენციაცია. ლიტერატურისა და ცხოვრების დაახლოვება. ახალი სტილი. ლ. არდაზიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ა. ფურცელაძე და სხ... ძველი რომანტიზმის კვალი გრიგ. ორბელიანი, ვახტ. ორბელიანი. ზ. ჯორჯაძე. საჟურნალო ოპოზიცია მესამოცე წლებში. ორი ბანაკი. პროგრესიულ-ლიტერატურული თეორიები. ი. ჭავჭავაძის ისტორიული, სოციალ-პოლიტიკური და ესთეტიური შეხედულებანი. ლიტერ. კრიტიკის ახალი მიმდინარეობანი. მატერიალისტურ-პოზიტიურ მსოფლ-მხედველობის ჩასახვა. სოციალისტური იდეები. „საქართველოს, მოამბე“ რაციონალიზმი და უტილიტარიზმი ლიტერატურაში. გაზ. „დროება“. 70—წლები. საჟურნალო ლიტერატურის უჩვეულო აყვავება. „მნათობი“, „კრებული“, „სასოფლო გაზეთი“ და სხ... ფემინისტური საკითხი ქართ. ლიტერატურაში. ჯ. სტ. მილის იდეათა გავლენა. 70—წლების ესთეტიკა. ლესინგის და ტენის გავლენა, „იმ ნაპირიდან“. ახალი სოც. პირობანი. ახალი საზ. ფორმებზე გადასვლა. კაპიტალისტურ იდეათა ჩასახვა. 80—90 წლების იდეური მიმართულებანი. „ტეტიათა მოტრფიალენი“. ნეო-რომანტიზმი, როგორც მომავალ კაპიტალიზმის წინააღმდეგ პროტესტის ფორმა. ალ. ყაზბეგი. ვაჟა ფშაველა. მარქსიზმის დასაწყისი ჩვენში. გ. წერეთელი, ე. ნინოშვილი და სხ... სოც.-პოლ. იდეათა გავლენა მე-XX საუკ. 1905 წ. რევოლიუცია და მისი გავლენა ლიტერატურაზე. რევოლიუციის შემდეგი პერიოდი. გარდამავალი ხანა. ინდივიდუალიზმის განვითარება. მოდერნიზმი. უკანასკნელ წლების ლიტერატურა რევოლიუციურ ქროლვათა გავლენა მწერლობაზე 1917 წლიდან 1925 წლამდე.

მომავლის პერსპექტივები. **ფასი 2 მან.**

4. პროფ. გ. ჩუბინაშვილი

ქართული ხელოვნების ისტორია (შინაარსი)

შესავალი: ქართული ხელოვნების ისტორიის მოცულობა. ქართული ხელოვნების მნიშვნელობა მისი შესწავლის საქმის მდგომარეობა. ქართული ხელოვნების ისტორიის პერიოდები და თვითეულის მათგანის ძირითადი ხასიათი. თეორიები დიუბუასი, კონდაკოვის, მარრისა და სტრიგოვსკის.

ნაწილი I. ძველი ხელოვნება. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები IV—V საუკუნეებისა და მათი დამოკიდებულება მაშინდელ აღმოსავლეთ-ქრისტიანულ ძეგლებთან საზოგადოთ. კულტურული გაძლიერება ვახტანგ გორგასლანის დროს და ძეგლები ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე მეფობის მოსპობამდე VI საუკუნის დასაწყისში. ბოლნისის სიონი და მისი დამოკიდებულება სასანურ, ასურულ-შუამდინარულ, სომხურისადა მცირე აზიის ძეგლებთან.

ტრადიციათა შეწყვეტა და კულტურულ-პოლიტიკური გაძლიერება VI საუკ. ნახევრიდან. ახალი მხატვრულ-ხუროთმოძღვრული პრობლემები. ქართული ხელოვნების ოქროს ხანა და მისი მთავარი ძეგლები.

ქართული ხელოვნების ძველი პერიოდის შესახები დასკვნები: ხუროთ-მოძღვრული თემები და მათი განვითარება. პარალელური მოვლენები სხვა ქვეყნებში და მათი შორის არსებული განსხვავებები. სკულპტურა და რელიეფური ხელოვნება, დამოუკიდებელი და შენობებზე. მოზაიკური მხატვრობა. დეკორაციის პრინციპები და მისი ორნამენტული ელემენტები.

არაბთა ბატონობა VII—VIII ს. ს. და მხატვრული შემოქმედების დაცემა. საქართველოს პროვინციათა დაცალკევება.

ნაწილი II. ახალი ხელოვნება. ქართული ხელოვნების ახალი ისტორიის პერიოდები და მათი მხატვრული ხასიათი. დასაწყისი ხანის ძეგლები კახეთსა და ტაო-კლარჯეთში და ახალი მოვლენები მათში. დამოკიდებულება ბიზანტიასა და წინა აზიასთან, კერძოდ სომხეთთან.

ახალი აღორძინების პერიოდი IX—XI ს. ს. და რამოდენიმე საფეხური მისი კლასიკური ცხადყოფის ხუროთმოძღვრებაში: ვაჩნაძიანი—ოშკი და მოქვი—ალავერდის, ქუთაისისა და მცხეთის ტაძრები. ამ დროის ხუროთმოძღვრების დამატებითი ტიპები.

ქართული ხელოვნების ბაროკალური პერიოდი, ამ პერიოდის ძეგლები XII—XIV ს. ს. მესხური და ქართლური ჯგუფები ამ დროის ხუროთმოძღვრებაში.

მონუმენტალური და სახატო მხატვრობის ძეგლები. ქართული მინიატიურა და მინანქარი. დამოკიდებულება ბიზანტიასთან.

სკულპტურის ძეგლები ქვასა და ლითონზე. (ოქრო)—მჭედლური ხელოვნების დამოუკიდებელი განვითარება საქართველოში და მისი ევოლიუცია XV საუკუნემდე.

ქართული ხელოვნება XVI—XVIII ს. ს., საზოგადო ხასიათი, დამოკიდებულებანი და მისი თავისებურებანი.

ახალი ხუროთმოძღვრული თემები და ახალი მხატვრული მიდგომანი ხუროთმოძღვრებაში.

მხატვრობის, სამოსლების, მკედებისა და (ოქრო)—მჭედლური ხელოვნების ტიპიური წარმომადგენლები.

ქართული ხელოვნების მხატვრულ ტრადიციათა ნაძალადევი დარღვევა XIX საუკუნის დასაბამითგან.

უახლოესი დროის ხელოვნების ხასიათი, მიზნები და პერსპექტივები.

წიგნს დართული ექნება 150-ე ილიუსტრაცია, როგორც ტექსტში, ისე ცალკე ტაბულებზე.
ფასი 2 მან. 50 კაპ.

5. მიხ. აბრამიშვილი

ქართული თეატრის ისტორია (შინაარსი)

1. თეატრალური ელემენტები ქართველი ერის შორეულ წარსულში.
2. თეატრი როგორც მასიური მოვლენა.
3. რელიგიური მისტერიები და „თამაშობანი“.
4. თეატრი მე-XII საუკუნეში.
5. მე-XVIII საუკუნე და ევროპიული თეატრის ჩასახვა საქართველოში.
6. თეატრის განახლება მე-XIX ს. პირველ ნახევარში, ვონცოვამდე.
7. ვორონცოვის ხანა.
8. მუდმივი თეატრის დაარსება.
9. თანამედროვე ქართული თეატრი.

6. პროფ. დ. არაყიშვილი

ქართული მუსიკა, მოკლე ისტორიული მიმოხილვა (შინაარსი)

1. საერო სახალხო მუსიკა. მისი ჰარმონია, კონტრა-პუნქტი და რიტმი. სამუსიკო იარაღები.
2. საშუალო საუკუნეების სასულიერო გალობანი. მგალობელნი და გალობის შემოქმედნი. XVIII საუკ. გალობანი.
3. მუსიკის მდგომარეობა XIX საუკ. პირველ ნახევარში და მისი შემდეგი განვითარება. დავით მაჩაბელი.
4. სახალხო სიმღერების პირველი კრებულები და ქართული ქორის დარგში მომუშავეები.
5. ხ. სავანელი და პირველი სამუსიკო სკოლა თბილისში. იპ. ივანოვი და მუშაობის გაცხოველება სასულიერო და საერო მუსიკის ჩაწერის დარგში. კარბელაშვილების, კარგარეთელის და სხვათა შრომები.
6. პირველი ცდები ქართული სიმღერის საქმის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენებისა.
7. დ. არაყიშვილის შრომები ქართული სიმღერის დარგში და ქართული ფილარმონიის სახალხო სიმღერების გამოცემა ზ. ფალიაშვილის ჩაწერით.
8. XIX საუკ. დასასრულის ქართული სამუსიკო შემოქმედების საზოგადო დახასიათება. ბალანჩივაძის რომანსები. ქართული ცეკვა ფორტეპიანოსთვის. საწყალიშვილი. დილეტანტიზმი, როგორც ძირითადი მიმდინარეობა. დილეტანტიზმის წარმომადგენლები. ამ მიმდინარეობის „საოპერო“ და სხვა შემოქმედება. სამუსიკო კრიტიკა.
9. XX საუკ. დასაწყისის მხატვრულ-მუსიკალური შემოქმედების დახასიათება. საკამერო, საქორო, საერო და სასულიერო, საოპერო და სიმფონიური ნაწარმოებები ქართველ კომპოზიტორებისა. ქართული მუსიკის მომავალი.

მიხ. აბრამიშვილის—ქარ. თეატრის ისტორია და პროფ. არაყიშვილის—ქარ. მუსიკის ისტორ. მიმოხილვა გამოვა ერთ წიგნათ და ეღირება 1 მან.

ზემოხსენებული წიგნები გადათარგმნილი იქნება და გამოცემული აგრეთვე რუსულ ენაზედაც, გარდა ამისა პროფ. გ. ჩუბინაშვილის და პროფ. გეხტმანის წიგნები გერმანულ ენაზედაც. ხელის მოწერა მიიღება ექვსივე წიგნზე და ხელის მომწერი იხდის ამ თავითვე 4 მან. დანარჩენ 3 მან.—კი წიგნის მიღების დროს. არა ხელმომწერთათვის ცალკე ეღირება ერთი ორად. ვთხოვთ ყველა დაინტერესებულ აწესებულებებს და კერძო პირთ აღნიშნულ პირობების დაცვით დაჩქარებით გვაცნობონ მსურველთა რაოდენობა. ყოველგვარი ცნობების მიღება და ხელისმოწერა შეიძლება „ჩვენი მეცნიერების“ კანტორაში რუსთ. პრ. № 20 ტელ. 9—59. და აგრეთვე წიგნის მაღაზია „განათლებაში“ ს. თავართქილაძესთან ოლღის ქ. № 6.

ნ. 887 4—2

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საშა წულუკიძის ქ. № 4